ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია

(ინგლისური ფილოლოგია)

ნინო კურატიშვილი

# აგრესიული იუმორის რიტორიკა ლინგვისტურ და სოციოკულტურულ ჭრილში (ინგლისური და ქართული იუმორისტული მონოლოგების მასალაზე)

ფილოლოგიის დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი

მანანა რუსიეშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თბილისი

2023

# აბსტრაქტი

იუმორი კომპლექსური სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია და იგი ჩვენი ყოველდღიური სოციალური კომუნიკაციის ერთგვარ ასპექტს წარმოადგენს. იუმორის აღქმის უნარი ყველა ადამიანში განსხვავებულად წარმოჩინდება. ამ განსხვავებულობას ბევრი მიზეზი აქვს. ეს შეიძლება იყოს ისეთი ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობის ფაქტორი, როგორიცაა კულტურა, კულტურული მსგავსება-განსხვავებები თუ თავისებურებები, ასევე ის ლინგვისტური მექანიზმები, რაც იუმორისტული ნარატივის წარმატებულ კომუნიკაციას განაპირობებს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იუმორისტული დისკურსის ანალიზს ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე. პრაგმატიკის, სოციოპრაგმატიკისა და სემანტიკის თეორიულ ჩარჩოში ინტერკულტურული დაკვირვებების პარალელურად. ნაშრომის ემპირიულ მასალად აღებულია 20 ამერიკული 'სტენდაფ' მონოლოგი, ერთ-ერთი ცნობილი ქართული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (ვანოს შოუ) 10 მონოლოგი, ცნობილი ამერიკული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (Tonight Show with Stephen Colbert) 10 მონოლოგი და ამერიკული ციხის არგოს (პატიმრების კოდური ენა) 40 ტერმინი.

ემპირიული მასალა 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვითაა არჩეული:

(1) კულტურა და აგრესიული იუმორი

(2) გენდერი და აგრესიული იუმორი

(3) სუბკულტურა და აგრესიული იუმორი

(4) სტერეოტიპი/ უმცირესობები და აგრესიული იუმორი

ჩვენმა კვლევამ დაადასტურა, რომ იუმორისტებისთვის აგრესიული იუმორის მსმენელამდე მიტანასა და სწორ კომუნიკაციაში, საბოლოოდ კი სასურველი ეფექტის მიღწევაში ლინგვისტურ ხერხებს გადამწყვეტი როლი აქვს, როგორც ინსტრალინგვისტურს: სემანტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური მახასიათებლებით, ასევე ექსტრალინგვისტურს: სიტუაცია, თემის არეალი, დრო, ადგილი, მიმღები, გამგზავნი და ეფექტური იმპლიკაციები. თუმცა ამავდროულად უნდა აღვნიშნოთ პარალინგვისტური ხერხების წვლილი (ტემბრისა და ტონის (უეცარი) ცვლილება, ჟესტიკულაცია, სხეულის ენა, გაპიროვნება და ა.შ.)

ლინგვისტური აგრესიული სტრატეგიები მათი რიტორიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ, რომელთა გამოყენებითაც ისინი ყველაზე ეფექტურად აკრიტიკებენ და არღვევენ სამიზნეების სახეს, შედეგად კი საზოაგადოების ცნობიერების შეცვლაში შეაქვთ წვლილი.

# Abstract

Humor is a complex social and psychological phenomenon and it is an aspect of our daily social communication. The ability to perceive humor is different in all people. There are many reasons for this difference. It can be a factor of such a wide scale and importance as culture, cultural similarities-differences or peculiarities, as well as the linguistic mechanisms that lead to the successful communication of a humorous narrative.

This paper presents an analysis of humorous discourse based on qualitative and quantitative research. Parallel to intercultural observations in the theoretical framework of pragmatics, sociopragmatics and semantics. 20 American "standup" monologues, 10 monologues of one of the famous Georgian comedy TV shows (Vano's show), 10 monologues of the famous American comedy TV show (Tonight Show with Stephen Colbert) and 80 terms of American and Georgian prison argot (code language of prisoners), (40 for each) are taken as empirical data of the paper.

Empirical data is selected according to 3 main criteria:

(1) Culture and aggressive humor

(2) Gender and aggressive humor

(2) Subculture and aggressive humor

(3) Stereotypes/ minorities and aggressive humor

Our research has confirmed that linguistic methods both intralinguistic: with semantic, lexical, grammatical and stylistic features, as well as extralinguistic: situation, topic area, time, place, receiver, sender and effective implications have a decisive role for humorists in achieving desired rhetorical effect. However, at the same time, we should mention the contribution of paralinguistic techniques – ((sudden) change of timbre and tone, gesticulation, body language, personalization, etc.)

Linguistic aggressive strategies are the main driving force of their rhetoric, using which they most effectively criticize and attack the face of the targets, and as a result contribute to changing the consciousness of the society.

# შინაარსი

აბსტრაქტი.......... I
Abstract.......... III
შესავალი .......... 1
თავი I.......... 10
1. ვერბალური აგრესია .......... 10
1.1 აგრესიის პრაგმატიკა და აგრესიული იუმორი .......... 10
1.2 აგრესიული იუმორის პრაგმატიკა - ჯგუფური მიკუთვნებულობა .......... 12
1.3 სოციალური ნორმების დარღვევა.......... 13
1.4 იუმორი .......... 14
1.5 ციხის არგო.......... 17
თავი II.......... 20
2. აგრესიული იუმორის ლინგვისტური რეალიზაცია .......... 20
2.1 'სტენდაფ' კომედია.......... 20
2.2 ირონია.......... 29
2.3 სარკაზმი .......... 37
2.4 ნაშრომის მეთოდოლოგია .......... 44
თავი III .......... 46
3. კვლევა.......... 46
3.1 მონაცემთა ანალიზი და პროცედურები .......... 46
3.2 მასალის ანალიზი .......... 51
3.2.1 მამაკაცი იუმორისტების მონოლოგების მაგალითები.......... 72
3.2.2 ქალი იუმორისტების მონოლოგები .......... 55
ნატაშა ლეჯეროს (Natasha Leggero) მაგალითი.......... 56
უითნი ქამინგსის (Whitney Cummings) მაგალითი .......... 62
ტეილორ ტომლინსონის (Taylor Tomlinson) მაგალითი .......... 68
ალი უონგის (Ali Wong) მაგალითი.......... 72
3.3 ციხის არგოს ტერმინების ანალიზი:.......... 118
3.4 კვლევის შედეგები.......... 142
დასკვნა.......... 159
გამოყენებული ლიტერატურა .......... 163

# შესავალი

იუმორი კომპლექსური სოციალური და ფსიქოლოგიური ფენომენია და იგი ჩვენი ყოველდღიური სოციალური კომუნიკაციის ერთგვარ ასპექტს წარმოადგენს. იუმორის აღქმის უნარი ყველა ადამიანში განსხვავებულად წარმოჩინდება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ეს შეიძლება იყოს ისეთი ფართო მასშტაბისა და მნიშვნელობის ფაქტორი, როგორიცაა კულტურა, კულტურული მსგავსება-განსხვავებები თუ თავისებურებები, ასევე ის ლინგვისტური მექანიზმები, რაც იუმორისტული ნარატივის წარმატებულ კომუნიკაციას განაპირობებს.

ლინგვისტური ინსტრუმენტებისა და ენობრივი რესურსის დომინანტური როლი პრაგმატიკაში ისეთი მაგალითებით შეგვიძლია გავამყაროთ, როგორიცაა ზღაპრის, იგავ-არაკის, სატირის, კომედიისა თუ დოკუმენტალისტიკის დისკურსი. თითოეულ მათგანში გამოყენებული ენობრივი რესურსი კონკრეტული დისკურსის მიზნების წარმატებულ განხორციელებას ემსახურება. გაპიროვნების, მეტაფორის, ონამატოპეას, ჰიპერბოლის, ირონიის გარეშე, ალბათ, წარმოუდგენელიც კი იქნებოდა ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრების ადეკვატური პრაგმატიკული ფუნქციონირება.

იუმორი სამართლიანად შეგვიძლია დავასახელოთ დისკურსის ისეთ ელემენტად, სადაც პრაგმატიკა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა, რადგან ხუმრობა მოსაუბრის პირადი დამოკიდებულების გამომჟღავნებაა და, თავისთავად, არ გააჩნია ობიექტურობა და ფაქტობრივი სიმყარე. აგრესიული იუმორი, რომელმაც ამ კვლევის ფარგლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი მხატვრული რესურსი გააერთიანა, აქამდეც მიიჩნეოდა სატირიკული ხასიათის დისკურსის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად. ეს ცნება ფროიდიდან (1960) იღებს სათავეს, ვინც ერთ-ერთი პირველი იყო მეცნიერთაგან, რომელმაც იუმორის შესაძლო სასტიკ ბუნებაზე ისაუბრა. იუმორი შეიძლება იყოს აგრესიული კომუნიკაციის ნაწილი და ამ ორი ტიპის დისკურსის შერწყმას ნამდვილად აქვს მკვეთრად გამოხატული და მიზანზე ორიენტირებული პრაგმატიკული ფუნქციები. ეს ფუნქციები შეიძლება გავაერთიანოთ დარწმუნებისა და მოსაუბრეზე ზეგავლენის დამყარების მისწრაფების საერთო სათაურის ქვეშ, რაც რიტორიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, რომ იუმორი ბუნებით აგრესიულიც შეიძლება იყოს, არსებობს გარკვეული პრაგმა-სემანტიკური გზები მისი აგრესიული და, შესაბამისად, რიტორიკული ეფექტის გასაზრდელად. ტოპლაკი და კატზი (2000) კრიტიკის ერთ-ერთ „უმკაცრეს" ფორმად სარკაზმს მიიჩნევენ და აღიარებენ მას, როგორც გადააზრებულ, პრაგმატიკასა და სემანტიკას შორის მდებარე ტროპულ ინსტრუმენტს პრაგმატიკასა და სემანტიკას შორის. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ მოსაუბრის განზრახვის მხრივ, სარკაზმი ვერბალური აგრესიის ერთ-ერთ ფორმად მოიაზრება. მსხვერპლის გადმოსახედიდან (მის რეაქციაზე დაყრდნობით), სარკაზმი კრიტიკის უფრო მკაცრ ფორმად აღიქმება, ვიდრე პირდაპირი კრიტიკული გამონათქვამი. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სარკასტული/ ირონიული ხუმრობა ბევრად მეტი რიტორიკული ძალის მატარებელი იქნება, ვიდრე, უბრალოდ, ხუმრობა. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ სარკაზმი კრიტიკის თავაზიანი და მსუბუქი ფორმა შეიძლება იყოს. მას, ძირითადად, ისეთი სპეციფიკური და უარყოფითი დამოკიდებულებები ახლავს თან, როგორიცაა უარყოფა, ზიზღი, სიძულვილი და დაცინვა (კონტრერას, 2011).

იუმორისტული და აგრესიული დისკურსის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დავასკვნით, რომ ნაგულისხმევის სარკაზმის/ ირონიის გამოყენებით გადმოცემა მას განსაკუთრებით დაუნდობელ ხასიათს სძენს, ხოლო თუ ნაგულისხმევი იუმორისტულია, სარკაზმი/ ირონია იუმორის ეფექტს ზრდის. ამას მოწმობენ ტოპლაკი, კატზი (2000), რუსიეშვილი (2006, 2008, 2011) და სხვ.. შესაბამისად, ჩვენს ნაშრომში აგრესიული იუმორი სწორედ სარკასტული/ ირონიული გამონათქვამების სახით გამოვლინდება და გაანალიზებულ ხუმრობათა დიდი ნაწილი სარკაზმის/ ირონიის შემცველია.

მეორე კრიტერიუმი, რისი მეშვეობითაც აგრესიული იუმორის იდენტიფიცირება მოვახდინეთ, სოციალური ნორმების დარღვევაა. სოციალური ნორმა სოციუმის წევრების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაცულობას უზრუნველყოფს. შესაბამისად, მისი დარღვევა აგრესიის ერთ-ერთი გამოვლინებად კვალიფიცირდება. პრობლემის უკეთ აღსაქმელად, საკვლევი მასალის ფარგლებში დარღვეულ ზოგიერთ სოციალურ ნორმას წარმოგიდგენთ:

სხვების უფლებებისა და რწმენის პატივისცემა.

სხვების აზრისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება.

სხვებთან კომუნიკაციისას შეურაცხმყოფელი ენისა და ჟესტების გამოყენებისაგან თავიდან არიდება.

სოციალური ინტერაქციისას სოციალურად მიღებული მანერებისა და ეტიკეტის დაცვა.

სიტუაციის შესაბამისი საუბარი და ქცევა.

საკუთარ გამოსვლებში იუმორისტები ზემოაღნიშნული სოციალური ნორმებიდან რამდენიმეს მაინც არღვევენ, რაც მათ აგრესიულ მოსაუბრეებად აქცევს.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იუმორისტული დისკურსის ანალიზს ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე. პრაგმატიკის, სოციოპრაგმატიკისა და სემანტიკის დისციპლინების თეორიულ ჩარჩოში ინტერკულტურული დაკვირვებების პარალელურად. ნაშრომის ემპირიულ მასალად ამერიკული და ქართული იუმორისტული დისკურსის ნიმუშები, კერძოდ, სულ 40 იუმორისტული მონოლოგი (‘სტენდაფ’ კომედიისა (20) და ორი იუმორისტული „თოქ-შოუს“ - ვანოს შოუ (10) და The Late Show With Stephen Colbert (10) მონოლოგები), და სულ 80 (ქართული (40) და ამერიკული ციხის (პატიმრების კოდური ენა) (40)) არგოს ტერმინი.

ემპირიული მასალა 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვითაა არჩეული .

*(1)* კულტურა და აგრესიული იუმორი

*(2)* გენდერი და აგრესიული იუმორი

*(3)* სუბკულტურა და აგრესიული იუმორი

*(4)* სტერეოტიპი/ უმცირესობები და აგრესიული იუმორი

პირველი კრიტერიუმი, აგრესიული იუმორის გამოყენების თვალსაზრისით, კულტურულ შეპირისპირებას ითვალისწინებდა, რისთვისაც ცნობილი ქართული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (The ვანოს შოუ) 10 მონოლოგი და ცნობილი ამერიკული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (Tonight Show with Stephen Colbert) 10 მონოლოგი შევისწავლეთ.

მეორე კრიტერიუმის მიხედვით გენდერის მიხედვით იუმორის აგრესიულობის ხარისხსა და სპეციფიკას დავაკვირდით. კერძოდ, რამდენად და რა ნიშნებით განსხვავდებოდა ქალი და მამაკაცი ‘სტენდაფ’ კომიკოსების იუმორი ერთმანეთისგან

და მართლდებოა თუ არა ლეიკოფისა (1975) და ტანენის (1990) მიერ გამოთქმული გენდერული სტერეოტიპების ენობრივ გამოვლინებებთან დაკავშირებული მოსაზრებები.

მესამე კრიტერიუმის კვალდაკვალ, აგრესიული იუმორის სუბკულტურების დისკურსში ფუნქციონირებას დავაკვირდით, რისთვისაც ქართული (40) და ამერიკული (40) ციხის არგოს ტერმინით შევისწავლეთ.

მეოთხე კრიტერიუმი აგრესიული იუმორის განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსში დაკვირვებას ითვლისწინებდა, რისთვისაც 20 ამერიკული 'სტენდაფ' მონოლოგი გამოვიყენეთ.

კვლევისთვის საჭირო მასალა Youtube პლატფორმასა და ინტერნეტ ლექსიკონებში მოვიპოვეთ (იხ. მეთოდოლოგია).

ნაშრომის ინტერკულტურულმა ასპექტმა, ამერიკული და ქართული აგრესიულ-იუმორისტული დისკურსის პარალელურმა ანალიზმა იუმორისა და კულტურის ურთიერთგანპირობებულობის დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცა. უფრო კონკრეტულად, განვსაზღვრეთ თითოეული (ქართული - კოლექტივისტური (ჰოფსტედე, 1967-73) და ამერიკული - ინდივიდუალისტური (ჰოფსტედე, 1967-73)) კულტურის იუმორის აგრესიულობის ხარისხი, სარკაზმისა და ირონიის გამოყენების სიხშირისა და მათი ხასიათის მიხედვით.

ციხის არგოს შემთხვევაში, ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნების რელევანტურობა ამერიკული ტელესერიალის, „გაქცევის" სცენარის ანალიზის მეშვეობით გადავამოწმეთ. ტერმინების კონტექსტუალური მნიშვნელობების გადამოწმება მოხდა რამდენიმე ვებგვერდზე. ჩვენი მიზანი არგოში აგრესიული იუმორისა და მისი თანმხლები ლინგვისტური ცნებების - ირონიისა და სარკაზმის როლის განსაზღვრა იყო. ამისთვის არგოს შემადგენელი ტერმინები ჯერ იუმორისტულ და არაიუმორისტულ სექტორებად დავყავით, შემდეგ კი იუმორისტული ტერმინები გავაანალიზეთ. კვლევის საბოლოო ეტაპი ციხის არგოს სხვა არგოებთან შედარება და მასთან მიმართებაში აგრესიული იუმორის (სარკაზმისა და ირონიის) როლის უნიკალურობის დადგენა იყო.

განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსის ანალიზმა ცხადყო, რომ ირონიული და სარკასტული გამონათქვამები მუსლიმანი მოსახლეობის შესახებ ყველაზე მტკივნეულ სტერეოტიპებთან იყო კავშირში. შესაბამისად, ირონია და სარკაზმი ორი ძირითადი რესურსია ამ სტერეოტიპებთან შესაბრძოლებლად. მათი ხუმრობების თემატიკისა და პრაგმატიკული ასპექტების დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ კომიკოსები ერთი მხრივ, უსაფრთხო ფორმით გამოხატავენ დაგროვილ აგრესიას და მეორე მხრივ, აქტიურად ცდილობენ საზოგადოების მანკიერების (სტერეოტიპული და ცრურწმენებზე აგებული რწმენა-წარმოდგენების) უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენას და შესაბამისად, მათ აღმოფხვრაში წვლილის შეტანას; საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ირონია და სარკაზმი კი მათი დისკურსის რიტორიკულობის ამაღლების კვალდაკვალ ამ მიზნების მაქსიმალურად ეფექტურ შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათი ხუმრობების შინაარსი ძალიან ხისტია, თუმცა ფორმა იმდენად დახვეწილი, რომ საზოგადოება იწყნარებს.

საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე განვსაზღვროთ აგრესიული იუმორის ჩვენეული განმარტებაც. იუმორისტული და აგრესიული დისკურსის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დავასკვენით, რომ ნაგულისხმების სარკაზმის/ ირონიის გამოყენებით გადმოცემა მას განსაკუთრებით სასტიკ ხასიათს სძენს, ხოლო თუ ნაგულისხმევი იუმორისტულია, სარკაზმი/ ირონია იუმორის ეფექტს ზრდის. ამას მოწმობენ კატზის (2000), ტოპლაკის (2000), დოფინის (2000), რუსიეშვილის (2008, 2009, 2011) და სხვების ნაშრომები. შესაბამისად, ჩვენს ნაშრომში აგრესიული იუმორი სწორედ სარკასტული/ ირონიული გამონათქვამების სახით გამოვლინდება და ჩვენ მიერ გაანალიზებული თითოეული ხუმრობა სარკაზმის/ ირონიის შემცველი იქნება. ტოპლაკი და კატზი (2000) სარკაზმს კრიტიკის ერთ-ერთ „უმკაცრეს" ფორმად მიიჩნევენ და აღიარებენ, როგორც გადააზრებულ, ტროპულ ინსტრუმენტებს პრაგმატიკასა და სემანტიკას შორის.

**ნაშრომის თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ფაქტი, რომ თანამედროვე იუმორისტული დისკურსი ძალზე აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკისკენაა მიმართული; შესაბამისად, კომიკოსების გამოსვლები შეიცავს როგორც ინფორმაციულ, ასევე სენტიმენტალურ, რიტორიკულ და, რაც მთავარია,

იუმორისტულ მახასიათებლებს. ეს კომუნიკაციის პროცესის ლინგვისტური წანამძღვრების საკითხს ძალზე საინტერესოს ხდის.

ასევე, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომი საინტერესო მასალა იქნება რიტორიკული ნარატივით დაინტერესებული ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელთათვის, ასევე კულტუროლოგების, ფილოსოფოსებისა და სოციოლოგთათვის. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან თეორიათა უმეტესი ნაწილისკრიტიკული განხილვა და მათი კიდევ ერთ ჭრილში დადასტურება?. პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომი საინტერესო მასალა იქნება როგორც ლინგვისტიკის, ასევე ფსიქოლოგიის, ჟურნალისტიკის დარგების წამომადგენელთათვის, ასევე პოლიტიკოსების, ფილოსოფოსებისა და იუმორისტებისთვის.

**წინამდებარე ნაშრომის მიზანია** გამოავლინოს აგრესიული იუმორის დადებითი გავლენა ‘სტენდაფ’ კომედიის:

ა. პრაგმატიკულ ფუნქციონირებაზე, კომიკოსების მიერ არაეთიკური და პოლიტიკურად არაკორექტული ხუმრობების მაქსიმალურად სასაცილო და ამავდროულად „უსაფრთხო“ კომუნიკაციის საფუძველზე.

ბ. რიტორიკულ ეფექტურობაზე, კომიკოსების მიერ საზოგადოების სტერეოტიპულობის, ან სხვა მანკიერი ასპექტის მტკივნეული და ამავდროულად, სამართლიანი კრიტიკის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ციხის არგოს შესწავლის შემთხვევაში:

ა. გამოავლინოს აგრესიული იუმორის დადებითი გავლენა პატიმრების დისკურსის პრაგმატიკულ ასპექტებზე, კერძოდ:

ბ. პატიმრების მიერ ციხის არგოს გამოყენების ინტენსივობისა და მათი ავტორიტეტის თანაფარდობის თვალსაზრისით.

ინტერკულტურული დაკვირვების თვალსაზრისით:

ა. დააკვირდეს კულტურისა და იუმორის ურთიერთგანპირობებულობას, კონკრეტულად:

ბ. დაადგინოს ირონიისა და სარკაზმის გამოყენების სიხშირე ქართულ და ამერიკულ იუმორისტულ მონოლოგებში.

გ. განსაზღვროს სარკასტული და ირონიული გამონათქვამების აგრესიულობის ხარისხი კვლევისთვის შემუშავებული სპეციალური მატრიცის მეშვეობით.

დ. განსაზღვროს, რამდენად ემთხვევა ქართველი და ამერიკელი წამყვანების სტერეოტიპული მიმართულებები ერთმანეთს.

ნაშრომი, ასევე, მოიცავს ირონიის ინტერპრეტაციის ორი ასპექტის ანალიზს: პირველი, გვსურს გამოვიკვლიოთ, რა არის წარმატებული ირონიის საწინდარი, და, მეორე, გვაინტერესებს, როგორ ხდება ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია მეტყველების აქტებში.

**ნაშრომის ემპირიულ მასალას** წარმოადგენს ქართული და ამერიკული იუმორისტული დისკურსი, კერძოდ, ჯამში 40 იუმორისტული მონოლოგი ('სტენდაფ' კომედიისა (20) და ორი იუმორისტული „თოქ-შოუს" - ვანოს შოუ (10) და The Late Show With Stephen Colbert (10) მონოლოგები) და ჯამში 80 (ქართული (40) და ამერიკული ციხის (40)) არგოს ტერმინი.

მასალები მოპოვებულია Youtube-ისა და Netflix-ის პლატფორმებსა და ინტერნეტ ლექსიკონებში (იხ. მეთოდოლოგია და გამოყენებული ლიტერატურა).

როგორც ცნობილია, 'სტენდაფ' კომედია იუმორის თანამედროვე და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია. ის კომედიის ყველაზე თავისუფალ ფორმად მიიჩნევა, და გამომსვლელის (კომიკოსის) ერთგვარ მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის დემონსტრაციას წარმოადგენს (მენდრინოსი, ჯეიმსი, 2004).

შეიძლება ითქვას, რომ 'სტენდაფ' კომედია თანამედროვე მსოფლიო კომედიის ერთ-ერთ წამყვან ჟანრს წარმოადგენს. სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ თემატიკაზე აგებული იუმორისტული მონოლოგები ამერიკელი საზოგადოების საყვარელი გასართობი და ერთგვარი ინტელექტუალური საკვებია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,. როგორც იული (1996) აღნიშნავს, თუკი მოსაუბრე რაიმე ისეთს ამბობს, რაც მეორე ადამიანის იმიჯისთვის/სახისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ეს სახეზე შეტევის აქტია. რუსიეშვილის (2011) აზრით, რომ სარკაზმი სახის დაზიანების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლინგვისტური ინსტრუმენტია. ჰავიერ კონტრერას არმიჰო და სხვები (2011) ამტკიცებენ, რომ სარკაზმი სიცილის ყველაზე წარმატებული გზაა. შესაბამისად, აგრესიული იუმორის

გამოყენება იდიომატური რესურსების სწორი გამოყენების პარალელურად, შესაძლოა, წარმატებული პერფორმანსის უალტერნატივო სტრატეგია იყოს კომიკოსისთვის.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში პასუხი გავეცით შემდეგ კითხვებს:

'სტენდაფ' მონოლოგების შემთხვევაში:

1. რამდენად აგრესიულია თანამედროვე სოციალური იუმორის, კერძოდ, 'სტენდაფ' კომედიის დისკურსი. ანუ, ჩვენს შემთხვევაში, უჭირავს თუ არა ირონიასა და სარკაზმს მნიშვნელოვანი ადგილი აგრესიული იუმორის შექმნაში.

2. მიემართება თუ არა ირონიული და სარკასტული გამონათქვამები კონკრეტული საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემატიკას (სოციალურ პრობლემატიკასა და კულტურულ სტერეოტიპებს).

3. განსხვავდება თუ არა აუდიტორიის რეაქცია აგრესიული და ნაკლებად აგრესიული ხუმრობების მოსმენის შემთხვევებში და რა ხასიათისაა ეს მსგავსება-განსხვავებანი.

4. განსხვავდება თუ არა ორი ქვეყნის (საქართველოსა და ამერიკის) აუდიტორიის რეაქცია აგრესიული იუმორისტული გამონათქვამების მოსმენისას და რა ხასიათისაა ეს მსგავსება-განსხვავებანი.

პენიტენციური სისტემის ( პატიმრების არგოს) შემთხვევაში:

1. არის თუ არა ირონია და სარკაზმი ციხის არგოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და რა წილი მოდის მასზე / რამდენად აგრესიულ იუმორზეა დაფუძნებული ციხის არგო.

2. მიიჩნევა თუ არა აგრესიული იუმორის გამოყენება პატიმრის ავტორიტეტულობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშნად.

ინტერკულტურული შეპირისპირების შემთხვევაში (The ვანოს შოუსა და The Late Show with Stephen Colbert საფუძველზე):

2. მიემართება თუ არა აგრესიული (სარკასტული და ირონიული გამონათქვამები) იუმორის შემცველი გამონათქვამები საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემატიკას (სოციალურ პრობლემებსა და კულტურულ სტერეოტიპებს) და რა მსგავსება-განსხვავებებია ფიქსირდება ამ მიმართულებით.

**ნაშრომის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო** აგებულია შედარებითი და კულტურათაშორისი კვლევის საფუძველზე (არმიჰო და სხვ., 2011[1]), კერძოდ, მოიცავს იუმორის/ სიცილის შესახებ კრიკმანის (2005) შეუსაბამობის, ჰობსის (1996) მიხედვით უპირატესობისა, და სპენსერისა (1860) და ფროიდის (1905) მიხედვით შექმნილი ე, წ, „შვების" თეორიები; ირონიისა და სარკაზმის მკვლევარები, ატარდო (1994, 2000), სპერბერი და უილსონი (1981), ჰაჩეონი (1994), კუმონ-ნაკამურა (2007), განსაკუთრებით. გენდერული სტერეოტიპების დაკვირვების მხრივ ლეიკოფის (1975) და ტანენის (19990), დისკურსის, სარკასტული და ირონიული გამონათქვამების ანალიზის კუთხით, ნაშრომში მნიშვნელოვანი წილი აქვს გრაისის (1975) კოოპერაციულ პრინციპსა და იმპლიკაციის ცნებას, სპერბერისა და უილსონის (1981) ექოს ტიპის ხსენების, კლარკისა და გერიგის (1984) დადანაშაულების თეორიის მიხედვით ნაკამურას (2007) ალუზიური ბრალდების პრინციპს, და გოფმანისა (1969) და იულის (1996) სახის ცნების მიხედვით ბრაუნისა და ლევინსონის, ნორიკისა და ჩიაროს (2009), თეორიებს.

**ნაშრომის სტრუქტურა** განისაზღვრა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავის, საერთო დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან.

[1] Armijo, J.C., Castañeda, L., Rubio, A.M., Dahmen, D.M., Luarte, A.R., Retamal, D.V., & Pavez, D. (2011). A comparative and cross-cultural study of irony, sarcasm, and stereotypes in north american, english, and chilean stand-up comedies

# თავი I

## 1. ვერბალური აგრესია

ვერბალური აგრესია განიმარტება, როგორც ვერბალური „გზავნილის გაცვლა ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი მაინც თავს ესხმის მეორის სახეს ფსიქოლოგიური ტკივილის გამოწვევის მიზნით“ (ინფანტი და უიგლი, 1986: 67). რენსერი და ავტგისი (2006), ხუთი შესაძლო მიზეზის დასახელებით, აჯამებენ ინფანტის ადრეულ განმარტებას. ესენია ზიზღი, სოციალური მოძღვრება, ფსიქოპათოლოგია, არგუმენტირების უნარების ნაკლებობა, და გენეტიკა (წინასწარგანწყობითი მახასიათებლები). უფრო კონკრეტულად, ვერბალური აგრესია განიმარტება, როგორც კონფლიქტში მყოფი ადამიანის მყარი მიდრეკილება მეორე ადამიანის სახეზე თავდასხმისაკენ, ფსიქოლოგიური ტკივილის გამოწვევის მიზნით (ინფანტი და უიგლი, 1986). ვერბალური აგრესიის გზავნილები (ვერბალური აგრესიის ქცევითი გამოხატულება) წარმოდგენილია პიროვნულ შტრიხებზე თავდასხმით, ადამიანის კომპეტენციის დაკნინებით, შეურაცხყოფით, წყევლით, გაკილვით, დაცინვით, ლანძღვით, და სხვა - არავერბალური ნიშნებით (ინფანტი და ა. შ. 1990, 1992).

### 1.1 აგრესიის პრაგმატიკა და აგრესიული იუმორი

აგრესია მრავალნაირად შეიძლება განიმარტოს. შედარებით ტრადიციული განმარტებები აგრესიის ფიზიკური გამოვლინებებითაა განპირობებული. მაგალითად, მეი (1972) აგრესიასა და ძალადობას ძალაუფლებასთან აკავშირებს. იგი ძალაუფლების ხუთ საფეხურს გამოყოფს, რომლებიც საკუთარი სიძლიერის აღიარებასა და უპირატესობის (უმეტესად ფიზიკურის) დამტკიცებას მოიცავენ. როგორც ჩანს, აგრესიული ნარატივის კომედიურ წარმოდგენებში დანერგვა გავლენის მოპოვებისა და უპირატესობის ჩვენების აუცილებელი ფაქტორია. ისინი, შესაძლოა, საკუთარი სახის გამყარებას ვერბალური აგრესიის ზემოაღნიშნული პრაგმატიკული ფუნქციების მეშვეობით ახერხებდნენ.

აგრესიის სხვა განმარტებები სცდება მის ფიზიკურ გამოვლინებებს და ამ ცნების უფრო მასშტაბურ ხედვას გვთავაზობს. სტეინმეცი (1977: 19) აგრესიას განმარტავდა,

როგორც ფიზიკური და ვერბალური ძალის განზრახულ გამოყენებას საკუთარი მიზნის განსახორციელებლად. სტეინმეცის აზრით, აგრესიის ხარისხი კომუნიკაციის აქტის განზრახვაზე, მის წარმატებულობასა ან მარცხზეა დამოკიდებული, ასევე აქტის ინსტრუმენტულ ან ექსპრესიულ გამოყენებაზე და მის ლეგიტიმურობასა ან არალეგიტიმურობაზე. ამ განმარტებაზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ აგრესიამ კომიკოსებისთვის ერთგვარი დამატებითი/ სათადარიგო ინსტრუმენტის როლი შეიძლება შეასრულოს. აგრესიული დისკურსი, შესაძლოა, დაეხმაროს მათ აუდიტორიის ქცევა საკუთარი მოლოდინების მიხედვით წარმართონ, თუნდაც ეს მათ მორალურ ღირებულებებს ეწინააღმდეგებოდეს. ანუ აუდიტორია აფასებს და, გარკვეულწილად, დასტურს აძლევს (სიცილით, ტაშით და სხვა ქმედებით.) კომიკოსს სხვადასხვა სოციალური ნორმის რღვევის მართებულობის თაობაზე. ინფანტი (1987: 158) ამტკიცებს, რომ აგრესია ინტერპერსონალური კომუნიკაციის კონტექსტშია ჩანერგილი. ის ამბობს, რომ ინტერპერსონალური კომუნიკაცია ახდენს აგრესიის დემონსტრირებას, თუკი იგი უშუალოდ იყენებს ძალას, ფიზიკურს და/ ან სიმბოლურს (ვერბალურს), რათა დაამარცხოს, დააზიანოს, და შესაძლოა გაანადგუროს კიდეც შეტევის ობიექტი (ადამიანის სხეული, მატერიალური კუთვნილება, სახე, პოზიცია ან კომუნიკაციისა და ქცევის სხვადასხვა ასპექტი). როგორც იული (1996) აღნიშნავს, თუკი მოსაუბრე რაიმე ისეთს ამბობს, რაც მეორე ადამიანის იმიჯისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ეს სახეზე შეტევის აქტია. რუსიეშვილი (2011) მიიჩნევს, რომ სარკაზმი სახის დაზიანების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ლინგვისტური ინსტრუმენტია. კონტრერასი და სხვები (2011) ამტკიცებენ, რომ სარკაზმი ადამიანის გაცინების ყველაზე წარმატებული გზაა. შესაბამისად, აგრესიული იუმორის დანერგვა ლინგვისტური ინსტრუმენტების სწორი გამოყენების პარალელურად შესაძლოა წარმატებული წარმოდგენის დადგმის უკონკურენტო სტრატეგია იყოს კომიკოსისთვის.

იუმორს წესრიგის დამყარებისა და/ ან მისი დარღვევის ძალა შესწევს. მაგალითად, ხუმრობა შეიძლება იყოს როგორც აგრესიული, ასევე დამეგობრებაზე მიმართული (ნორიკი, 2003). ჰოლმსი (2000) ირწმუნება, რომ იუმორი შეიძლება იყოს როგორც რეპრესიული, ასევე სუბვერსიული. უფრო კონკრეტულად, იგი თანაბრად ეფექტურია არსებული კონფლიქტის ჩახშობისა და მისი გამწვავების პროცესში.

ბოქსერი და კორტეს-კონდესიც (1997) გვიჩვენებენ, რომ ხუმრობამ საუბარში შეიძლება შეიძინოს როგორც კავშირის გაზმის, ასევე კრიტიკის,დაცინვის ფუნქცია. უფრო მეტიც, ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კონტროლის შესანარჩუნებლად, ასევე, იქცეს ქვეშევრდომების მიერ ავტორიტეტის შექმნის, გაღიზიანებისა და დამხობის ინსტრუმენტადაც. კალპეპერი (1996) ასახელებს უარყოფას, გარიყვას ან დაცინვას, როგორც უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიებს, რადგან მიიჩნევს მათ, როგორც თანამოსაუბრეებს შორის ძალაუფლებათა სხვაობის ხაზგასმის იარაღს. ასევე, ავტორი მიიჩნევს, რომ არათავაზიანი საუბარი მოსაუბრეთა ურთიერთდამოკიდებულების ერთგვარი მარკერია (2011). მაიკლ ბილიგი (2005) წერს, რომ იუმორი სოციალური ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია და ის ძირეულ კავშირშია სოციალურ წესრიგთან (განსაკუთრებით დაცინვის შემთხვევაში). ავტორი ამტკიცებს, რომ სიცილი რიტორიკული ელემენტია და მას იუმორსა და კონტექსტურ უხერხულობასთან გარკვეული, ნაკლებად შესწავლილი კავშირები აქვს. ზოგადად, ის, რაც უხერხულია, სასაცილოა, და ხალხი არამხოლოდ იცინის სხვებთან ერთად, არამედ, ასევე, იცინის სხვებზე და სოციალური წესრიგის ასეთი დარღვევებით, გარკვეულ სიამოვნებას იღებს.

აქ მოყვანილი თეორიები გვიჩვენებენ, რომ იუმორი შეიძლება იყოს აგრესიული კომუნიკაციის ნაწილი და მას ნამდვილად აქვს მკაფიოდ ფორმირებული პრაგმატიკული მიზნები, როგორიცაა სოციალიზაცია, დამოკიდებულების ჩვენება და სოციუმში თავის დამკვიდრება.

## 1.2 აგრესიული იუმორის პრაგმატიკა - ჯგუფური მიკუთვნებულობა

მიკუთვნებულობა განიმარტება როგორც პოზიტიური, ზოგჯერ ინტიმური პირადი ურთიერთობა (ზიმბარდო & ფორმიკა 1963). გარკვეულ გარემოებებში, ადამიანები უპირატესობას შიდა და გარე ჯგუფებს (ან გარე ჯგუფის წევრებს) შორის შიდა ჯგუფზე აკეთებენ არჩევანს. ეს შეიძლება გამოიხატოს სხვისი შეფასებით, კავშირების შექმნით, რესურსების გადანაწილებით და ა.შ. (აარონსონი, უილსონი, აკერტი & სომერსი (2015). მიკუთვნებულობა, შესაძლოა, მიმართული იყოს მეორე ადამიანთან პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბებისკენ, შენარჩუნებისა ან აღდგენისკენ (ბირნი, 1961). ტაიფელი და სხვები (ტაიფელი, ბილიგი, ბანდი,

ფლამენტი, 1971) მიიჩნევენ, რომ ხალხის კონკრეტულ ჯგუფში გაწევრიანება რამდენიმე წუთის საქმეა და ასეთი ჯგუფები, შესაძლოა, ჩამოყალიბდეს სრულიად პირობითი და გამოგონილი, ზოგჯერ დისკრიმინაციული მახასიათებლების საფუძველზეც, როგორიცაა რომელიმე ხელოვნების ნიმუშის გარშემო გაერთიანება, ნდობა, ინტიმურობა, ერთგულება, წმინდა ცოდნაზე ან ჭეშმარიტებაზე წვდომა საიდუმლო წევრობის თანმხლები ცნებებია (სიმელი, 1950).

ცხადია, რომ ადამიანები შეიძლება გაერთიანდნენ ნებისმიერი ტიპის საზიარო შეხედულების საფუძველზე. 'სტენდაფ' კომედიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში მონაწილე კომიკოსი და მისი აუდიტორია წარმოდგენის პროცესში ერთ სოციალურ ჯგუფად წარმოგვიდგება; მათ აერთიანებთ ისეთი გლობალური და მრავალმხრივი ძლიერი ფსიქო-სოციალური ფენომენი, როგორიცაა იუმორი; აუდიტორიის თითოეულ წევრს საერთო განზრახვა ამოძრავებს; თითოეულმა მათგანმა იუმორის ეს კონკრეტული ჟანრი, შოუ და, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული კომიკოსი აირჩია (რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის გადახდის საფუძველზე). დამატებით გამაერთინებელ კრიტერიუმად კი ის დევიანტური დამოკიდებულებებია, რასაც ერთი ამბობს, მეორე კი ეთანხმება (იცინის, ტაშს უკრავს).

ზემოთნახსენები ასპექტები სრულად ჰფენს ნათელს კომიკოსების მიერ აგრესიული იუმორის დანერგვის შესაძლო მოსალოდნელ შედეგებს. წინამდებარე კვლევაში დავაკვირდით, რამდენად მართლდება მათი მოლოდინები.

### 1.3 სოციალური ნორმების დარღვევა

ნორმების დაწესება ნებისმიერი საზოგადოებისა და ჯგუფისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ის გარკვეულ წესრიგს ქმნის (სტამკუ, ვან კლიფი, ჰომანი & გალინსკი, 2016). უფრო ზუსტად, ნორმების დარღვევა მიუღებელია, რადგან ამან, შესაძლოა, არეულობა გამოიწვიოს საზოგადოებასა და ადამიანთა ჯგუფებში (ფელდმანი, 1984; სტამკუ და სხვ., 2016).

ზოგიერთ შემთვევაში, ნორმების დარღვევამ, შესაძლოა, დადებითი შედეგი მოიტანოს, როგორიცაა გავლენისა და სტატუსის მოპოვება (ვან კლიფი, ჰომანი, ფინკენაუერი, გიუნდემირი & სტამკუ, 2011; ვან კლიფი და სხვ., 2012). ეს ნიშნავს, რომ კომიკოსების მხრიდან სოციალური ნორმების დარღვევა ნამდვილად შეიძლება იქნეს

გამოყენებული სტრატეგიულად კონკრეტული ფსიქოლოგიური ზეგავლენის მისაღწევად, როგორიცაა აუდიტორიაზე გავლენის მოპოვება და საკუთარი ავტორიტეტის ჩამოყალიბება.

კელტნერის და სხვ. მიხედვით (2003), ძალაუფლების მქონენი შედარებით თავისუფალნი არიან, მოიქცნენ ისე, როგორც სურთ. ძალაუფლების სათავეში მყოფი ადამიანები ნაკლებ სოციალურ შეზღუდვას აწყდებიან და ხელთ არსებული რესურებით (ფული, განათლება, მხარდაჭერა) ბევრად მდიდარ გარემოში ცხოვრობენ. ისინი თავიანთი სურვილის მიხედვით მოქმედებენ, უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე. ადამიანები, რომელნიც თავს გავლენიანად გრძნობენ, უფრო მეტად არიან მიზანზე ორიენტირებულნი, ვიდრე ისინი, ვისაც ნაკლები გავლენა აქვს (გალინსკი, გრუენფელდი, & მაგიი, 2003). გავლენიანი ადამიანებისთვის ასევე მეტად დამახასიათებელია რისკიანი ქმედებები (ანდერსონი & გალინსკი, 2006), ემოციების ღიად გამოხატვა (ჰექტი & ლაფრანსი, 1998), საკუთარი მოთხოვნილებებისა და მიდრეკილებების მიხედვით ქცევა (ჩენი, ლი-ჩაი, & ბარი, 2001) და სიტუაციური ზეწოლის იგნორირება (გალინსკი და სხვ., 2008).

ეს მიმოხილვა ერთგვარი სახელმძღვანელო სქემაა 'სტენდაფ' დისკურსში სოციალური ნორმების დარღვევის როლისა და წილის დასადგენად და აგრეთვე იმის გასარკვევად, ნამდვილად აისახება თუ არა მათ გამოსვლებში სოციალური ნორმების ინტენსიური რღვევა იუმორისტების იმიჯსა და სტატუსზე, და ნამდვილად შეიმჩნევა თუ არა ეს აუდიტორიის რეაქციებში.

### 1.4 იუმორი

იუმორის შესახებ რამდენიმე ფორმალური აღწერითი თეორიაა შექმნილი. ქვემოთ მათგან სამ ყველაზე მნიშვნელოვანს, შეუსაბამობის, უპირატესობისა და შვების თეორიებს განვიხილავთ.

#### 1.4.1 შეუსაბამობის თეორია

კრიკმანის (2005) მიხედვით, შეუსაბამობის თეორია გულისხმობს შეუსაბამობას ან წინააღმდეგობას იუმორისტულ ტექსტში. ანუ იუმორისტულ გამონათქვამში ორი შეუთავსებელი ხაზის არსებობას (შინაარსის ფენები, სკრიპტები, მითითებების

ჩარჩოები და ა.შ.), ამ ორი ხაზის განსხვავებულობის მიუხედავად, მათში არის ისეთი საერთო თვისება, რაც შესაძლებელს ხდის ერთიდან მეორეზე გადასვლას. ზოგადად, მსმენელი ხუმრობის აღქმისას ჯერ ყველაზე ძირითად (ხშირი, მოსალოდნელი კონკრეტული კულტურის ფარგლებში) ინტერპრეტაციას აკეთებს, თუმცა კრახის განცდის შემდეგ, ანუ მას შემდეგ,რაც კონკრეტული ინტერპრეტაცია არ გამოადგება, იუმორისტული გამონათქვამის გაშიფრვაში, იგი ალტერნატიულ ინტერპრეტაციებს იშველიებს.

ამ პრობლემის წარმატებით გადაჭრის შემდგომ, თეორიის მიხედვით, მსმენელი ჯერ გაოცებას, შემდგომ კი კმაყოფილებას განიცდის, რასაც საბოლოოდ სიცილამდე მიჰყავს. კანტი (1790: 133) გაოცებას სიცილის აუცილებელ წინაპირობად ასახელებდა. მისი მტკიცებით ვიცინით მაშინ, როცა რაღაც ძალიან გვიკვირს.

მიიჩნევა, რომ გაოცების ელემენტს, გარკვეული დოზით, ყველა ხუმრობა შეიცავს. ასევე მიღებულია, რომ ხუმრობის ძირითადი, იუმორისტული ნაწილი, მისი ბოლო ნაწილია. შეუსაბამობის თეორიის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხუმრობის დასაწყისი და ბოლო განსხვავებულია და ამ განსხვავებულობის ფონზე წარმოიშვება იუმორი. შეუსაბამობის თეორია იუმორისტული გამონათქვამების უმეტეს ნაწილს ერგება და ის იუმორის შესახებ ყველაზე ცნობილი თეორიაა.

თეორიის ნაკლად მიიჩნევა ფაქტი, რომ ის ვერ ხსნის შეუსაბამობის სხვა შემთხვევებს, რომლებიც იუმორისტულ ეფექტს არ იწვევენ. ასეთია, მაგალითად, მეტაფორა, მისი ძირითადი კომპონენტი სწორედ შეუსაბამობაა, თუმცა, ხუმრობისგან განსხვავებით, იგი სიცილს არ იწვევს.

### 1.4.2 უპირატესობის თეორია

უპირატესობის თეორია მოსაუბრის მხრიდან ადრესატის მიმართ უარყოფას, კრიტიკას, აგრესიას ითვალისწინებს.

ეს აზრი თომას ჰობსის „ლევიათანშიც“ (1996) ფიგურირებს. ადამიანი სხვის ცუდ ბედ-იღბალზე იცინის, რადგან ეს ხვედრი თავის სვებედიანობას, პრიორიტეტულობას ამტკიცებს. სოკრატე მიიჩნევს, რომ სიცილი ხასიათდება თვითიგნორირების ჩვენებით; არსიტოტელესთვის, ჩვენ ჩვენზე დაბალ საფეხურზე

მდგომ ან მახინჯ ადამიანებზე ვიცინით, რადგან გვსიამოვნებს იმის შეგრძნება, რომ მათზე უპირატესნი ვართ (სქინერი ი., და სხვ., 2002).

ამ თეორიის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია ჰობსი (1996), რომლის მიხედვითაც, სიცილი ეგოიზმზეა აგებული. სიცილის მიზეზი შეიძლება იყოს სწორედ ის ფაქტი, რომ ადამიანი ჩასწვდა ხუმრობის აზრს და გაიაზრა თავისი უპირატესობა. ჰობსი მიიჩნევდა, რომ რომ ჩვენს სიცილს ჩვენი სიძლიერე განაპირობებს. ჩვენ სიამოვნებას ვპოულობთ იმაში, რომ სხვაზე ძლიერები, უპირატესები ვართ. შესაბამისად, ხაზს ვუსვამთ სხვების ნაკლს და წარმოვაჩენთ მათ ჩვენზე სუსტებად.

ამ თეორიის პრიზმიდან დანახული იუმორი ბუნებით აგრესიული და „მწარეა“, რადგან ის ფოკუსირდება კონკრეტულ სამიზნეზე _ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე.

### 1.4.3 შვების თეორია

ამ თეორიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები სპენსერი (1860) და ფროიდი (1905) არიან. ფროიდმა პირველმა წამოაყენა ეს თეორია, თუმცა არ მოუაზრებია იგი, როგორც შეუსაბამობის თეორიის „კონკურენტი“, ის შეეცადა აეხსნა, რა იწვევს სიცილს. ამ თეორიის საფუძველი ის მოსაზრება გახდა, რომ ყოველ ჩვენს ფიზიკურ ქმედებას გარკვეული გონებრივი ენერგიის გამოთავისუფლება უძღვის წინ. შესაბამისად, სიცილი, შესაძლოა, გონებრივი ენერგიის ფიზიკურ ქმედებაში ასახვა იყოს. ამგვარად, სპენსერმა (1860) ივარაუდა, რომ სიცილი ჩვენი ორგანიზმის დაგროვილი უარყოფითი ენერგიებისგან გათავისუფლების მექანიზმია.

სპენსერის (1860) თეორია ფროიდმა (1905) ახალი მოსაზრებებით გაამდიდრა. ფროიდის აზრით, ენერგია, რომელსაც ადამიანები სიცილის დროს გამოათავისუფლებენ, წარსულში სხვადასხვა უარყოფითი მოვლენების შედეგადაა ჩვენს სისტემაში დაგროვილი. ფროიდი სიცილს შვების მომგვრელ მექანიზმად ასახელებს. ფროიდის მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ჩაღრმავების მიუხედავად, იგი იუმორის შედეგს (სიცილს) უფრო ეხმაურება, ვიდრე თავად იუმორის ფენომენს.

მიუხედავად ამ სამი თეორიის საკმაო გამართულობისა და ლოგიკურობისა, მკვლევართა უმეტესობას სჯერა, რომ იუმორის ფენომენის ამოსახსნელად მხოლოდ ერთი მათგანი არ იქნება საკმარისი. სიცილის გამომწვევი ფაქტორები ბევრი და ერთმანეთისგან ზოგჯერ საკმაოდ განსხვავებულია. მხოლოდ ერთი თეორია

არასაკმარისი იქნებოდა ყველა იმ იუმორისტული მაგალითის გასაშიფრად, რაც ჩვენს ყოველდღიურობაში გვხვდება.

### 1.4.4 იუმორის პრაგმატიკული ფუნქციები

*"იუმორის გრძნობა ლიდერობის ხელოვნების, ხალხთან შეწყობის, ნაყოფიერი შრომის ნაწილია."* [დუაით დ. აიზენჰაუერი. 1959 (აშშ-ს პრეზიდენტი. 1953-1961)]. იუმორის პრაგმატიკულ ფუნქციებად შეიძლება მივიჩნიოთ სოციალური კავშირების გაბმა, რაც მოიცავს კონტროლის მოპოვებას, სოლიდარობის გაღვივებას, თამაშს და ა.შ. ასევე შეიმჩნევა, იუმორის მეშვეობით, ერთგვარად პასუხისმგებლობის თავიდან არიდება, თითქოს ვამბობთ და თან არ ვამბობთ; ანუ თუ ჩვენს სათქმელს ხუმრობად მივიჩნევთ, შეგვიძლია ის უკანაც წავიღოთ; ამასთან კავშირშია კრიტიკული აზრის გამოთქმის ფუნქცია; ხუმრობის მეშვეობით გვიმარტივდება აზრის გამოთქმა.

## 1.5 ციხის არგო

### ციხის არგო - ციხის ცხოვრების ენობრივი რეპრეზენტაცია

ციხის არგოს მნიშვნელობასა და აქტუალობას ისეთი მეცნიერების მოსაზრებათა გაჟღერებით ვეცდებით, როგორებიც არიან საფირი (1951), ჰადსონი (1980), ჰალიდეი (1977), ფიშერი (1970), ანდერსონი (1990), საიქსი (1960), გოფმანი (1967) და სხვ.

ენა, როგორც კომუნიკაციის ძირითადი რეჟიმი, სოციალიზაციისა და მუდმივი ქცევითი კოდექსის ჩამოყალიბების ძირითადი კომპონენტია (დინ-ბრაუნი, 1992; დიტრიხი & გრონმანი, 1989, საფირი, 1951). შესაბამისად, სხვადასხვა სოციალური ჯგუფი განაპირობებს ენის მრავალფეროვნებას. ნამდვილად, ქვეჯგუფებს შორის დაყოფა შესაძლოა დასაბუთებულ იქნას მათი ენის უნიკალური მახასიათებლებით (ჰადსონი, 1980). ენა, რომლის წიაღშიც ჯგუფი ფიქრობს და ურთიერთობს, ემსახურება მისი წევრების გამოცდილების ორგანიზებასა და მათი სამყაროსა და სოციალური რეალობის სწორ ფორმულირებას (ჰალიდეი, 1977). ენის რესურსები და მრავალფეროვნება ირეკლავს მომხმარებლის საჭიროებისა და ინტერესების შესაბამის სიტყვათა სიას (ილეინი, 1982; ფიშმანი, 1972). შესაბამისად, თითეულ საზოგადოებაში, შესაძლებელია, გამოვყოთ ქვეჯგუფები, რომლებიც ფლობენ საერთო ქცევით და

ლინგვისტურ თვისებებს (მაურერი, 1981). ზოგიერთი ქვეჯგუფი ყალიბდება, როგორც მისი წევრების ორგანიზებული რეაქცია ახალ შესაძლებლობებზე, შანსებზე, ცვლილებებსა და ასევე დეფიციტზე, აკრძალვებსა და მათ გარემოში არსებულ სტრესზე (განსი, 1962). ქვეჯგუფების ენა შესაძლოა შეიცავდეს ისეთ ინდივიდუალურ ფრაზებს, რომელიც არ გვხვდება ფართო საზოგადოების ენაში ან ნასესხებს სიტყვებს, რომელთაც ახალი შინაარსი აქვთ შეძენილი (ალატის, 1992; ანდერსონი & ტრაჯილი, 1990).

საზოგადოებაში ქვეჯგუფის მიერ სპეციფიკური ცნებები ხშირად გამოხატულია სლენგით (ანდერსონი & ტრაილი, 1990). არგო, რომელიც წარმოიშვა, როგორც ქურდების ენა თუმცა ოფიციალურად გამოიყენება, როგორც დაჯგუფებების ენა, სლენგის კერძო ფორმაა (ბოუკერი, 1980; ნილსონი & სკრაპიტი, 1995). პატიმარი ცხოვრობს, ფიქრობს და ფუნქციონირებს არგოს მიერ ფორმირებულ ჩარჩოში, ამიტომ არგო ითავსებს პატიმრისთვის საჭირო ფუნქციებს (ბონდესონი, 1989).

არგო არის პატიმრების მიერ ჩამოყალიბებული ქცევითი და მორალური კოდი (ქლემერი, 1940; პლატი, 198; საიქსი და მესინჯერი, 1960). შიდა კოდექსის ნორმები და ღირებულებები შეადგენს ციხის სუბკულტურის ბირთვს, ის წარმოადგენს ძალაუფლებისა და სტატუსის მოხვეჭის საშუალებას და, ამასთანავე, ერთგვარ შემამსუბუქებელ ინსტრუმენტს სოციალური უარყოფისა და ავტონომიურობის დაკარგვის ფონზე (ბონდესონი, 1989; საიქსი & მესინჯერი, 1960). შესაბამისად, პატიმრისთვის ციხის კოდექსი პირდაპირ კავშირშია სოციალიზაციის პროცესსა და ადაპტაციასთან. ცნობილია, რომ პატიმრისთვის გარესამყაროს ნორმატივები, სიმბოლოები და მისი წევრები ბუნებრივ მტრად იქცევა და, შესაბამისად, ციხის კოდექსის არსებობა შეუქცევადი პროცესია და უნივერსალურია ყველა ციხისა და მათი პატიმრებისთვის (პლატი, 1980; საიქსი, 1958). კოდექსი აღქმულია, როგორც კოლექტიური და ფუნქციური ძირი ციხის გარემოსთან შეგუებისა (ფიშერი, 1990; გოფმანი, 1961) და საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის შემსუბუქებისათვის, რაც გამოწვეულია შეზღუდვით (თავისუფლების, პროდუქტებისა და მომსახურების, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის, დაცულობის, პირადი სივრცის), წყვილების სოციალური ჰეტეროგენულობით (ბექგრაუნდი, განათლება, ინტელექტი და ა.შ.) ორ სამყაროს შორის გაუცხოვებით

(გარესამყარო/ ციხე), სტაბილურობისა და ფიზიკური აქტივობის ნაკლებობით, მოწყენილობითა და ბუნდოვანი მომავლით (ფარინგტონი, 1994; ჯოუნსი, 1988; კალინიჩი, 1980; მანჰაიმი, 1965).

### 1.5.1 არგოს მოკლე ისტორია

არგო კრიმინალების მიერ ჩამოყალიბებული საიდუმლო ენაა, რომელიც მათ ხელისუფლებისგან დაიცავდა (ლეფკოვიცი, 1991). ახლა ტერმინი პროფესიულ ენას ან ჟარგონსაც მოიცავს, იდენტიფიცირებული ან მარგინალური სოციალური ჯგუფებისა და ურბანული არის ენას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა სოციალურ კლასებს. მიუხედავად იმისა, რომ არგო ჩამოყალიბდა როგორც კრიმინალების საიდუმლო ენა, თანამედროვე სლენგის განსაზღვრული ფრაზეოლოგიით, იგი მაინც ატარებს სოციალურ მარკერს (social signum) ან იდენტიფიცირდება კონკრეტულ სპეციფიკურ ჯგუფთან. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ არგო განსაკუთრებით მდიდარია ისეთი თემატიკის ლექსიკით, როგორიცაა ნარკოტიკები, დანაშაული, სექსი, ფული და ა.შ..

ლექსიკური სიმდიდრის თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს, რომ არგო შემოსაზღვრულია მხოლოდ გარკვეული ტიპის სასაუბრო თემებით, ასევე შეზღუდული რაოდენობის კონტექსტებითა და კომუნიკაციის არხებით.

არგო ინგლისში 1860 წლამდე არ შეინიშნება. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, იგი თავდაპირველად პარიზელი ქურდების ჟარგონს წარმოადგენდა. დღევანდელ ინგლისურში არგო ჟარგონის ნეგატიური კონოტაციისგან შედარებით თავისუფალია და უფრო ხშირად დამახასიათებელია სპეციფიური ტიპის სუბკულტურებისთვის, როგორიც შეიძლება იყოს, მაგალითად, ჯაზ-მუსიკოსების არგო.

ნაშრომის პირველ თავში, იუმორის ირგვლივ შექმნილ მნიშვნელოვან თეორიებს გავეცანით და ჩვენი კვლევის ემპირიული მასალა წარმოგიდგინეთ. შესაბამისად, ვეცადეთ, გვეჩვენებინა, თუ რა რიტორიკული ეფექტი შეიძლება შესძინოს აგრესიამ და მისმა თანმხლებმა იდიომატურმა რესურსებმა იუმორისტულ დისკურსს.

# თავი II

## 2. აგრესიული იუმორის ლინგვისტური რეალიზაცია

### 2.1 'სტენდაფ' კომედია

'სტენდაფ' კომედია იუმორის თანამედროვე და ყველასთვის კარგად ნაცნობი ჟანრია. იგი „კომედიური დისკურსის ყველაზე თავისუფალი ფორმაა" და წარმოადგენს გამომსვლელის (კომიკოსის) იდეოლოგიის ერთგვარ რეპრეზენტაციას (მენდრინოსი, 2004). ჯორჯ კარლინი და ჩარლი როუზი (26 მარტი 1996) 'სტენდაფ' იმპროვიზაციულ ბუნებას ჯაზს ადარებენ. ვუდუორდი კი კომიკოსის შემოქმედებით პროცესსა და მუსიკის წერას შორის ავლებს პარალელს (20 დეკ. 2012). 'სტენდაფ' კომედია თანამედროვე იუმორის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრადაა აღიარებული და მას, ძირითადად, სატელევიზიო შოუების ან ლაივ-წარმოდგენების სახე აქვს. იგი კომიკოსსა და აუდიტორიას შორის რეალისტური დიალოგის შესაძლებლობას იძლევა და ერთგვარი ინტიმური ატმოსფერო ახლავს თან, სადაც მაყურებლის რეაქციებზე, მიმღებლობასა და უარყოფაზე დაკვირვებაა შესაძლებელი.

'სტენდაფ' კომედიის ყველაზე მიმზიდველი მახასიათებელი მისი სოციალურობაა. კომიკოსთა მონოლოგები საზოგადოების ყველაზე აქტუალურ პრობლემატიკაზეა აგებული, იქნება ეს პოლიტიკა, რელიგია, კულტურა თუ ეკონომიკა. საუკუნეების მანძილზე 'სტენდაფ' კომედია არამხოლოდ საზოგადოების აზრების იუმორისტულ გამტარად და ამრეკლად, არამედ მისი ტრანსფორმირების ერთგვარ ინსტრუმენტად ჩამოყალიბდა. კომიკოსები ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე ფოკუსირებით და თავიანთი სატირიკული სტილით ცდილობენ ჯანსაღი აზრი გააღვივონ საზოგადოებაში, დაანახონ მათ თავიანთი ნაკლოვანებები.

#### 2.1.1 'სტენდაფ' კომედია და სოციუმი

ამერიკული მემკვიდრეობის სამეცნიერო ლექსიკონის (American Heritage Dictionary, 2000) მიხედვით, სოციოლოგია არის სფერო, რომელიც შეისწავლის საზოგადოებას, სოციალურ ურთიერთობებსა და ქცევებს, სოციალურ ინტერაქციასა და ყოველდღიურ კულტურას. ეშლი (2005) ამბობს, რომ სოციოლოგია არის

სოციალური მეცნიერება, რომელიც იყენებს ემპირიული გამოძიებისა და კრიტიკული ანალიზის სხვადასხვა მეთოდს სოციალური წყობის, მიღებისა და ცვლილების, ან სოციალური ევოლუციის შესახებ ცოდნის ერთგვარი სისტემატიზაციისთვის. სოციოლოგია ასევე განიმარტება, როგორც საზოგადოების მეცნიერება. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სოციოლოგი აწარმოებს სოციალურ პოლიტიკასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ კვლევებს, სხვებისთვის პრიორიტეტულია სოციალური პროცესების აღქმის გაუმჯობესება მათი თეორიზების კვალდაკვალ. მათი ფოკუს-თემები მოიცავს როგორც მიკრო-სოციოლოგიასა და ინდივიდუალურ ინტერაქციებს ასევე სოციალური სტრუქტურების მაკრო-საფეხურებს.

სოციალური ნორმა საზოგადოების წევრი ჯგუფების მიერ გაზიარებული საერთო სტანდარტია (ლაპინსკი; რიმალი, 2005). სოციალური ნორმა შეიძლება იყოს არაფორმალური სახისა და, ასევე, მიიღოს წესისა და კანონის ფორმა (პრისტლი და სხვ. 2020).

სოციალური ნორმის დარღვევა განიმარტება, როგორც „დაუმორჩილებლობა იმ ნორმებისადმი, რომლებიც საზოგადოების ან კომუნის წევრების მიერ აღიარებულია.“[2] (აპელბაუმი და სხვ., 2009). უფრო მარტივად რომ ვთქვათ, თუკი ჯგუფის წევრები სოციალურ ნორმას არ დაემორჩილებიან, ისინი ნორმებიდან გადახვევების მქონე ადამიანებად მიიჩნევიან, ეს კი საბოლოოდ საზოგადოებისგან გარიყვით შეიძლება დასრულდეს. დევიაციის ყველაზე უკიდურეს ფორმად, დობერტისა და მექის მიხედვით, კრიმინალური დანაშაული მიიჩნევა (დობერტი & მაქეი, 2015). თუმცა არსებობს შედარებით მსუბუქი ფორმები, მაგალითად უმცირესობებზე ხუმრობები ან ადამიანების სხვადასხვა ნიშნით შეურაცხყოფა რომლებმაც ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოყენებული ემპირიული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი შეადგინა. 'სტენდაფ' კომიკოსების მონოლოგებში დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ირონიულ და სარკასტულ გამონათქვამებთან ერთად ჩვენი კვლევის ფარგლებში აგრესიული იუმორის მეორე ძირითადი ფორმაა.

---

[2] "nonconformity to a set of norms that are accepted by a significant number of people in a community or society”

### 2.1.2 უმცირესობები

სოციოლოგიაში უმცირესობაში მყოფი ჯგუფები მოიაზრებიან, როგორც დომინანტ სოციალურ ჯგუფთან შედარებით გარკვეული ნაკლოვანებების მქონენი (ჰილი, 1945). უმცირესობაში მყოფი ჯგუფის წევრობა, ძირითადად, ეყრდნობა განსხვავებებს შემდგომ ასპექტებში: ეთნიკურობა (ეთნიკური უმცირესობა), რასა (რასობრივი უმცირესობა), რელიგია (რელიგიური უმცირესობა), სექსუალური ორიენტაცია (სექსუალური უმცირესობა), ან შეზღუდული უნარები (რიცერი, 2014). მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ ინდივიდი, შესაძლოა, ერთდროულად რამდენიმე უმცირესობის ჯგუფის წევრი იყოს (მაგ. რასობრივი და რელიგიური) (ლორი, რიმი, 2017). ასევე შესაძლოა, ინდივიდი გარკვეული მახასიათებლებით რომელიმე უმცირესობის წევრი იყოს, სხვა მახასიათებლებით კი დომინანტი ჯგუფის (ლორი, რიმი, 2017).

ტერმინი „უმცირესობა" ხშირად გვხვდება სამოქალაქო და კოლექტიური უფლებების დისკურსში, რადგან უმცირესობის წევრებს განსხვავებულად ეპყრობიან თავიანთ ქვეყნებსა და საზოგადოებებში (ჯონსონი, 2019). უმცირესობის წევრები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლი დასაქმების პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების შესაძლებლობისა და სხვა მიმართულებებით (ბექერი, 1971; უილიამსი, 1999). მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციას ინდივიდები ეწევიან, მას ასევე შეიძლება ჰქონდეს ადგილი სხვადასხვა სტრუქტურებში, თუკი იქ დასაქმებულთა უფლებები და შესაძლებლობები თითოეული მათგანისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი არაა (ვერლუ, 2006). უმცირესობების უფლებების დასაცავად შექმნილ კანონებზე მსჯელობისას უმცირესობების უფლებების ენა გამოიყენება, რათა უზრუნველყოს ისინი დომინანტი ჯგუფის თანაბარი სოციალური სტატუსით (სქრენტნი, 2002).

### 2.1.3 ხუმრობის სამიზნე და საკვანძო[3] ნაწილები

სამიზნე და საკვანძო ნაწილი ნებისმიერი ხუმრობის ორი საბაზისო კომპონენტია. ნებისმიერ ხუმრობას ჰყავს ობიექტი, რომელსაც ის მიემართება, თუნდაც ეს ზედაპირულად არ იყოს გამოხატული, და, ასევე, ყველა ხუმრობას უნდა ჰქონდეს ბოლო - საკვანძო ნაწილი, რომელიც იუმორისტულ გამონათქვამში წინააღმდეგობას, პარადოქსულობას შექმნის და მსმენელს ალტერნატიული მნიშვნელობის ძიებას აიძულებს.

საკვანძო ნაწილი, კლასიკური იუმორისტული გამონათქვამის სტრუქტურაში, ხუმრობის რიგით მესამე/ ბოლო კომპონენტია. მას წინ უძღვის შესავალი ფრეიმი და ტექსტი, რომელიც საკვანძო ნაწილისთვის გვამზადებს. უფრო ფართო გაგებით, საკვანძო ნაწილი შეიძლება იყოს ნებისმიერი გამოსვლის, სიტუაციის ან ამბის მოულოდნელი და სასაცილო შეჯამება.

რიჩის (2005) მიხედვით, საკვანძო ნაწილი იუმორისტული გამონათქვამის განუყოფელი ნაწილია, რადგან მის გარეშე მსმენელი ვერ გააცნობიერებს მეორადი ინტერპრეტაციის აუცილებლობას. სწორედ საკვანძო ნაწილი ქმნის კონფლიქტს/ წინააღმდეგობას აშკარა და ნაგულისხმევ გამონათქვამებს შორის და განსხვავებული ინტერპრეტაციის გაცნობიერესბისკენ უბიძგებს მსმენელს. ის ასევე აღნიშნავს, რომ საკვანძო ნაწილი ქმნის შეუსაბამობას და უკავშირდება მოლოდინების გაცრუებას, ანუ იგი არამხოლოდ ინტერპრეტაციებს, არამედ კონკრეტულ მოლოდინებს შორის კონფლიქტსაც გულისხმობს.

იუმორისტული გამონათქვამის სამიზნე კომედიის ჟანრის სცენარისტების მიერ იუმორისტული ტექსტის შეუცვლელ კომპონენტად სახელდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხუმრობა ყოველთვის ვიღაცის (სამიზნე) ან რაღაცისკენაა (იდეოლოგიური სამიზნე) მიმართული.

მოცემული მაგალითი სამიზნისა და საკვანძო ნაწილის ბუნების უკეთ გააზრებაში დაგვეხმარება.

"Guy walks up to the widow at her husband's funeral and says, "May I just say one word?"

[3] Punchline: concludes a joke; it is intended to make people laugh. It is the third and final part of the typical joke structure

"Sure," she replies.

"Plethora."

The widow says, "Thanks. That means a lot."

მოცემული ხუმრობის იდეოლოგიური სამიზნე ყოველდღიური ადამიანური სიტუაციები და მათი პარადოქსულობაა. ხუმრობის საკვანძო ნაწილი კი შემდეგია: "Thanks. That means a lot.". როგორც ვხედავთ, იგი ხუმრობის ბოლო ნაწილია და წინამდებარე ტექსტი სწორედ მის მოსასმენად გვამზადებს და სწორედ მისი მეშვეობით იქმნება წინააღმდეგობა [აქ:] მოლოდინსა (ქვრივის გაკვირვება) და რეალობას (ქვრივის კონტექსტიდან ამოვარდნილი პასუხი) შორის, ყალიბდება ალტერნატიული ინტერპრეტაცია (ქვრივი სამძიმრებს ავტომატურ რეჟიმში [ერთსა და იმავეს] პასუხობს) და საბოლოოდ გვეცინება.

სამიზნისა და საკვანძო ნაწილის ცნებები აუდიტორიის წინაშე წარმოთქმული იუმორისტული მონოლოგების დაკვირვებისას უდაოდ პრიორიტეტული მნიშვნელობისაა, რადგან, პირველ რიგში, ამ დროს კომიკოსების იუმორი აგრესიულია (შესაბამისად, სამიზნეზე უფრო მკვეთრი მახვილია დასმული) და ასევე, მათ წინაშე მყოფი აუდიტორიის რეაქცია მათი გამოსვლის წარმატებულობის განმსაზღვრელია.

### 2.1.4 აუდიტორიის რეაქცია

აუდიტორიის პასუხი იუმორისტული გზავნილის მოსმენის შემდეგ მიმღების მყისიერი რეაქციაა, რაც ერთადერთ გზას წარმოადგენს კომიკოსის მიერ აუდიტორიის განწყობის დასადგენად. ატკინსონის (1984: 21) მიხედვით, კარგი საჯარო გამომსვლელები არამხოლოდ ელაპარაკებიან, არამედ მანიპულირებენ აუდიტორიით, მიკუთვნებულობის ტიპის რეაქციების მისაღწევად. აუდიტორიის ყველაზე ხშირი რეაქცია სიცილია. ჯეფერსონის (1985: 27-33) მიხედვით, სიცილის სხვადასხვა ფორმები არსებობს, როგორიცაა - „ha", „hah", და დროში საუბრის პროცესისა და საპასუხო სოციალური სიტუაციის მიხედვითაა განაწილებული. ჯეფერსონი (1985) აღნიშნავს, რომ ზოგჯერ სიცილი კომიკოსის მიერ სახუმარო ფრაზის დასასრულს სიცილის ნაწილაკის (ხატულის) ჩართვითაა განპირობებული. კვლევაში მან აუდიტორიის რეაქციის ორი ტიპი გამოყო. პირველი მიკუთვნებაა, რომელიც სიცილით, აპლოდისმენტებით, შეძახილებითა და სტვენით გამოიხატება; ატკინსონი

(1984: 21-31) ასევე ამატებს, რომ აუდიტორია, ჩვეულებრივ, მხოლოდ ერთი ამათგანით არ შემოიფარგლება. მაგალითად, აპლოდისმენტები მოჰყვება სიცილს, კონკრეტული ხუმრობისადმი დამატებითი პატივისცემის ნიშნად. რეაქციის დანარჩენი ტიპები კი სხვა მახასიათებლების მატარებელია. ისინი ხშირად ხმამაღალი და მკვეთრად ინდივიდუალურია.

### 2.1.6 სტერეოტიპი

პირველი ავტორი, ვინც ეს ტერმინი შემოიტანა, უოლტერ ლიპმანი (1922) იყო, 1922 წელს გამოქვეყნებულ წიგნში საჯარო აზრის შესახებ. რაპოპორტის (2005) მიხედვით, ეს ტერმინი ფორმალურად განიმარტება როგორც „სტანდარტიზებული გონებრივი სურათი, რომელიც ჯგუფის წევრებისთვის საერთოა და წარმოადგენს ზედმეტად გაამრტივებულ აზრს, აფექტურ დამოკიდებულებას, ან არაკრიტიკული განსჯას (ადამიანის, რასის, პრობლემისა ან ამბის).“[4]

სტერეოტიპი შეიცავს კომპლექსურ ღირებულებებს, როგორიცაა დამოკიდებულებები, ან პიროვნული თვისებები (არამხოლოდ ნეგატიური). თუმცა როგორც ალან დანდესი (1987) მიუთითებს, სტერეოტიპები როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული თავისებურებების შესახებ დამამცირებელი ხუმრობების საფუძველიც ხდება. ცალკეული ერებისთვის დამახასიათებელი იუმორის სტილი ავნერ ზივის (1988) მიერაა შესწავლილი, რომელმაც თავის კვლევაში აჩვენა, რომ ამერიკელი სტუდენტები იაპონელებზე ხშირად იყენებენ სასტიკ ხუმრობებს; სექსუალური სახის იუმორი ფრანგ და ბელგიელ სტუდენტებს შორის უფრო აქტუალურია; ირლანდიური ხუმრობების უმეტესობა ალკოჰოლზე და ჩხუბზეა ფოკუსირებული; ებრაელებთან კი არც ერთი ამ თემათაგანი არ გვხვდება. ზივი ასევე დააკვირდა, რომ იუმორის ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, ბიზნესმენები და მთავრობის ლიდერები შეერთებულ შტატებში უფრო ხშირად ხუმრობენ, ვიდრე

---

[4] „standardized mental picture held in common by members of a group and representing an oversimplified opinion, affective attitude, or uncritical judgment (as of a person, a race, an issue, or an event)"

ფრანგი და იტალიელი ლიდერები; იუმორისტული სატელევიზიო შოუები შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში ყველაზე მეტია.

სტერეოტიპი ყველა ჩვენგანისთვის საკმაოდ ნაცნობი ცნებაა, რადგან ის არამხოლოდ ჩვენი კულტურისთვის, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვისთვისაა დამახასიათებელი. კვლევის ფარგლებში სტერეოტიპის ცნებას მხოლოდ ხუმრობის კომპონენტის ჭრილში შევეხებით. ლეონ რაპოპორტის (2005) აზრით, ეს თითქოს ერთგვარი გაქცევაა მისი დამაზიანებელი ემოციური ეფექტისგან. ამ ხერხით მანიპულირების ძალა ნათელს ხდის, რატომ გამოიყენებოდა შეურაცხყოფა და დაცინვა კაცობრიობის ისტორიაში დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის.

სხვა სიტყვებით, სტერეოტიპი აუცილებლად განაპირობებს გარკვეული სტანდარტის არსებობას და, შესაბამისად, ამ სტანდარტს არადაქვემდებარებული ობიექტების არსებობას. ასეთი სტერეოტიპების გამოვლინებაა, მაგალითად, სოციუმის სუბკულტურებისადმი დამოკიდებულება.

რაპოპორტი (2005) ეთანხმება მოსაზრებას, რომ სტერეოტიპირების საბოლოო მიზანი დამცირებაა, თუმცა დამცირება სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა ფუნქციას იძენს:

ა) ომისა და ეროვნული დაპირირსპირებების უკიდურეს შემთხვევებში: გამოყენებულია, როგორც მოწინააღმდეგის დეჰუმანიზების ან მისი სტატუსის დაკნინების ხერხი.

ბ) ერებსა და ჯგუფებს შორის: კონფორმისტული განწყობების დომინანტური ქცევის სტანდარტამდე გაძლიერება.

გ) არსებობს ასევე სიტუაციები, რომლებშიც სტერეოტიპები ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია, რაც ხელს უწყობს იუმორისტული შეუსაბამობის წარმოშობას.

რაპოპორტისთვის იუმორი წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მიღებულ გზათაგან, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია გამოვისყიდოთ ამორალური საქციელი. ის ასევე მიგვანიშნებს, რომ კომიკოსები ის ხალხია, ვინც გზას გვიკვალავს ამ ნეგატიურ ემოციებსა და მღელვარებაში გადასაშვებად.

### 2.1.7 ამერიკული იუმორის თავისებურებები

სანამ თავისებურებებზე დავიწყებთ საუბარს, იუმორის ცნებას შევეხოთ. არისტოტელეს დროიდან მოყოლებული, დღემდე არ არსებობს თანხმობა იუმორის განმარტების შესახებ. კნაუერი (2001) ცდილობს გამოყოს სამი ინგლისურენოვანი ქვეყნის, ავსტრალიის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი მსგავსება-განსხვავებანი ამ კვლევაში მისი მოსაზრებებით მხოლოდ ამერიკული იუმორის შესახებ დავინტერესდებით.

კნაუერის (2001) აზრით, ამერიკულ იუმორში არაფერია უფრო მეტად დომინანტური, ვიდრე სექსი. რაც შეეხება შეურაცხყოფას, რ.ჯ. ალექსანდერი (1997) ამტკიცებს, რომ ამერიკელები გადაჭარბებისკენ არიან მიდრეკილნი. ის ამბობს: „რა თქმა უნდა, ზევრად აგრესიულად ჟღერს, თუ ვიტყვით „სისულელეს ლაპარაკობ, მოკეტე!“ ვიდრე „მართლა ასე ფიქრობ?“ (ბრიტანული სტილი).

ისტორიულად, დამოუკიდებლობისთვის ინდივიდუალურ ბრძოლაში, აგრესიული ხუმრობები მნიშვნელოვანი იარაღი ხდება მჩაგვრელისგან თავდასაცავად. კნაუერის (2001) აზრით, საშუალო ამერიკელი მოქალაქისთვის ეს, პირველ რიგში, პოლიტიკოსია, ასევე პროფესორი, ბოსი, ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის კი - ხშირად მასწავლებელი. თუმცა, ასევე შეიძლება, ნებისმიერი გახდეს სამიზნე (ძირითადად აგრესიული) იუმორისა, ვინც ნორმას გადაუხვევს: ჰომოსექსუალი, მეძავი, ქალიშვილი, ნარკომანი, ა.შ.

### 2.1.8 გენდერი და აგრესიული იუმორი

ენისა და გენდერის ურთიერთკავშირის კვლევას სწორედ ენათმეცნიერული საფუძვლები აქვს და იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გენდერული განსხვავებების ასახვა საუბარში და მათი სოციალური პირობებით განპირობებულობა ენაში (თოთიბაძე, ლეიკოფი, ტანენი, ჰოლმსი, კრამერი, ვესტი და ზიმერმანი, და ა.შ.).

ჰოფსტედე ნაშრომში „კულტურათა თეორია“ (1991) გამოყოფს მასკულინურ და ფემინინურ კულტურებს. მამაკაცური (მასკულინური) კულტურებისთვის დამახასიათებელია ძლიერი მამაკაცისა და ქალის არსებობა. ასეთ საზოგადოებაში ორივე გენდერი თანაბრად ამბიციური და კონკურენტუნარიანია. ჩვენი ნაშრომის გენდერული შეპირისპირების მიზნით შერჩეული მასალა სწორედ ასეთი

(მასკულინური - ამერიკის შეერთებული შტატების) კულტურის წარმომადგენლებს ეკუთვნით, რაც გვიჩენს მოლოდინს, რომ ქალი და მამაკაცი იუმორისტები თანაბრად აგრესიულები უნდა იყვნენ მოცემულ დისკურსში.

ლეიკოფი (1975) ასევე აღნიშნავს, რომ თუ გოგონა უხეში ლექსიკით ილაპარაკებს, მას დასცინებენ ან უსაყვედურებენ, მაშინ, როცა ბიჭისთვის ეს სრულიად ნორმალურად ითვლება და უფრო მეტიც, ენის საშუალებით ქალებს მუდმივად უზღუდავენ ძალაუფლებას. ამ მოსაზრებას ადასტურებს თოთიბაძის (2020) მიერ ქართული და ევროპული ზღაპრების ენის სტერეოტიპული ნიშნით შესწავლაც. ჩვენი კვლევის ფარგლებში ქალი და მამაკაცი კომიკოსების 'სტენდაფ' დისკურსზე დაკვირვება გენდერული სტერეოტიპების რელევანტურობის დადგენის საშუალებას მოგვცემს, სტენდაფ იუმორის მძაფრი და აგრესიული ხასიათის გათვალისწინებით.

ლეიკოფი (1975) ირწმუნება, რომ ქალები და მამაკაცები ხშირად განსხვავებულ ლინგვისტურ არჩევანს აკეთებენ და მაგალითად მოჰყავს ქალების მიერ 'უმნიშვნელო' სიტყვებისა თუ „კუდიანი კითხვების" (tag questions) უფრო ხშირი გამოყენება, რომლებიც მან და ტანენმა (1990) უფრო ქალურ ფორმებს მიაკუთვნეს. ლეიკოფი ზემოაღნიშნული ფორმების გამოყენებას ქალების მხრიდან კონფლიქტის, გაუგებრობისა და საბოლოო ჯამში პასუხისმგებლობის თავიდან იროდების მცდელობას მიაწერს, რადგან ასეთი საუბრისას ("The war in Vietnam is terrible, isn't it? (გვ.55) რეალური ბრალდება მიმღებს ეკისრება, მას შემდეგ რაც ის ქალის მიერ გამოთქმულ ვარაუდს დაადასტურებს. შესაბამისად, „კუდიანი" კითხვები და ფრაზული კითხვები თუ ნაწილაკები ქალის მიერ მსმენელის თვალში თავაზიან და ლოალურ პიროვნებად გამოჩენის ერთ-ერთ ხერხად გვევლინება. „კუდიანი კითხვები" და პასუხისმგებლობის არიდების სურვილი, ჩვენი აზრით, ქალი კომიკოსების დისკურსში მამაკაცებთან შედარებით ირონიის/ სარკაზმის გამოყენების ინტენსივობას უნდა ზრდიდეს. მათი ხუმრობების რაოდენობრივი ანალიზის შედეგად შეგვეძლება გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ თანამედროვე ამერიკულ კომედიაში გენდერული სტერეოტიპების ენობრივ გამოვლინებაზე.

## 2.2 ირონია

ირონიის მრავალმხრივი და რთული ბუნებიდან გამომდინარე, მისი განმარტება მუდმივად ცვალებადი და მრავალწახნაგოვანი შეიძლება იყოს.

ირონია ხშირად განიმარტება, როგორც ნაგულისხმევის საპირისპიროს თქმა. ვერბალური ირონია შესაძლოა მივიჩნიოთგამოთქმად, რომელშიც ნაგულისხმევი განსხვავდება ან ეწინააღმდეგება მის „ჩვეულებრივ“, პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას; ანუ ნათქვამის ლიტერატურული ინტერპრეტაცია განსხვავდება მისი იმპლიკაციური ვერსიისგან.

ირონიის ერთ-ერთი ნიშან-თვისება, რაზეც მეცნიერები დიდი ხანია შეთანხმდნენ, მისი პარადოქსულობაა. როგორც მუეკე (1982) ამტკიცებს, ირონია აუცილებლად ასოცირებულია ორაზროვნებასთან, პარადოქსულობასთან, გარკვეულ წინააღმდეგობასთან, მოულოდნელობასთან.

ამ მიმართულებით მეტად სისტემატიზებულ განმარტებას გვთავაზობს ატარდო (2000), რომელიც ამბობს, რომ იმისთვის, რომ ნათქვამი ირონიული გახდეს, იგი სამ მთავარ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. ორაზროვნება, (რომელიც მსმენელს სიგნალს აძლევს, ეძებოს ალტერნატიული მნიშვნელობა [ავტ.]); 2. ნათქვამის შეუსაბამობა იმ კონტექსტთან, რომელშიც ის არის გამოყენებული; და 3. მთქმელის ინტენცია.

მეორე თვისება, რაზეც მკვლევარები თანხმდებიან, ირონიის კრიტიკული ბუნებაა. ჯიორას აზრით, ირონია არაპირდაპირი უარყოფაა (ჯიორა, 1999). მუეკე კი ამტკიცებს, რომ ირონია დაცინვის, სარკაზმის, ადამიანური ტრაგედიისა და კომედიის, კრიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია (მუეკე, 1982).

ბრაუნმა და ლევინსონმა გაავრცელეს ირონიის ლიჩისეული თავაზიანობის ხედვა და შემოგვთავაზეს ირონია, როგორც უარყოფითი და დადებითი თავაზიანობა, რომელიც შეიცავს „სახის დაკარგვის“ პირობას (ბრაუნი & ლევინსონი, 1987:61).

ზემოხსენებული განმარტების სისტემატიზებას ქენქაძე შემდეგნაირად გვთავაზობს: „ირონია არის ენის სისტემური ტროპი, რომელსაც ისევე, როგორც ყველა ტროპს, აქვს ორი პლანი: ექსპლიციტური და იმპლიციტური, ზედაპირული და სიღრმისეული და რომლის კოდირება და დეკოდირება მიიღწევა ამ ორ პლანს შორის კონტექსტური „თამაშით“ (ქენქაძე, 2012:267).

ამ მსჯელობას ლოგიკურად მივყავართ ირონიის პრაგმატიკულ ასპექტთან. საინტერესოა, რატომ შეიძლება იყოს ირონია ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულების ყველაზე ხშირი და ნაცნობი მედიატორი.

### 2.2.1 ირონიის პრაგმატიკა

ირონია შეგვიძლია წმინდა პრაგმატიკულ ფენომენად მივიჩნიოთ, ვინაიდან ირონიული და არაირონიული ნათქვამის ფორმალური გარჩევა შეუძლებელია. ეს იმიტომ ხდება, რომ ზედაპირზე, გრამატიკულ და სინტაქსურ დონეზე, ისინი არაფრით განსხვავდებიან. ირონიულ გამონათქვამში ორი განსხვავებულ პლანის არსებობა, შეუსაბამობა მოლოდინსა და რეალობას შორის, წარმოადგენს მის პრაგმატიკულ არსს. შეუსაბამობა ირონიულ გამონათქვამში კონკრეტული მოლოდინების გაცრუების შედეგად წარმოიქმნება, რასაც დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

ცნობილია, რომ ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია სპერბერისა და უილსონის (სპერბერი & უილსონი, 1981) ნამუშევრებიდან იწყება, რომლებიც სამართლიანად მიიჩნევენ, რომ ირონიის ჭეშმარიტი ბუნება მხოლოდ პრაგმატიკის პოზიციიდან შეიძლება აიხსნას, რადგან ირონია თავისთავად მეტყველების აქტია და არა მხოლოდ ენობრივი ფენომენი.

ბრაუნი და ლევინსონი ფიქრობენ, რომ ირონიის მეშვეობით მთქმელს ეძლევა საშუალება და შესაძლებლობა, იყოს კრიტიკული და ამავდროულად არააგრესიული (ბრაუნი & ლევინსონი, 1987:61).

მართლაც, ჰაჩეონი (1995) ირონიის ცნების განმარტვისას, ამბობს, რომ ირონიული გამონათქვამი არამხოლოდ ლიტერატურული მნიშვნელობის სემანტიკურ ჩანაცვლებას გულისხმობს ხატოვანი, გადააზრებული მნიშვნელობით, არამედ ამ ორივე მნიშვნელობის მთლიანობაში განხილვას. ის ამბობს, რომ ირონია არამხოლოდ რაღაცის აღნიშვნა, არამედ კონკრეტული ქმედებაა. ამგვარად, ის არამხოლოდ სემანტიკური, არამედ პრაგმატიკული ფენომენია, სადაც მოსაუბრე გამოხატავს, თუ რას ფიქრობს და გრძნობს თავისსავე ნათქვამის მიმართ. ამას ჰაჩეონი (1995) კრიტიკულ ზღვარს უწოდებს, რაც განასხვავებს ირონიას სხვა მსგავსი ლინგვისტური ხერხებისგან, როგორიც თუნდაც მეტაფორაა.

### 2.2.2 ირონიის პრაგმატიკული ფუნქციები

ირონია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიური რიტორიკული ინსტრუმენტი, გარდა მისი ძირითადი, სატირიკული დანიშნულებისა, ძალზე კონკრეტული მიზნებით გამოიყენება ხოლმე. ქვემოთ მეცნიერების მიერ ჩამოყალიბებულ ასეთ სავარაუდო მიზნებს განვიხილავთ/'.

ჯგუფური მიკუთვნებულობა: ჯორჯ ლეიკოფი (1973: 173) ამბობს, რომ "ირონია სავარაუდო ჰომოგენურობის პრინციპს იყენებს და აძლიერებს მას: ირონიის გაგება ადამიანებს აკავშირებს". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ირონია თანაგრძნობას აღვივებს და გვაკავშირებს ერთმანეთთან. თუმცა, ამავდროულად, ადრესატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნების ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს.

აღსანიშნავია, რომ ირონია საკუთარი [ძირითადად უარყოფითი] ემოციების გამოხატვის გარდა, ერთგვარი ინსტრუმენტია საკუთარი უპირატესობის ხაზგასასმელად კონკრეტულ სიტუაციაში. ჩვენ თითქოს შთაბეჭდილების მოხდენას ვცდილობთ ადამიანებზე სიტყვებით თამაშისა და ემოციური კონტროლის დემონსტრირების მეშვეობით. ხოლო თუ ჩვენი ნათქვამი ამავდროულად იუმორისტულიცაა, ეს ორმაგი ეფექტის ინსტრუმენტად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან სხვების გაცინების უნარი გარკვეულწილად ავტორიტეტს გვიმაღლებს სხვების თვალში. ამ ასპექტს შეგვიძლია დახვეწილობა/მოხდენილობა ვუწოდოთ.

გრაისი (1989: 53) აღნიშნავს, რომ ირონიული გამონათქვამი „ინტიმურ კავშირშია გრძნობის, დამოკიდებულებისა ან შეფასების გამოხატვასთან" [5]. ასევე გრაისი (1978, 1989) სპერბერი და უილსონი (1981) ირწმუნებიან, რომ ირონია მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულების მიზნით შეიძლება იქნეს გამოხატული, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ დადებითი ირონიაც დასაშვებია; ირონია ახშობს ორივეს - ირონიული კრიტიკის უარყოფით ეფექტს და ირონიული ქების დადებით ეფექტს. ეს ჩამხშობი ფუნქცია შეიძლება იყოს ირონიის გამოყენების მთავარი მიზეზი. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თავისუფლად შევგვიძლია დავასახელოთ ირონიის კიდევ ერთი პრაგმატიკული ფუნქცია: შეფასება.

კარსტონი აღნიშნავს, რომ ირონია ძლიერი რიტორიკული იარაღია, რადგან ნავარაუდევი პროპოზიციის თვითმტკიცებულებას წარმოადგენს. ვერშუერენი

---

[5] ''is intimately connected with the expression of feeling, attitude, or evaluation'

(სპერბერისა და უილსონის (1998) მიხედვით: 4,11) ირონიას (ირონიულ დაბოლოებას) ინფორმატიულ ნათქვამად მიიჩნევს. რიტორიკული კითხვის მსგავსად, ირონიული გამოთქმაც გვარწმუნებს კონკრეტული ქმედების ან აზრის არასწორობაში. შესაბამისად, შეგვიძლია მას დარწმუნების ფუნქციაც მივანიჭოთ.

ირონია ყოველთვის დაკავშირებულია რისკთან, რადგან მოსაუბრე მსმენელს წინასწარ არ უთანხმებს ნაგულისხმევის საპირისპირო აზრის წარმოთქმას, შესაბამისად, შესაძლოა მსმენელმა ნათქვამი ვერ აღიქვას და გაუგებრობა წარმოიშვას. თუმცა რეაქციას ნებისმიერ შემთხვევაში ვიღებთ, შესაძლოა, ეს სიცილი იყოს (ნათქვამზე ან ნაგულისხმევზე) ან თუნდაც გაჩუმება და თემის შეცვლა. სწორედ მსმენელის რეაქცია მიგვითითებს ჩვენი ირონიული ნათქვამის წარმატებულობასა და მის სწორ თუ არასწორ აღქმაზე. აღსანიშნავია, რომ სიცილი ცალკე კატეგორიაა და სულაც არ ნიშნავს, რომ ირონია და, შესაბამისად, იუმორი სწორად იქნა გაგებული. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, მსმენელმა აღიქვას იუმორი, თუმცა არ ჰქონდეს არცერთი ტიპის რეაქცია (რაიმე მიზეზით). ამგვარად, ირონიისა და იუმორის ცნებები მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ დავის საგანს წარმოადგენს სხვადასხვა მიმართულებით.

### 2.2.3 ექოს ტიპის ხსენების თეორია

ირონიის ბუნებისა და ფუნქციონირების მექანიზმების პარალელურად არანაკლები ყურადღება ეთმობა მეცნიერების მხრიდან მისი წარმოებისა და წარმატების მექანიზმების კვლევას. ექოს ტიპის ხსენების თეორია სპერბერისა და უილსონი მიერ შემუშავებული ერთ-ერთი ასეთი თეორიაა.

ირონიაზე საუბრისას სპერბერი და უილსონი (1981: 306) ექოს ტიპის ხსენების ცნებას გვთავაზობენ და მას ამგვარად ხსნიან: ირონიულად საუბრისას, მოსაუბრე აჟღერებს მანამდე გაგონილ სხვის აზრს თავისი უარყოფითი დამოკიდებულების ხაზგასმით. გამონათქვამის მიზანს ორიგინალური ნათქვამის, მისი ავტორის, მასში გამოთქმული რწმენის ან აზრის კრიტიკა წარმოადგენს. ნათქვამის წარმატებული ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მსმენელის უნარზე, გააანალიზოს ნათქვამი როგორც "ხსენების" მაგალითი და ასევე, გაიაზროს მოსაუბრის დამოკიდებულება კონკრეტული გამონათქვამის მიმართ.

გრაისისგან (1975) განსხვავებით, სპერბერი და უილსონი (1981) არ მიიჩნევენ ირონიას სიმართლის მაქსიმის დარღვევად; ისინი წერენ, რომ ირონიის ყველა მაგალითი უნდა აღვიქვათ, როგორც სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის „ექოს ტიპის" ხსენება (ექოირება). მაგალითად, არსებობს წამიერი და დაგვიანებული ექო; ზოგი მათგანის წყარო უშუალოდ ნათქვამია, ზოგი ფიქრებისა და აზრებისგან იღებს სათავეს; ზოგი რეალურ წყაროს ეყდნობა, სხვები - წარმოსახვითს; ისეთ შემთხვევასაც შევხვდებით, სადაც მოსაუბრე კონკრეტული პიროვნების იმედებისა და მოლოდინის ალუზორულ (საკუთარ მოლოდინზე დაფუძნებულ) გახმოვანებას ახდენს და ა.შ.. საბოლოო ჯამში, მათი მთავარი სათქმელი ისაა, რომ ირონიის ყველა შემთხვევა მოიცავს ხსენებას.

სპერბერი და უილსონი (1981) ასევე ირწმუნებიან, რომ ირონიული გამონათქვამი კონკრეტული სამიზნის, მსხვერპლისკენაა მიმართული. ეს მიზანი შეიძლება იყოს, მაგალითად, სამი ადამიანიდან ერთ-ერთი, რომელიც ვერ ახდენს ირონიული გამონათქვამის ინტერპრეტირებას. მეორე მხრივ, არის შემთხვევები, როცა ირონია არ არის მიმართული ერთი კონკრეტული „მსხვერპლისადმი". ამასთან დაკავშრებით თეორიის ავტორები აღნიშნავენ, რომ თუკი ხსენებას არ აქვს ზუსტი წარმომავლობა, მაშინ მსხვერპლი არ არსებობს; ისიც შესაძლოა, რომ მოსაუბრე საკუთარ თავს ახმოვანებდეს (საკუთარი გამონათქვამის ალუზიას ახდენდეს) და ეს თვითირონიად უნდა მივიჩნიოთ; ხოლო თუ მოსაუბრე მსმენელს ახმოვანებს, შედეგი სარკაზმია.

ექოს ტიპის ხსენების თეორია სრულად არ ასრულებს ირონიის ფუნქციებს. შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში თავიდანვე ნათელი არაა, რომ მოსაუბრე რომელიმე კონკრეტული ნათქვამის ან რაიმე კონკრეტული უთქმელი ფიქრის ექოირებას ახდენს. მაგალითად: შეთავაზებები, როგორიცაა „რას იტყვი კიდევ ერთ ნაჭერ პიცაზე?" მისთვის, ვინც ახლახანს მთლიანი პორცია შეჭამა; და ზედმეტად თავაზიანი თხოვნები, როგორიცაა „ძალიან თუ არ შეგაწუხებ, იქნებ შენი ოთახი დაგელაგებინა?" უყურადღებო და უსუფთაო ოთახის მეზობლის მიმართ. ეს ფრაზები არ არის ექო, მაგრამ ისინი მიანიშნებენ მოლოდინზე, რომელიც გაცრუვდა.

### 2.2.4 იმპლიკაცია

ადამიანები პირისპირ ურთიერთობისას ბევრად მეტ ინფორმაციას გადასცემენ ერთმანეთს, ვიდრე თუნდაც წერილობითი გზით. ეს იმპლიკაციის შედეგია. ეს ცნება პირველად გრაისის (1975) მიერ არის წარმოდგენილი და განმარტებულია, როგორც „დამატებით გადმოცემული ინფორმაცია“, ანუ ეს არის დაუფარავი ინფორმაციისგან წარმოებული დაფარული ინფორმაცია.

უნდა განვასხვავოთ ორი ტიპის იმპლიკაცია, სტანდარტული და სასაუბრო. სტანდარტულ იმპლიკაციაში, ყოველთვის ერთი და იგივე იმპლიკაციაა გადმოცემული, მიუხედავად ნათქვამის კონტექსტისა. ამ ტიპის იმპლიკაციის რამდენიმე მაგალითი გვაქვს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია კავშირებით 'მაგრამ', 'ამიტომ' და 'ჯერ' წარმოებული წინადადებები. სასაუბრო იმპლიკაცია პირიქით, კონტექსტზეა დამოკიდებული, რადგან გამონათქვამის მნიშვნელობა განსხვავდება იმ კონტექსტის მიხედვით, რომელშიც იგი წარმოდგენილია.

ხაზგასასმელია მოსაუბრისა და მსმენელის თანაბრად მნიშვნელოვანი როლები ამ პროცესში. მოსაუბრე ახორციელებს იმპლიკაციას, მსმენელი კი ახდენს დეკოდირებას. აქედან გამომდინარე:

„მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მოსაუბრეები გადმოსცემენ მნიშვნელობას იმპლიკაციის საშუალებით, ხოლო მსმენელები აკეთებენ დასკვნებს ამ გადმოცემული მნიშვნელობების მიხედვით“ [იული, 1996].

სასაუბრო იმპლიკაციის ცნება ეფუძნება თეორიას, რომლის მიხედვით ადამიანები მიჰყვებიან კოოპერაციული პრინციპის შემადგენელ კოოპერაციულ მაქსიმებს. ამგვარად, ისინი სხვებისგანაც იმავეს მოელიან, ანუ არ ცდილობენ მსმენელის შეცდომაში შეყვანას, მის დაბნევას, ან რაიმე საჭირო ინფორმაციის დამალვას მისგან. ამიტომ, შეუსაბამო ან არასწორი ნათქვამის მოსმენისას, ისინი ფიქრობენ, რომ მეტი ინფორმაცია იქნა გადმოცემული, ვიდრე თქმული (ვერბალურად), ანუ, სხვა სიტყვებით, იმპლიკაცია განხორციელდა. იმპლიკაციის ასეთი გააზრება წამიერი და გაუცნობიერებელია და ავტომატურადაა შესრულებული. დავაკვირდეთ შემდეგ მაგალითს:

ა. უყურე საინფორმაციო გამოშვებას?

ბ. ორი დღეა შუქი არ მაქვს.

პასუხი (ბ) ერთი შეხედვით შეუსაბამოა კითხვასთან (ა). თუმცა, თუ ვივარაუდებთ, რომ მოსაუბრე (ბ) მიჰყვება კოოპერაციულ პრინციპს, დავასკვნით, რომ ის ფაქტობრივად პასუხობს (ა)-ს კითხვას. შედეგად, ამოკითხული იმპლიკაცია იქნება ის, რომ მას არ უყურებია საინფორმაციო გამოშვებისთვის, რადგან სახლში ელექტროენერგია არ ჰქონდა. აშკარაა, რომ ჩვეულებრივ სოციალურ სიტუაციაში ამის გააზრება ამხელა დროს არ მოითხოვს და მეტიც, არც ვაცნობიერებთ ამ ყველაფერს;

სასაუბრო იმპლიკაცია ჩვენს კვლევაში მთავარი ცნებაა, რადგან მიიჩნევა, რომ ირონია (და სარკაზმიც) ხელს უწყობს სასაუბრო იმპლიკაციით გამოწვეული დასკვნების გამოტანის პროცესს. უფრო დაზუსტებით, ეს იდეა შემოთავაზებულია გრაისის მიერ (1975) და შემდგომ მას დაუჭირეს მხარი სპერბერმა და უილსონმა (1981). ტრადიციულად, ირონია განიმარტება, როგორც ხატოვანი მნიშვნელობის მქონე ნათქვამი, რომელიც წარმოადგენს მისისიტყვითი მნიშვნელობის საპირისპიროს. მიუხედავად ამისა, გრაისმა (1975) უარყო ეს ვარაუდი და ამტკიცებდა, რომ ირონიას არ აქვს დაფარული ხატოვანი მნიშვნელობა, არამედ უზრუნველყოფს დამატებითი მნიშვნელობის მინიჭებას, რომელიც, შესაძლოა, გააზრებულ იქნას მოცემულ კონტექსტში. ეს დამატებითი მნიშვნელობა ეხმაურება გრაისის იმპლიკაციის ცნებას.

### 2.2.5 გრაისის კოოპერაციული პრინციპი

კომუნიკაციის პროცესში თანამშრომლობა მნიშვნელოვანია. საუბრისას ვცდილობთ, გავიგოთ, რას გვეუბნებიან და ამავდროულად მოსაუბრისგან რელევანტური ინფორმაცია მივიღოთ. ეს მოსაზრება კოოპერაციული პრინციპის სახელითაა ცნობილი. ფილოსოფოსმა ჰ. პ. გრაისმა თავის ნაშრომში „ლოგიკა და საუბარი“ (1975) ახსნა, რომ მნიშვნელოვანია საუბრისას დარწმუნებულები ვიყოთ საკუთარი ნათქვამის ხარისხიანობაში და შესაბამისობაში ვიყოთ დროსთან, ადგილთან, საუბრის მიზანსა და მიმართულებასთან. შემდეგ კი თანმიმდევრული კომუნიკაციისთვის აუცილებელი ოთხი მაქსიმი გამოყო:

ხარისხის (არ თქვა ტყუილი, ან ის რასაც ვერ დაამტკიცებ),

რაოდენობის (არ გასცე ზედმეტად დიდი ან მცირე რაოდენობის ინფორმაცია),

რელევანტურობისა (ილაპარაკე კონკრეტულ საუბართან დაკავშირებით), და

მანერის (მოერიდე გაურკვევლობასა და ბუნდოვანებას; იყავი ლაკონური და თანმიმდევრული).

გრაისი (1975) ამბობს, რომ თუ მსმენელი აანალიზებს, რომ მოსაუბრე სიმართლეს არ ამბობს (და ვარაუდობს, რომ კოოპერაციული პრინციპი მოქმედებაშია) იმპლიკაციის ძებნა იწყება.

### 2.2.6 დისკურსული ირონიის ალუზიური ბრალდების თეორია

ირონიის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, იგი მუდმივად მკლევართა ყურადღების ცენტრშია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები და კვლევები განუწყვეტელ რეჟიმში მიმდინარეობს. ქვემოთ ჩვენთვის აქტუალურ ორ თეორიას წარმოგიდგენთ ირონიული გამონათქვამების შესახებ, რომლებმაც, ჩვენს კვლევაში ცენტრალური როლი ითამაშა.

ნაკამურას (2007) ალუზიური ბრალდების თეორიის შესახებ სტატია მიმოიხილავს მანამდე ჩამოყალიბებული ზოგიერთ დომინანტ თეორიას ირონიის შესახებ. სტატია მიმოიხილავს ისეთ ავტორებს, როგორიცაა სპერბერი და უილსონი (1981), გრაისი (1975) და სხვები. ავტორი ირწმუნება, რომ ირონიული შენიშვნები ეფექტს გაცრუებულ მოლოდინებთან ალუზიით აღწევენ. უმეტეს შემთხვევაში, ირონია გამოიყენება მოსაუბრის ადრესატისადმი დამოკიდებულების (ჩვეულებრივ, უარყოფითი) გამოსახატად, სხვა მიზნების (იუმორისტული) შესრულების პარალელურად. არაირონიულ საუბარში ეს დისკურსის პრაგმატიკული წესების (როგორც წესი, გულწრფელობის მაქსიმის) დარღვევით მიიღწევა. ნაკამურას (2007) თეორია სამი ექსპერიმენტით დადასტურდა. პირველმა ექსპერიმენტმა, რომელშიც 4 სამეტყველო აქტი იყო განხილული, აჩვენა, რომ არაგულწრფელობა და ალუზია ირონიულ გამონათქვამებში ბევრად ხშირი იყო, ვიდრე არაირონიულში. მეორე ქსპერიმენტმა ცხადყო, რომ ნეგატიური დამოკიდებულებების ირონიული გამონათქვამებით გამოხატვა პოზიტიური და ნეგატიური მოლოდინების შეპირისპირების და შედეგად, პოზიტიური მოლოდინების გაცრუების ხარჯზე ხდება და იგი არ წარმოადგენს უშუალოდ ირონიის მახასიათებელს. მესამე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ზედმეტად თავაზიანი შეთავაზებები უფრო ხშირად გამოიყენება ირონიულ კონტექსტში, ვიდრე ნაკლებ თავაზიანი. მიზეზად ავტორი სწორედ იმას

მიიჩნევს, რომ ირონიული გამონათქვამი თანაბრად გამოხატავს როგორც მოსაუბრის დამოკიდებულებას, ასევე მის განზრახვას. ნაკამურა (2007) გვეუბნება, რომ წარსული მოლოდინების ალუზია ირონიის სავალდებულო პირობაა - ჩვენ ბრალს ვდებთ მოსაუბრეს ჩვენი ალუზიური მოლოდინების შეუსრულებლობაში.

## 2.3 სარკაზმი

ჭაბაშვილი (1989) განმარტავს სარკაზმს, როგორც ღვარძლიან დაცინვასა და მწვავე ირონიას. მაკდონალდი (1996) კი აღნიშნავს, რომ ეს არის ირონიის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის გულისტკენას და გულისხმობს მის იმპლიციტურ კრიტიკას, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ზიზღისა და ათვალწუნების ექსპლიციტურად გამოხატვას (უილსონი და სპერბერი, 1992).

ვერბალური ირონიის ხორცშესხმის ყველაზე ეფექტურ მეთოდად შეგვიძლია სარკაზმი დავასახელოთ, რომლის მეშვეობითაც კონკრეტული სამიზნის მიმართ დაფარული კრიტიკა კონტექსტუალური და პარალინგვისტური მინიშნებებითაა გადმოცემული და მისი სოციალური ფუნქცია დრამატული ეფექტის გაზრდაა (მაკდონალდი, 1999), მსმენელის მხრიდან მოსაუბრის თავაზიანობის აღქმადობისა და კრიტიკული კომენტარის აგრესიულობის ხარისხის შემცირების პირდაპირპროპორციულად. თუ წერითი კომუნიკაციისას სარკაზმი კონტექსტუალური მინიშნებებით გადმოიცემა, ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციისას სარკასტული საუბარი შეიძლება დავახასიათოთ სპეციფიური პარალინგვისტური პროფილით, რაც აფრთხილებს მსმენელს, არ აღიქვას ნათქვამი, როგორც გულწრფელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კონტექსტუალური მინიშნებები არ არსებობს.

ატარდო (2000) განმარტავს სარკაზმს, როგორც ირონიის განსაკუთრებულად აგრესიულ ტიპს, უფრო ნათელი მარკერებითა და სამიზნით. იმავე წელს მაკდონალდი (1999) აცხადებს, რომ სარკაზმი შინაგანი კრიტიკის გადმოსაცემი ფართოდ გამოყენებული ცნებაა. თუმცა, წლების განმავლობაში არ მიღწეულა თანხმობა საკითხზე, სარკაზმი და ირონია არსებითად ერთი და იგივე ცნებაა ზედაპირული განსხვავებებით, თუ ორი სრულიად განსხვავებული ცნება.

დოფინი (2000) მიანიშნებს, რომ ირონია, შესაძლოა, არაგანზრახ და გაუცნობიერებლად იქნეს გამოყენებული, ასევე შესაძლოა სიტუაციები იყოს

ირონიული. თუმცა, სარკაზმი აუცილებლად განზრახული და გაცნობიერებული უნდა იყოს.

ტოპლაკის (2000) მიხედვით, სარკაზმის გამოყენებასა და ინტენსივობის ხარისხზე ყოველდღიურ ენაში ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას: გადაჭარბება, მოსაუბრის ბუნება, მოსაუბრის სარკაზმის ადრესატთან „მსხვერპლთან“ ურთიერთობა, კრიტიკის სიმკაცრე და ის, თუ სად ხდება კრიტიკა, პირად საუბარში თუ აუდიტორიის თანდასწრებით. თუმცა, მაკდონალდის (1999) აზრით, არსებობს ერთი ძირითადი ფაქტორი სარკაზმთან მიმართებაში: ეს ირონიული საუბრის ფორმაა, რომელიც ჩვეულებრივ შინაგანი კრიტიკის გადმოსაცემად გამოიყენება კონკრეტული მსხვერპლის, როგორც მისი სამიზნის მიმართ.

ტოპლაკი და კატზი (2000) "Journal of Pragmatics"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში „On the uses of sarcastic irony“, თანხმდებიან, რომ სარკაზმის წარმოების ფუნდამენტური ფაქტორი სამიზნის მიმართ ვერბალური აგრესიის გამოხატვაა და იგი კრიტიკის უფრო სასტიკი ფორმაა, ვიდრე პირდაპირ თქმა.

წინამდებარე ნაშრომში სარკაზმის ირონიისგან განსასხვავებლად ჩართული ფაქტორია აგრესიის დონის განსაზღვრა (შეიძლება თუ არა ნათქვამი ჩაითვალოს სახეზე შეტევის ან მისი დაცვის შემთხვევად), და უფრო მნიშვნელოვანი - როგორ იყო ნათქვამი გადმოცემული - პოზიტიური თუ ნეგატიური თავაზიანობის მეშვეობით; რაც იმითაა განპირობებული, რომ მიუხედავად იმისა, რომ სარკაზმი კრიტიკის თავაზიანი ვერსიაა, მას ხშირად კონკრეტული ნეგატიური დამოკიდებულებები ახლავს თან, როგორიც შეიძლება იყოს უკმაყოფილება, შეურაცხყოფა, განდევნა და დაცინვა.

დოფინის (2000) მიხედვით, ხალხი ხშირად იყენებს სარკაზმს, როგორც დადებითი კავშირების დამყარების ხერხს ურთიერთობის დასაწყისში სხვებისთვის საკუთარი იუმორის გრძნობის საჩვენებლად. ადამიანები სარკაზმს მიმართავენ მეგობრების წრეში სახალისო სიტუაციების შექმნისთვის. იუმორისტები, ჩვეულებრივ, თავიანთი გრძნობებისა და რწმენის საპირისპიროდ საუბრობენ, მსმენელის გასაცინებლად.

### 2.3.1 სახის ცნება: სახის დაცვისა და მასზე შეტევის აქტები

სახის ცნება ი. გოფმანმა შემოიტანა 1967 წელს და გამოიყენა თავაზიანობის ორი ტიპის მიდგომასთან ერთად. მან ეს შემდეგნაირად განმარტა:

თავაზიანობის თეორიაში სახეს ორი ფორმა აქვს: დადებითი, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა ვცდილობთ, ვიყოთ მოწონებულნი, აღიარებულნი, პატივცემულნი და დაფასებულნი სხვების მიერ. და, გოფმანის მიხედვით, უარყოფითი, რომელიც გამოიყენება მაშინ, როცა გვაქვს სურვილი, რომ არ ვიქნეთ დაბრკოლებულნი ან გარიყულნი, გვქონდეს ჩვენი არჩევანის მიხედვით მოქცევის თავისუფლება. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, პირველ შემთხვევაში ჩვენ ვცდილობთ კონკრეტული თვისებები შევსძინოთ ჩვენს სახეს, ხოლო მეორე შემთხვევაში ვცდილობთ გავუფრთხილდეთ მას (გოფმანი, 1967)

იულის ნაშრომზე (1996) დაყრდნობით, ამ ორ ცნებას, სახესა და თავაზიანობას შორის კავშირი შეიძლება ავხსნათ იმ გაგებით, რომ სახე მიემართება ჩვენი თავის იმ ემოციურ და სოციალურ ვერსიას, რომელსაც ჩვენი მოლოდინის მიხედვით, ჩვენი გარშემომყოფები აღიქვამენ. ხოლო თავაზიანობა ის ქმედებაა, რომელიც მიუთითებს თუ რამდენად გაცნობიერებული გვაქვს ამა თუ იმ ადამიანის სახის რაობა.

ხალხი საუბრისას ისე იქცევა, რომ მათი სახე პატივსაცემი იყოს. როგორც იული (1996) მიგვითითებს, თუ მოსაუბრე ამბობს რაიმეს, რაც ეწინააღმდეგება სხვა პიროვნების მოლოდინებს საკუთარ იმიჯთან მიმართებაში, ეს სახეზე შეტევის აქტია. სიტუაციის მიხედვით, მოსაუბრეს შეუძლია თქვას რაიმე ისეთი, რაც შეასუსტებს შესაძლო დარტყმას, ამას სახის დაცვის აქტი ეწოდება.

ბრაუნმა და ლევინსონმა გამოყვეს თავაზიანობის 4 სტრატეგია, რომელიც ადამიანის თვითშეფასებაზე შეტევის უკან წაღებას ან დადებითი სოციალური იმიჯის მოხვეჭას ემსახურება:

*(1). bald on record თავაზიანობა*

ასეთი შემთხვევის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიხედვით, „უაღრესად ამოცანაზე ორიენტირებული სიტუაციები“[6], სადაც მოსაუბრე პროპოზიციულ ნაწილზეა ორიენტირებული და

[6] Highly task-oriented situations უაღრესად ამოცანაზე ორიენტირებული სიტუაციები

ნაკლებ ყურადღებას უთმობს საუბრის პირად ასპექტს. მაგალითად, ბრძანებითი ფორმის გამოყენება შემდეგი ტიპის ფრაზებში:

"Give me the bottle!"

*(2) დადებითი თავაზიანობა*

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) მიხედვით, ვინმესთან საუბრისას დადებითი თავაზიანობის სტრატეგიის გამოყენებით ჩვენ მის დადებით სახეზე (მოწონებულობისა და აღიარებულობის სურვილზე) ვორიენტირდებით. მსმენელის საჭიროებებზე ორიენტირება, დამშვიდება,ზრუნვა და ა.შ.

“You look sad. Can I help you?“

*(3) უარყოფითი თავაზიანობა*

ბრაუნისა და ლევინსონის (1987) თეორიის მიხედვით, უარყოფითი თავაზიანობა მსმენელის უარყოფითი სახისკენაა მიმართული, მის სურვილზე, რომ არ იქნეს შეფერხებული ან გამოყენებული, ჰქონდეს მოქმედების თავისუფლება. გამომრიცხავი სტრუქტურების, ნომინალიზაციის, ვნებითი გვარის გამოყენება ან ზოგადი წესების გაცხადება.

“I hope offense will not be taken.”

“Visitors sign the ledger.”

“Spitting will not be tolerated.”

*(4) Off-the-record/ off-record თავაზიანობა*

ეს ტექნიკა სახეზე არაპირდაპირ შეტევას გულისხმობს და მოსაუბრეს პასუხისმგებლობის შემცირების საშუალებას აძლევს მსმენელისთვის ინტერპრეტაციის სივრცის მიცემის ხარჯზე. ბრაუნი და ლევინსონი (1987) ამ კატეგორიის ქვეშ თხუთმეტამდე სტრატეგიას აერთიანებენ, როგორებიცაა, მინიშნების მიცემა, მეტაფორის გამოყენება, ორაზროვნება, დაუსრულებელი აზრი, ელიფსის გამოყენება და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი მაგალით მსმენელის ან მისი ინტერესებისადმი გადამეტებულ ყურადღებას გამოხატავს: “That's a nice haircut. Where'd you get it?”

### 2.3.2 ლინგვისტური არათავაზიანობის თეორია

არათავაზიანობის კატეგორია, მისი საპირისპირო თავაზიანობის პრაგმატიკული კატეგორიის მსგავსად, კვლავ რჩება კულტურათაშორისი პრაგმატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვლევ პრობლემად. გოფმანი (გოფმანი, 1967, 14) არათავაზინობას მსმენელის სახეზე შეტევისა და მისი სახის რღვევის მცდელობის მოტივს უკავშირებდა. ასკვნიდა რა, რომ ექსპლიციტურად არათავაზიანი რემარკი, შეიძლება არც იყოს დაკავშირებული მოსაუბრის პიროვნული ღვარძლის, შუღლის გამოხატვასთან და ამდენად, მიზნად არ ისახავდეს მსმენელის დამცირებას ან შეურაცხყოფას.

პირველი ნამუშევარი არათავაზიანობაზე კალპეპერმა შექმნა 1996 წელს. ის თანამოსაუბრეების მიერ გამოყენებულ არათავაზიანობის ძირითად სტრატეგიებს სწავლობდა, და ამ საკითხზე იმაზე მეტი თეორიები ჩამოაყალიბა, ვიდრე ბრაუნმა და ლევინსონმა (1987), რომელთა ძირითადი იდეა თანამოსაუბრის იმიჯის მაქსიმალურად დაზიანება იყო. კალპეპერის განმარტებით, არათავაზიანობა არის კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს მსმენელის სახეზე შეტევას, მისი სახის რღვევას და ამგვარად, იწვევს სოციალურ კონფლიქტსა და დისჰარმონიას (კალპეპერი და სხვ. 2003, 1546). მოგვიანებით კალპეპერი არათავაზიანობის განმარტების მოდიფიცირებულ ვერსიას გვთავაზობს, სადაც, მისი თქმით, გათვალისწინებულია არამხოლოდ მოსაუბრის, არამედ მსმენელის პოზიციაც: მოსაუბრე ჭეშმარიტად არათავაზიან საკომუნიკაციო აქტს ახორციელებს, როცა (1) მსმენელს განზრახ აყენებს შეურაცხყოფას, (2) როცა მსმენელი მას აღიქვამს გამიზნულად არათავაზიანად და (3) როდესაც ორივე მომენტი ((1)) და მეორე ((2)) აქტუალიზდება თანადროულად (კალპეპერი, 2008). ნათელია, რომ მსმენელის პოზიციას თითქმის იგივე როლი აქვს არათავაზიანობის რეალიზების პროცესში, რაც მოსაუბრეს.

ნორიკისა და ჩიაროს (2009) აზრით, დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიები ისინია, რომლებიც თავს ესხმის სხვების სურვილს, რომ იყვნენ მოწონებულნი და მიღებულნი, ხოლო უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიები გავლენას ახდენს სხვათა დამოუკიდებლობაზე (უზღუდავს სხვებს დამოუკიდებლობას). კალპეპერის (1996) მაგალითები შეიცავს ტაბუირებული სიტყვების გამოყენებას, განყენებულობის

გამოწვევას, სხვათა გაღიზიანებას ან იგნორირებას, გარიყვას შიდა ჯგუფური ჟარგონის ან საიდუმლო ენის გამოყენებით. რადგან მისი თქმით, ამ სტრატეგიებს, როგორც უარყოფით თავაზიანობას, შეუძლია გაოიწვიოს შიში, უარყოფა ან სხვათა პირადი სივრცის დარღვევა.

ნორიკისა და ჩიაროს (2009) მიხედვით, რესპონდენტები აქტიურად იყენებენ შეურაცხმყოფელ, დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი პასუხები ორიენტირებულია თითქმის მხოლოდ მოსაუბრის სახის რღვევაზე, და არა სახის დაცვაზე, და ეს შეტევები გამიზნულია სოციალური გარიყვისა და მოსაუბრის დამცირებისთვის.

ყველაზე აქტუალურ დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ, როცა სხვას თავს არაკომფორტულად ვაგრძნობინებთ. უფრო ხშირად თანამოსაუბრეები ამას ხუმრობის ავტორის, უშუალოდ ხუმრობის, ან ორივე მათგანის დაცინვით ახერხებენ. კალპეპერი (1996) ასახელებს უარყოფას, გარიყვას ან დაცინვას როგორც უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიებს და მას თანამოსაუბრეებს შორის ძალაუფლების გადანაწილების ინსტრუმენტად მიიჩნევს.

ლინგვისტური არათავაზიანობის სტრატეგიები:

ნორიკისა და ჩიაროს (2009) მიხედვით რესპონდენტები აქტიურად იყენებენ შეურაცხმყოფელ, დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი პასუხები ორიენტირებულია თითქმის მხოლოდ მოსაუბრის სახის რღვევაზე, და არა სახის დაცვაზე და ეს შეტევები გამიზნულია სოციალური გარიყვისა და მოსაუბრის დამცისრებისთვის.

დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიები

ყველაზე აქტუალურ დადებითი არათავაზიანობის სტრატეგიად შეიძლება მივიჩნიოთ, როცა სხვას თავს არაკომფორტულად ვაგრძნობინებთ. უფრო ხშირად თანამოსაუბრეები ამას ხუმრობის ავტორის, ხუმრობის, ან ორივე მათგანის დაცინვით ახერხებენ. კალპეპერი (1996) ასახელებს უარყოფას, გარიყვას ან დაცინვას როგორც უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიას, რადგან მიიჩნევს მას, როგორც თანამოსაუბრეებს შორის ძალაუფლებათა სხვაობის ხაზგასასმელ იარაღს:

- აგრძნობინე სხვას თავი არაკომფორტულად
- უარყავი, გარიყე ან მასხრად აიგდე

- გაჩუმდი

- იქონიე თვალებით აქტიური კონტაქტი

- იგნორირება გაუკეთე, გააღიზიანე სხვები

- არ გამოამჟღავნო ინტერესი, სიმპათია

- გამოიყენე ტაბუირებული სიტყვები

- გამოეყავი

უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიები

- გამოიწვიე თანამოსაუბრე

- შეიჭერი სხვის სივრცეში

- იყვირე

- გაიმეორე

- სარკაზმი/ დამცინავი თავაზიანობა

ჩვენი კვლევის ფარგლებში შეიძლება ითქვას, რომ 'სტენდაფ' კომიკოსები მეტად იყენებენ შეურაცხმყოფელ და თავდასხმით გამონათქვამებს და ნაკლებად - პირიქით, მსმენელის სახის დამცველ გამონათქვამებს, როცა, ჩვეულებრივ, მოსაუბრე ცდილობს მსმენელს ასიამოვნოს, გაართოს იგი.

### 2.4 ნაშრომის მეთოდოლოგია

ნაშრომის ფარგლებში საანალიზოდ აღებულია 20 ამერიკული 'სტენდაფ' მონოლოგი, ერთ-ერთი ცნობილი ქართული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (ვანოს შოუ) 10 მონოლოგი, ცნობილი ამერიკული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (Tonight Show with Stephen Colbert) 10 მონოლოგი და ამერიკული და ქართული ციხის არგოს (პატიმრების კოდური ენა) 40-40 (ჯამში (სულ 80) ტერმინი.

1. კვლევისთვის გამოყენებული მასალას შეადგენს შედგენილია 20 იუმორისტული მონოლოგის დისკურსით, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ 'სტენდაფ' კომედიის სახელით ცნობილი იუმორისტული ჟანრის მაგალითებს, მაგალითებს. ამასთან ერთად,ასევე: ვანო ჯავახიშვილის მონოლოგი The ვანოს შოუში და სტივენ კოლბერის მონოლოგი გადაცემიდან - The Late Show with Stephen Colbert (ამერიკული სატელევიზიო არხის, CBS-ის ეთერში).

მონოლოგები წარმოადგენს ამერიკული და ქართული სატელევიზიო იუმორის მაგალითს. იუმორისტული გამონათქვამები თითოეული მონოლოგიდან კვლევის მიზნების შესაბამისად შეირჩა შემდგომ კი კვლევისთვის შემუშავებული განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზდა.

2. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ქართული ციხეების არგო. კვლევისთვის საჭირო მასალა ამერიკული ციხის არგოს შემთხვევაში (იხ. დანართი) მოვიპოვეთ ამერიკულ ვიკიპედიასა (https://en.wikipedia.org/wiki/Prison_slang ) და ვებგვერდზე Aaron Delgato & Associates (https://communitylawfirm.com/prison-slang-guide ) (იხ. ბიბლიოგრაფია). ხოლო ქართულის შემთხვევაში - რუსულ ვიკიპედიასა (https://ru.wiktionary.org/wiki/%D0%9F%D1%80%D0%B8%D0%BB%D0%BE%D0%B6%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5:%D0%A3%D0%B3%D0%BE%D0%BB%D0%BE%D0%B2%D0%BD%D1%8B%D0%B9_%D0%B6%D0%B0%D1%80%D0%B3%D0%BE%D0%BD?fbclid=IwAR231dQo6BMaj6cQKNopfS9iEC6f-egUeVj5YIJmP_Zv9j_LVTMoQm9PDDI ) და კრიმინალური სამყაროს წევრების გამოკითხვის შედეგად. ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნების რელევანტურობა კი ამერიკულ ტელესერიალ „გაქცევის" სცენარზე გამოვცადეთ. ტერმინების კონტექსტუალური მნიშვნელობების გადამოწმება გადავამოწმეთმოხდა რამდენიმე ვებ გვერდზე (იხ. ბიბლიოგრაფია). ჩვენი მიზანი არგოში არგოს მაგალითებში იუმორისა და მისი თანმხლები

ლინგვისტური ცნებების - ირონიისა და სარკაზმის როლის განსაზღვრა იყო. ამისთვის არგოს შემადგენელი ტერმინები ჯერ იუმორისტულ და არაიუმორისტულ სექტორებად დავყავით, შემდეგ კი იუმორისტული ტერმინები უფრო ღრმად გავაანალიზეთ კონკრეტულ თეორიულ ბაზისზე დაყრდნობით.

საბოლოოდ კი, ციხის არგოს ჩარჩოში სხვა არგოები განვიხილეთ და შევეცადეთ აგრესიული იუმორის (სარკაზმისა და ირონიის) როლის უნიკალურობის დადგენას მასთან მიმართებაში.

# თავი III

## 3. კვლევა

### 3.1 მონაცემთა ანალიზი და პროცედურები

მონაცემთა ანალიზის დროს ვეყრდნობოდით კონტრერასის შედარებით და კულტურათაშორის კვლევას (კონტრერასი 2011).

კონტრერასის კვლევაში აღწერილი ანალიზი რამდენიმე პროცედურას მოიცავდა. ეს პროცედურები და კრიტერიუმები რამდენიმე აღწერით თეორიულ მასალას ეყრდნობა, როგორიცაა სარკაზმი, ირონია, იმპლიკაცია, 'სახის' ცნება და იუმორისტული გამონათქვამის საკვანძო ნაწილის ცნება (punchline). კომპონენტები გამონათქვამების ანალიზისას შემდგომი თანმიმდევრობით დალაგდა: გამონათქვამის ტიპი; იმპლიკაცია; გამონათქვამის აშკარა განზრახვა; გამონათქვამის დაფარული განზრახვა; დარღვეული სოციალური ნორმა; სამიზნე; გამონათქვამის საკვანძო ნაწილი; აუდიტორიის რეაქცია.

კვლევის დასკვნითი ნაწილი, 'სტენდაფ' კომედიის მონოლოგების შემთხვევაში, მოიცავდა წარმოდგენების შერჩევას Youtube პლატფორმასა და სატელევიზიო შოუებში. შემდგომი საფეხური მონოლოგების ტრანსკრიპტირება იყო, და ბოლოს, რუტინებში გამოყენებული თითოეული იუმორისტული გამონათქვამი დეტალურად გაანალიზდა. კვლევაში გამოყენებული თითოეული იუმორისტული სეგმენტი შერჩეულია ზემოთ ჩამოთვლილი 6 რუტინიდან, როგორც კვლევის მიზნებისთვის ყველაზე წარმომადგენლობითი (აგრესიისა და სოციალური ნორმების დარღვევის შემცველი) მაგალითები.

კომპონენტების დეტალური განხილვის სქემა ასეთია:

**იმპლიკაცია.** გრაისის (1975) მიხედვით, ეს არის დაუფარავი ინფორმაციისგან წარმოებული დაფარული ინფორმაცია. სასაუბრო იმპლიკაცია, ჩვენს კვლევაში, ცენტრალური ცნებაა, რადგან მიიჩნევა, რომ ირონია (და სარკაზმიც) ხელს უწყობს სასაუბრო იმპლიკაციით გამოწვეული დასკვნების გამოტანის პროცესს. უფრო დაზუსტებით, ეს იდეა შემოთავაზებულია გრაისის მიერ (1975) და შემდგომ მას დაუჭირეს მხარი სპერბერმა და უილსონმა (1981). ტრადიციულად, ირონია განიმარტება, როგორც ხატოვანი მნიშვნელობის მქონე ნათქვამი, რომელიც წარმოადგენს მისი ლიტერატურული მნიშვნელობის საპირისპიროს. მიუხედავად

ამისა, გრაისმა (1975) უარყო ეს ვარაუდი და ამტკიცებდა, რომ ირონიას არ აქვს დაფარული ხატოვანი მნიშვნელობა, არამედ უზრუნველყოფს დამატებითი მნიშვნელობის მინიჭებას, რომელიც, შესაძლოა, გააზრებულ იქნას მოცემულ კონტექსტში. ეს დამატებითი მნიშვნელობა ეხმაურება გრაისის იმპლიკაციის ცნებას.

**აშკარა და განზრახული ნათქვამი** ერთმანეთისგან მიჯნავს ნათქვამის ზედაპირულ და დაფარულ მიზანს.

**მაქსიმის დარღვევის პრინციპი.** მაქსიმის დარღვევის პრინციპი გრაისის (1975) კოოპერაციულ პრინციპს ეფუძნება. ამ პრინციპის მიხედვით, ოთხი მაქსიმა გვაქვს: ხარისხი (თქვი სიმართლე), რაოდენობა (იყავი ზუსტი), რელევანტურობა (ისაუბრე საქმის გარშემო) და მანერა (თქვი გარკვევით). მაქსიმის დარღვევა იუმორისტული ნათქვამის თითქმის განუყოფელი ასპექტია.

**ექოს ტიპის ხსენების პრინციპი.** სპერბერი და უილსონი (1981: 306), ირონიაზე საუბრისას, ექოს ტიპის ხსენების ცნებას გვთავაზობენ და ამგვარად ხსნიან: ირონიულად საუბრისას, მოსაუბრე აჟღერებს მანამდე გაგონილ სხვის აზრს თავისი უარყოფითი დამოკიდებულების ხაზგასმით. გამონათქვამის მიზანს ორიგინალური ნათქვამის, მისი ავტორის, მასში გამოთქმული რწმენის ან აზრის კრიტიკა წარმოადგენს. ნათქვამის წარმატებული ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მსმენელის უნარზე, გააანალიზოს ნათქვამი, როგორც "ხსენების" მაგალითი და ასევე, გაიაზროს მოსაუბრის დამოკიდებულება კონკრეტული გამონათქვამის მიმართ.

**ალუზიური ბრალდება.** ნაკამურას (2007) მიხედვით, ირონიული შენიშვნები ეფექტს გაცრუებულ მოლოდინებთან ალუზიით აღწევენ. ნაკამურას (2007) თეორია სამი ექსპერიმენტით დადასტურდა. პირველმა ექსპერიმენტმა, რომელშიც 4 სამეტყველო აქტი იყო განხილული, აჩვენა, რომ არაგულწრფელობა და ალუზია ირონიულ გამონათქვამებში ბევრად ხშირი იყო, ვიდრე არაირონიულში. ნაკამურას მიერ ჩატარებულმა მეორე ექსპერიმენტმა ცხადყო, რომ ნეგატიური დამოკიდებულებების ირონიული გამონათქვამებით გამოხატვა პოზიტიური და ნეგატიური მოლოდინების შეპირისპირების და შედეგად, პოზიტიური მოლოდინების გაცრუების ხარჯზე ხდება და იგი არ წარმოადგენს უშუალოდ ირონიის მახასიათებელს. მესამე ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ზედმეტად თავაზიანი შეთავაზებები უფრო ხშირად გამოიყენება ირონიულ კონტექსტში, ვიდრე ნაკლებ

თავაზიანი. მიზეზად ავტორი სწორედ იმას მიიჩნევს, რომ ირონიული გამონათქვამი თანაბრად გამოხატავს როგორც მოსაუბრის დამოკიდებულებას, ასევე მის განზრახვას. ნაკამურა (2007) გვეუბნება, რომ წარსული მოლოდინების ალუზია ირონიის სავალდებულო პირობაა - ჩვენ ბრალს ვდებთ მოსაუბრეს ჩვენი ალუზიური მოლოდინების შეუსრულებლობაში.

**სახის დაცვისა და მასზე შეტევის აქტები.** ბრაუნისა და ლევინსონის მოდელის (1987) მიხედვით, სახეზე შეტევისა და მისი დაცვის აქტები ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტებია სარკასტული გამოთქმების იდენტიფიკაციისას. სახე განიმარტება, როგორც თითოეული ჩვენგანის იმიჯი საზოგადოებაში. სახეზე შეტევის აქტი მისი რაიმე მხრივ დაზიანების მცდელობაა და თანამოსაუბრის სურვილების საწინააღმდეგოდაა მიმართული. სახის რღვევის შემაკავებელი მოქმედება აქვს სახის დაცვის აქტს, რომელსაც შეუძლია სხვადასხვა დონეზე შეამციროს უარყოფითი ეფექტი.

**სტერეოტიპის აქტივაცია.** სტერეოტიპი შეიცავს კომპლექსურ ღირებულებებს, როგორიცაა დამოკიდებულებები, ან პიროვნული თვისებები (არამხოლოდ ნეგატიური). თუმცა როგორც ალან დანდესი (1987) მიუთითებს, სტერეოტიპები როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული თავისებურებების შესახებ დამამცირებელი ხუმრობების საფუძველიც ხდება. ცალკეული ერებისთვის დამახასიათებელი იუმორის სტილი ავნერ ზივის (1988) მიერაა შესწავლილი, რომელმაც თავის კვლევაში აჩვენა, რომ ამერიკელი სტუდენტები იაპონელებზე ხშირად იყენებენ სასტიკ ხუმრობებს; სექსუალური სახის იუმორი ფრანგ და ბელგიელ სტუდენტებს შორის უფრო აქტუალურია; ირლანდიური ხუმრობების უმეტესობა ალკოჰოლზე და ჩხუბზეა ფოკუსირებული; ებრაელებთან კი არც ერთი ამ თემათაგანი არ გვხვდება. ზივი ასევე დააკვირდა, რომ იუმორის ღირებულება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. მაგალითად, ბიზნესმენები და მთავრობის ლიდერები შეერთებულ შტატებში უფრო ხშირად ხუმრობენ, ვიდრე ფრანგი და იტალიელი ლიდერები; იუმორისტული სატელევიზიო შოუები შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში ყველაზე მეტია.

კვლევის ფარგლებში სტერეოტიპის ცნებას მხოლოდ ხუმრობის კომპონენტის ჭრილში შევეხებით. ლეონ რაპოპორტის (2005) აზრით, ეს თითქოს ერთგვარი გაქცევაა

მისი დამაზიანებელი ემოციური ეფექტისგან. ამ ხერხით მანიპულირების ძალა ნათელს ხდის, რატომ გამოიყენებოდა შეურაცხყოფა და დაცინვა კაცობრიობის ისტორიაში დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის. სხვა სიტყვებით, სტერეოტიპი აუცილებლად განაპირობებს გარკვეული სტანდარტის არსებობას და, შესაბამისად, ამ სტანდარტს არადაქვემდებარებული ობიექტების არსებობას. ასეთი სტერეოტიპების გამოვლინებაა, მაგალითად, სოციუმის სუბკულტურებისადმი დამოკიდებულება. სტერეოტიპირებული რწმენა-წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების საფუძველიზე შექმნილი ხუმრობები მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

**შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია** იუმორისტების მიერ ხუმრობებისთვის მინიჭებული დამატებითი პრაგმატიკული დატვრთვის გამოაშკარავებას ემსახურება. ასეთი შეიძლება იყოს: შეფასება, გაკილვა, ჩივილი და ა.შ.

**საკვანძო ნაწილი.** საკვანძო ნაწილი კლასიკური იუმორისტული გამონათქვამის სტრუქტურაში ხუმრობის რიგით მესამე/ ბოლო კომპონენტია. მას წინ უძღვის შესავალი ფრეიმი და ტექსტი, რომელიც საკვანძო ნაწილისთვის გვამზადებს. უფრო ფართო გაგებით, საკვანძო ნაწილი შეიძლება იყოს ნებისმიერი გამოსვლის, სიტუაციის ან ამბის მოულოდნელი და სასაცილო შეჯამება.

რიჩის (2005) მიხედვით, საკვანძო ნაწილი იუმორისტული გამონათქვამის განუყოფელი ნაწილია, რადგან მის გარეშე მსმენელი ვერ გააცნობიერებს მეორადი ინტერპრეტაციის აუცილებლობას. სწორედ საკვანძო ნაწილი ქმნის კონფლიქტს/ წინააღმდეგობას აშკარა და ნაგულისხმევ გამონათქვამებს შორის და განსხვავებული ინტერპრეტაციის გაცნობიერესბისკენ უბიძგებს მსმენელს. ის ასევე აღნიშნავს, რომ საკვანძო ნაწილი ქმნის შეუსაბამობას და უკავშირდება მოლოდინების გაცრუებას, ანუ იგი არამხოლოდ ინტერპრეტაციებს, არამედ კონკრეტულ მოლოდინებს შორის კონფლიქტსაც გულისხმობს.

"Guy walks up to the widow at her husband's funeral and says, "May I just say one word?"

"Sure," she replies.

"Plethora."

The widow says, "Thanks. That means a lot."

მოცემული ხუმრობის საკვანძო ნაწილი შემდეგია: “Thanks. That means a lot.”. როგორც ვხედავთ, იგი ხუმრობის ბოლო ნაწილია და წინამდებარე ტექსტი სწორედ მის მოსასმენად გვამზადებს და სწორედ მისი მეშვეობით იქმნება წინააღმდეგობა [აქ:] მოლოდინსა (ქვრივის გაკვირვება) და რეალობას (ქვრივის კონტექსტიდან ამოვარდნილი პასუხი) შორის, ყალიბდება ალტერნატიული ინტერპრეტაცია (ქვრივი სამძიმრებს ავტომატურ რეჟიმში [ერთსა და იმავეს] პასუხობს) და საბოლოოდ გვეცინება.

იუმორისტული გამონათქვამის **სამიზნე** კომედიის ჟანრის სცენარისტების მიერ იუმორისტული ტექსტის შეუცვლელ კომპონენტად სახელდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ხუმრობა ყოველთვის ვიღაცის (სამიზნე) ან რაღაცისკენაა (იდეოლოგიური სამიზნე) მიმართული.

**ლინგვისტური ხერხი.** მოცემული კოპონენტის მიხედვით გავმიჯნეთ ლექსიკური, სინტაქსური და ფონოლოგიური ხერხებით განხორციელებული გამონათქვამები.

ზოგიერთი ტერმინის ირონიულობის გააზრებაში დაგვეხმარა ‘საზიარო ცოდნისა’ და ‘ზოგადი ჭეშმარიტების’ სეგმენტები.

ხუმრობათა ნაწილი მხოლოდ სოციალური ნორმების მძაფრი დარღვევის პრინციპითაა შერჩეული და, შესაბამისად, ზემოხსენებულ მატრიცაში გაანალიზების ნაცვლად უბრალოდ დარღვეული სოციალური ნორმები გამოვყავით.

თითოეულ ხუმრობას მოჰყვება აუდიტორიის რეაქციის კრიტერიუმი, რომელიც მოიცავს ჩამოთვლილთაგან რომელიმეს, ან რამდენიმეს ერთად: სიცილი, ინტენსიური სიცილი, ხანგრძლივი სიცილი, საუბრის შემწყვეტი სიცილი; ყვირილი; სტვენა; ‘უუ’ - დაგმობითი ხასიათის შორისდებულები.

მაგალითების ანალიზისას სარკაზმისა და ირონიის დიფერენცირება მოხდა გამონათქვამში აგრესიულობის ხარისხის მიხედვით.

### 3.2 მასალის ანალიზი

მოცემული თავი ნაშრომის ემპირიული მასალის ანალიზს წარმოადგენს. ანალიზი განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე, პრაგმატიკის, სოციოპრაგმატიკისა და სემანტიკის თეორიულ ჩარჩოში ინტერკულტურული დაკვირვებების პარალელურად. ნაშრომის ემპირიულ მასალად აღებულია ერთ-ერთი ცნობილი ქართული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (The ვანოს შოუ) 10 მონოლოგი, ცნობილი ამერიკული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (Tonight Show with Stephen Colbert) 10 მონოლოგი, 20 'სტენდაფ' მონოლოგი (სულ 200 იუმორისტული გამონათქვამი) და ამერიკული და ქართული ციხის არგოს (პატიმრების კოდური ენა) 40-40 ტერმინი.

მასალა მოვიპოვეთ Youtube-ისა და Netflix-ის პლატფორმებსა და ინტერნეტ ლექსიკონებში ( იხ. გამოყენებული ლიტერატურა).

როგორც ცნობილია, 'სტენდაფ' კომედია იუმორის თანამედროვე და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრია. ის „კომედიის ყველაზე თავისუფალ ფორმად" მიიჩნევა, და გამომსვლელის (კომიკოსის) ერთგვარ მსოფლმხედველობისა და ფილოსოფიის დემონსტრაციას წარმოადგენს (მენდრინოსი, ჯეიმსი, 2004). შეიძლება ითქვას, რომ 'სტენდაფ' კომედია თანამედროვე მსოფლიო კომედიის ერთ-ერთ წამყვან ჟანრს წარმოადგენს. სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ თემატიკაზე აგებული იუმორისტული მონოლოგები ამერიკელი საზოგადოების საყვარელი გასართობი და ერთგვარი ინტელექტუალური საკვებია.

**წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში პასუხი გავეცით შემდეგ კითხვებს:**

'სტენდაფ' მონოლოგების შემთხვევაში:

1. რამდენად აგრესიულია თანამედროვე სოციალური იუმორის, კერძოდ, 'სტენდაფ' კომედიის დისკურსი. ანუ, ჩვენს შემთხვევაში, უკავიათ თუ არა ირონიასა და სარკაზმს მნიშვნელოვანი ადგილი აგრესიული იუმორის შექმნაში.

2. მიემართება თუ არა ირონიული და სარკასტული გამონათქვამები კონკრეტული საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემატიკას (სოციალურ პრობლემატიკასა და კულტურულ სტერეოტიპებს).

3. განსხვავდება თუ არა აუდიტორიის რეაქცია აგრესიული და ნაკლებად აგრესიული ხუმრობების მოსმენისას და რა ხასიათისაა ეს მსგავსება-განსხვავებანი.

4. განსხვავდება თუ არა ორი ქვეყნის (საქართველოსა და ამერიკის) აუდიტორიის რეაქციები აგრესიული იუმორისტული გამონათქვამების მოსმენისას და რა ხასიათისაა ეს მსგავსება-განსხვავებანი.

პენიტენციური სისტემის ( პატიმრების არგოს) შემთხვევაში:

1. არის თუ არა ირონია და სარკაზმი ციხის არგოს მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და რა წილი მოდის მასზე / რამდენად აგრესიულ იუმორზეა დაფუძნებული ციხის არგო

2. არის თუ არა აგრესიული იუმორის გამოყენება პატიმრის ავტორიტეტულობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანი.

ინტერკულტურული შეპირისპირების შემთხვევაში (The ვანოს შოუსა და The Late Show with Stephen Colbert საფუძველზე):

2. მიემართება თუ არა აგრესიული (სარკასტული და ირონიული გამონათქვამები) საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემატიკას (სოციალურ პრობლემებსა და კულტურულ სტერეოტიპებს და რა მასგავსება-განსხვავებებია ფიქსირდება ამ მიმართულებით.

**მოცემული ანალიზი დაეყრდნო ნაშრომის თეორიულ მასალას,** იუმორის/ სიცილის შესახებ კრიკმანის (2005) შეუსაბამობის, ჰობსის (1996) მიხედვით უპირატესობისა, და სპენსერისა (1860) და ფროიდის (1905) მიხედვით შექმნილი ე, წ, „ შვების“ თეორიებს; ირონიისა და მისი პრაგმატიკის შესახებ გრაისის (1975), ლეიკოფისა (1973), და სპერბერისა და უილსონის (1981) თეორიებს.

**დისკურსის, სარკასტული და ირონიული გამონათქვამების ანალიზის** კუთხით, ნაშრომში გრაისის (1975) კოოპერაციულ პრინციპსა და იმპლიკაციის ცნებას, სპერბერისა და უილსონის (1981) ექოს ტიპის ხსენების, კლარკისა და გერიგის (1984) დადანაშაულების თეორიებს, და გოფმანისა (1969) და იულის მიერ განმარტებულ (1996) სახის ცნებას.

**ნარატიული სტრატეგიების ანალიზისას** არსებითი როლი ითამაშა ბრაუნისა და ლევინსონის (1987) დადებითი და უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიებმა და ამ თეორიის ნორიკისა და ჩიაროსეულმა (2009) ინტერპრეტაციამ.

იქიდან გამომდინარე, რომ ნაგულისხმევის სარკაზმის/ ირონიის გამოყენებით გადმოცემა მას განსაკუთრებით დაუნდობელ ხასიათს სძენს და ასევე, სარკაზმი/

ირონია იუმორის ეფექტს ზრდის, ნაშრომში გავაანალიზეთ სარკასტული დაირონიული ხუმრობები.

ასევე შევარჩიეთ სოციალური ნორმების დარღვევის შემცველი გამონათქვამები. სოციალური ნორმა სოციუმის წევრების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დაცულობას უზრუნველყოფს, შესაბამისად, მისი დარღვევა აგრესიის ერთ-ერთ გამოვლინებად კვალიფიცირდება. სოციალური ნორმების მაგალითები:

სხვების უფლებებისა და რწმენის პატივისცემა.

სხვების აზრისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება.

სხვებთან კომუნიკაციისას შეურაცხმყოფელი ენისა და ჟესტების თავიდან არიდება.

სოციალური ინტერაქციისას კარგი მანერებისა და ეტიკეტის დაცვა.

სიტუაციის შესაბამისი საუბარი და ქცევა.

ემპირიული მასალა 4 ძირითადი კრიტერიუმის მიხედვითაა მოპოვებული.

*(1)* კულტურა და აგრესიული იუმორი

*(2)* გენდერი და აგრესიული იუმორი

*(3)* სუბკულტურა და აგრესიული იუმორი

*(4)* სტერეოტიპი/ უმცირესობები და აგრესიული იუმორი

პირველი კრიტერიუმი აგრესიული იუმორის გამოყენების თვალსაზრისით კულტურულ შეპირისპირებას ითვალისწინებდა, რისთვისაც ცნობილი ქართული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (The ვანოს შოუ) 10 მონოლოგი და ცნობილი ამერიკული იუმორისტული სატელევიზიო შოუს (Tonight Show with Stephen Colbert) 20 მონოლოგი შევისწავლეთ.

მეორე კრიტერიუმის მიხედვით გენდერის მიხედვით იუმორის აგრესიულობის ხარისხსა და სპეციფიკას დავაკვირდით. კერძოდ, რამდენად და რა ნიშნებით განსხვავდებოდა ქალი და მამაკაცი 'სტენდაფ' კომიკოსების იუმორი ერთმანეთისგან და მართლდებოა თუ არა ლეიკოფისა (1975) და ტანენის (1990) მიერ გამოთქმული გენდერული სტერეოტიპების ენობრივ გამოვლინებებთან დაკავშირებული მოსაზრებები.

მესამე კრიტერიუმის მიხედვით აგრესიული იუმორის სუბკულტურების დისკურსში ფუნქციონირებას დავაკვირდით, რისთვისაც ამერიკული (40) და ქართული (40) ციხის არგოს ტერმინები შევისწავლეთ.

მეოთხე კრიტერიუმი აგრესიული იუმორის განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსში დაკვირვებას ითვლისწინებდა, რისთვისაც 20 ამერიკული 'სტენდაფ' მონოლოგი გამოვიყენეთ.

ნაშრომის ინტერკულტურულმა ასპექტმა, ამერიკული და ქართული აგრესიულ-იუმორისტული დისკურსის პარალელურმა ანალიზმა იუმორისა და კულტურის ურთიერთგანპირობებულობის დაკვირვების შესაძლებლობა მოგვცა. უფრო კონკრეტულად, განვსაზღვრეთ თითოეული (ქართული - კოლექტივისტური (ჰოფსტედე, 1967-73) და ამერიკული - ინდივიდუალისტური (ჰოფსტედე, 1967-73)) კულტურის იუმორის აგრესიულობის ხარისხი, სარკაზმისა და ირონიის გამოყენების სიხშირისა და მათი ხასიათის მიხედვით.

ციხის არგოს შემთხვევაში (პირველი კრიტერიუმი) ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებული დასკვნების რელევანტურობა ამერიკული ტელესერიალის, „გაქცევის" სცენარის ანალიზის მეშვეობით გადავამოწმეთ. ტერმინების კონტექსტუალური მნიშვნელობების გადამოწმება მოხდა რამდენიმე ვებ გვერდზე. ჩვენი მიზანი არგოში აგრესიული იუმორისა და მისი თანმხლები ლინგვისტური ცნებების - ირონიისა და სარკაზმის როლის განსაზღვრა იყო. ამისთვის არგოს შემადგენელი ტერმინები ჯერ იუმორისტულ და არაიუმორისტულ სექტორებად დავყავით, შემდეგ კი იუმორისტული ტერმინები უფრო ღრმად გავაანალიზეთ კონკრეტულ თეორიულ საფუძველზე დაყრდნობით. კვლევის საბოლოო ეტაპი ციხის არგოს სხვა არგოებთან შედარება და მასთან მიმართებაში აგრესიული იუმორის (სარკაზმისა და ირონიის) როლის უნიკალურობის დადგენა იყო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ გაანალიზებული მასალა არ ასახავს ჩვენს პოლიტიკურ, რელიგიურ თუ ფილოსოფიურ მრწამსს

### 3.2.2 ქალი იუმორისტების მონოლოგები

იუმორისტი ქალი - ეს ტერმინი ჯერ კიდევ ბოლო ათწლეულის განმავლობაში რიგ წინაღობებს აწყდებოდა. ქალების აქტიურობა იუმორისტულ სივრცეში მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო ჯინ კეროლის (Jean Carrol) მეთაურობით (The Frankie Laine Show, 1955). იგი თავდაპირველად კომედიური გუნდის წევრი იყო, რომელსაც მისი მომავალი ქმარი, ბადი ჰაუ (Buddy Howe) ხელმძღვანელობდა. ქმრის ომში წასვლის შემდეგ ჯინმა სკეჩები ინდივიდუალურ გამოსვლებს მოარგო და სოლო გამომსვლელი გახდა. მან კრიტიკოსთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და ისეთივე მასშტაბის წარმოდგენებს მართავდა, როგორსაც მისი თანამედროვე მამაკაცი იუმორისტები.

5 შვილის დედამ, ფილის დილერმა (Phyllis Diller) იუმორისტობას 37 წლის ასაკში მიჰყო ხელი. მისი ეს ნაბიჯი სენსაციური იყო. მამზ მეიბლი (Moms Mabley) მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ერთ-ერთი გამორჩეული შავკანიანი იუმორისტი იყო, თუმცა 60იან წლებამდე (როცა შავკანიანთა ტელევიზიაში ინტეგრაცია მოხდა) მხოლოდ შავკანიანი აუდიტორიისთვის იყო ცნობილი. მას იხსენებენ როგორც საკმაოდ ხისტ და თამამ იუმორისტს, რომელსაც ასაკმაც არ შეუშალა ხელი ნებისმიერ თემატიკაზე ღიად და გემოვნებიანად ეხუმრა. სატელევიზიო სივრცეში გამოჩენისას იგი უკვე საკმაოდ ასაკიანი იყო და კრიტიკოსთა აზრით, ამან მამაკაცთა დომინირებად სფეროში მისი შედარებით მარტივი ინტეგრაციაც განაპირობა.

ჯონ რივერსი (Joan Rivers, 1978) თავის ცხოვრებაზე ჩარჩოების გარეშე საუბრობდა, და მიიჩნევდა, რომ სანამ აუდიტორია იცინოდა, ყველაფერი მისაღები იყო. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ მისი იუმორი ცხოვრების ანარეკლია, და თუ იგი ვულგარული და დაუნდობელია, ამაში არაფერია გასაკვირი. მისი თქმით, იგი ყველა ადამიანში არსებული ფიქრების ვერბალიზებას ახდენდა. კრიტიკოსების აზრით, მისი გენიალურობის ერთ-ერთი საიდუმლო მისი უნარი იყო, რომ დროსა და გარემოს მორგებოდა.

ტრევა სილვერმენი (Treva Silverman) დოკუმენტურ სერიებში ჰყვება იმ ზარზე, რომელიც „კარსონის შოუში“ (The Carson Show) წარმატებული გასაუბრების შემდგომ

მიიღო და უთხრეს, რომ შოუს გუნდისთვის არაკომფორტული იქნებოდა ქალთან მუშაობა.

პიონერი იუმორისტი ქალების სიაში არიან ქეროლ ბერნეტი (Carrol Burnett), ლუსილ ქალენი (Lucille Callen), სელმა დაიმონდი (Selma Diamond), ბეთი უაითი (Betty White), როუზ მარი (Rose Marie).

მოცემულ კვლევაში თანამედროვე 'სტენდაფის' ოთხი წამყვანი ქალი კომიკოსის 24 ხუმრობაა გაანალიზებული. 1) Whitney Cummings: I'm Your Girlfriend (TV Special for HBO 2016); 2) Taylor Tomlinson: Quarter-Life Crisis (Netflix Special 2020); 3) Natasha Leggero (for Comedy Central); 4) Ali Wong: Baby Cobra (TV Special 2016).

კლევისთვის კონკრეტული 'სტენდაფ' კომიკოსებისა და წარმოდგენების შერჩევა მათი მოთხოვნადობიდან და პოპულარობიდან გამომდინარეობს.

**ნატაშა ლეჯეროს (Natasha Leggero) მაგალითი**

ნატაშა ლეჯერო (დ. 26 მარტი, 1974) ამერიკელი კომიკოსი, მსახიობი და მწერალია. მან პოპულარობა 2005 წელს მოიპოვა MTV რეალითი სატელევიზიო სერიალის The 70s House წამყვანის როლის შემდეგ და როგორც რეგულარული მრგვალი მაგიდის მონაწილემ ჩელსი ჰენდლერის გვიან ღამის თოქ-შოუში Chelsea Lately 2008 წლიდან 2014 წლამდე.

ლეჯერომ რიკი ლინდჰომთან ერთად შექმნა კომედიის ცენტრალური პერიოდის სიტკომი „სხვა პერიოდი" (2015–2018) რომელშიც მან ლილიან აბიგაილ ზელაკური ითამაშა, გამოგონილი ზელაკურების ოჯახის ქალიშვილი. ლეჯერომ ასევე ითამაშა რამდენიმე ზრდასრულთა ანიმაციურ სიტკომში, იგი ახმოვანებს კალი მაგგოტბონის პერსონაჟს ფილმში Ugly Americans (2010–2012), ეთელს in Brickleberry-ში (2013–2015) და შენონს Hoops-ში (2020). მან ასევე ითამაშა NBC-ის ხანმოკლე სიტკომში Free Agents (2011) ემა პარკერის როლში, "Showtime"-ის კომედიურ სერიალში Dice (2016–2017) კარმენის როლში და CBS-ის სიტკომში Broke (2020) ელიზაბეთის როლში. 2022 წელს ლეჯერომ გამოუშვა თავისი პირველი წიგნი „მსოფლიო იმსახურებს ჩემს შვილებს".

მისი კომედია კრიტიკოსებისთვის აღსანიშნავია სატირის გამოყენებისა და ისეთ თემებზე ხუმრობის გამო, როგორიცაა პოპულარული კულტურა და სოციალური კლასები.

**ამონარიდები ნატაშა ლეჯეროს (Natasha Leggero) მონოლოგებიდან**

3.2.2.1 „Why do only hipsters[7] get gluten allergies? Are they activated by American Apparel[8] purchases?“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ჰიპსტერები სულელური ნივთების შეძენით არიან დაკავებულნი |
| აშკარა ნათქვამი | კითხვა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ადამიანმა სულელური ნივთები არ უნდა იყიდოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | ჰისპტერები მხოლოდ კონკრეტული ტიპის მაღაზიებში ვაჭრობენ |
| სამიზნე | ჰიპსტერები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “Are they activated by American Apparel[9] purchases?” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

[7] ადამიანი, რომელიც საზოგადოების ძირითადი ნაწილისგან განსხვავებულ (არამასობრივ) ტრენდებს მისდევს
[8] მაღაზია, რომელიც ფერად სპორტულ და სავარჯიშო ტანსაცმელს, ბოდეებსა და სხვა მსგავს ტრენდულ გამოუსადეგარ ნივთს ჰყიდის.

3.2.2.2 „By the way, I would rather walk in on my boyfriend j*rking off while hanging himself than have him have one of those "Call of Duty" headsets[10] on.”. That's the one where you protect our country from your couch while you're eating a sandwich.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ხუმრობის ავტორს მკვდარი პარტნიორი ურჩევნია ‘გეიმერ’ პარტნიორს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | დამცირება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ნამდვილი მამაკაცი სერიოზული საქმეებით უნდა იყოს დაკავებული |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ‘გეიმერი’ მამაკაცები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “than have him have one of those "Call of Duty" headsets on” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

[10] თავზე მოსარგები ყურსასმენები, რომელიც სპეციალურად ერთ-ერთი ვიდეოთამაშისთვისაა (Call of duty) შექმნილი. მისი მეშვეობით მოთამაშეების ერთმანეთისა და თამაშის შიდა ხმების ესმით.

3.2.2.4 *context:* [the previous joke]

“-I saw you nod your head, sir. How many hours a day? [to the man in the audience] (audience laughs)

- [Man] Six.

- Six?

- How old are you, 40? When Napoleon was your age, he conquered half of Europe.“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ადრესატს ყოვლად უმნიშვნელო და ყველასთვის გამოუსადეგარი ცხოვრების სტილი აქვს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ნამდვილი მამაკაცი ქვეყნისთვის/ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საქმეს უნდა აკეთებდეს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | აუდიტორიაში მყოფი ‘გეიმერი’ მამაკაცი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “When Napoleon was your age, he conquered half of Europe.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

3.2.2.3 „- Men don't even wanna get married anymore. Marriage seems like it would be the best dealfor a dude. You could like, get someone to have sex with you for the rest of your life, someone to find your wallet every day, close the cabinets behind you, pick up your socks."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | მამაკაცის ბედნიერება სრულიად პრაგმატულ ყოველდღიურობაზეა აგებული/ მამაკაცები პრაგმატულები, არაორგანიზებულები და უსუფთაოები არიან |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ადამიანის პირადი ეთიკა საშუალო დონის ემოციურობას ორგანიზებულობასა და სისუფთავეს მოიცავს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მამაკაცები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "You could like, get someone to have sex with you for the rest of your life, someone to find your wallet every day, close the cabinets behind you, pick up your socks." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | ხანგრძლივი სიცილი, ოვაცია |

3.2.2.4 „I just broke up with a guy. It's hard though, girls, you know, when you have to be the one that says it. Listen, you've run out of money.“ (audience laughs)

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ქალებს მხოლოდ მამაკაცის ფული სჭირდებათ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ ჰეტეროგენულ წყვილებში ფინანსური პასუხისმგებლობა მამაკაცს აკისრია |
| სამიზნე | ამერიკელი ქალები |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “Listen, you've run out of money!” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

3.2.2.5 „I have all these feminist friends and they're like, "Natasha, how can you just let men "buy you things?" And I'm like, "Obviously, you have no idea "what it's like to be pretty."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ფემინისტები გარეგნულად მიმზიდველები არ არიან |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |

| | |
|---|---|
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ფემინისტები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "Obviously, you have no idea "what it's like to be pretty." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

**უითნი ქამინგსის (Whitney Cummings) მაგალითი**

უითნი ქამინგსი (დ. 1982 წლის 4 სექტემბერს) არის ამერიკელი 'სტენდაფ' კომიკოსი, მსახიობი, მწერალი, რეჟისორი, პროდიუსერი და პოდკასტერი. მას 2010-2022 წლებში ხუთი სპეციალური 'სტენდაფ' წარმოდგენა აქვს გამართული (Money Shot (2010), I Love You (2014), I'm Your Girlfriend (2016), Can I Touch It? (2019), Joke (2022)

კამინგსი შთაგონების წყაროდ პოლ რეიზერს, ჯორჯ კარლინსა და დეივ ატტელს ასახელებს. უითნი თავის იუმორს აღწერს, როგორც არაპოლიტიკურს, არამენტორულსა და თვითგანმკიცხველს.

**ამონარიდები უითნი ქამინგსის (Whitney Cummings) მონოლოგებიდან**

3.2.2.6 „I figured out why couples break up I think it's this I think couples break up because we're all operating under different definitions of the word love if you think about it we say this word to each other and I think it just makes us raise expectations you know I feel like if we were all to just agree on a universal definition of the word love we'd stop disappointing each other so much you know so to me my definition of love is being willing to die for someone that you yourself want to kill."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | სიყვარული დადებით და უარყოფით ემოციებს თანაბრად მოიცავს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წუწუნი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | სიყვარულის ცნება |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "to me my definition of love is being willing to die for someone that you yourself want to kill." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდიმენსტები |

3.2.2.7 „I feel like guys hate that women are so emotional and sensitive right you guys think women are crazy right yes okay all right you think this is fun for me you think I would ever choose this for myself you think I enjoy crying every time Adele is on the radio that's embarrassing okay you think I enjoy googling your ex-girlfriend three hours a day do you think I have that kind of time you think I enjoy trying to guess every one of your security question answers like: „what street did he grow up on?“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პარტნიორი მამაკაცის პათოლოგიურ კონტროლში ქალები საკუთარი თავის ნაცვლად მათვე ადანაშაულებენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წუწუნი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ქალები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “...you think I enjoy crying every time Adele is on the radio that's embarrassing okay you think I enjoy googling your ex-girlfriend three hours a day do you think I have that kind of time you think I enjoy trying to guess every one of your security question answers like: „what street did he grow up on?“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

3.2.2.8 “I feel like you guys watching sports should give you a little more sympathy for us because now you know what it's like to yell at a man and have him completely ignore you.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | მამაკაცებს ქალების იგნორირება |

| | |
|---|---|
| | ახასიათებთ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა/ თვითკრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მამაკაცები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...now you know what it's like to yell at a man and have him completely ignore you." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდისმენტები |

3.2.2.9 "I feel like you guys think that we choose to be crazy, you know? It's an active choice. I feel like you guys think that we wake up on any given morning and just decide we're going to have a terrible day. I feel like you guys think we wake up and we're like, oh, my God, I'm going to have such a good day today. I'm gonna hang out with my boyfriend, we're going to go hang out, see a movie-- you know what?

No. I have a better idea. I'm going to wake up, feel fat for two hours... then get mad at my boyfriend because he said "good morning" in a weird tone... ...then I'm going to break up with him in my head... I'm not going to tell him we broke up. It's none of his f**king business whether we're together or not. Then I'm going to go spend $200 on jeans that don't fit... then I'm going to go eat cucumbers with barbecue sauce on them...

then I'm going to get mad at him again because he suggested we see a Scarlett Johansson movie-what the f**k is that?! Then I'm going to go spend two hours online

looking at wedding dresses.

Not a great day for us, either, you know?”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ქალები ემოციურად უკონტროლოები და ამაში პარტნიორებს ადანაშაულებენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა/ თვითკრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ქალები/ ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "I'm going to wake up, feel fat for two hours... then get mad at my boyfriend because he said "good morning" in a weird tone... ...then I'm going to break up with him in my head... I'm not going to tell him we broke up. It's none of his f**king business whether we're together or not. Then I'm going to go spend $200 on jeans that don't fit... then I'm going to go eat cucumbers with barbecue sauce on them... then I'm going to get mad at him again because he suggested we see a Scarlett Johansson movie-- what the f**k is that?! Then I'm going to go spend two hours online looking at wedding dresses.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

3.2.2.10 “I feel like you guys watching sports should give you a little more sympathy for us because now you know what it's like to yell at a man and have him completely ignore you.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | მამაკაცებს ქალების იგნორირება ახასიათებთ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა/ თვითკრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მამაკაცები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | “...now you know what it's like to yell at a man and have him completely ignore you.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

### ტეილორ ტომლინსონის (Taylor Tomlinson) მაგალითი

ტეილორ ელისე ტომლინსონი (დ. 4 ნოემბერი, 1993) ამერიკელი კომიკოსია. მის ანგარიშზე Netflix-ის ორი სპეციალური წარმოდგენაა სახელწოდებით: Quarter-Life Crisis (2020) და Look At You (2022).

ტომლინსონმა კომედიის შესრულება 16 წლის ასაკში დაიწყო, მას შემდეგ რაც მამამ იგი 'სტენდაფის' წრეზე ჩაწერა. იგი გამოდიოდა ეკლესიის სარდაფებში, სკოლის დარბაზებში და ყავის მაღაზიებში. 2015 წელს მოხვდა NBC-ის Last Comic Standing-ის მეცხრე სეზონში ტოპ 10 ფინალისტს შორის და Variety-ის მიერ 2019 წლის Just for Laughs ფესტივალზე "ტოპ 10 ყველაზე ყურებად კომიკოსს" შორის დასახელდა. ტომლინსონი გამოჩნდა შოუებში The Tonight Show, Conan და სხვადასხვა კომედიურ დადგმებში. მან დაწერა სიტკომი ABC-სთვის 2017 წელს და შეასრულა 15 წუთიანი როლი Netflix-ის 'სტენდაფ' სერიალის The Comedy Lineup-ის ეპიზოდში 2018 წელს.

ტომლინსონის პირველი Netflix-ის პერსონალური სტენდაფის, "Quarter-Life Crisis, პრემიერა 2020 წლის მარტში შედგა. მოგვიანებით, იმავე წელს მან გამართა ტური თანამემამულე კომიკოს უიტნი ქამინგსთან ერთად Codependent Tour-ზე. ამავე წელს მიჰყავდა პოდკასტი Self-Helpless თანამემამულე კომიკოსებთან, კელსი კუკთან და დელანი ფიშერთან ერთად. 2021 წელს მან დაიწყო საკუთარი პოდკასტის ჩაწერა, სახელწოდებით: Sad in the City. იგი მოხვდა Forbes-ის 30 Under 30 სიაში 2021 წლის დეკემბერში. მისი მეორე Netflix-ის პერსონაული 'სტენდაფი' Look At You პრემიერა 2022 წლის მარტში შედგა.

ამონარიდები ტეილორ ტომლინსონის (Taylor Tomlinson) მონოლოგიდან: Quarter Life Crisis (Netflix Special 2020)

3.2.2.11 “All my friends are like, "You need a guy with a car and a job." And I'm like, "Yeah, but then I gotta deal with his wife.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | მანქანისა და სამსახურის მქონე ყველა მამაკაცი ცოლიანია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა/ თვითკრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | უცოლო - ხელმოცარული მამაკაცები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "Yeah, but then I gotta deal with his wife.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, ოვაცია |

3.2.2.12 “He and I broke up because he cheated on me… in my head, and I could not [continue the relationship].”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ქალი საკუთარ წარმოდგენაში მომხდარ მოვლენებზე რეალურ ცხოვრებაში |

| | |
|---|---|
| | რეაგირებს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ ქალები საკუთარ პრობლემებს ხშირად თავად იგონებენ |
| სამიზნე | ხუმრობის ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "...in my head, and I could not.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

3.2.2.13 “I actually got engaged this year. ... It didn't work out. Just wasn't the right fit. But man, I learned a lot about myself in the process of getting engaged. First off, I didn't know what a basic bitch I was who was gonna love being engaged that much. But something happened with that ring went on my finger, something in my stupid lady lizard brain went, "Level completed." And I just kind of floated through Target like, "Oh, am I better than everybody? "What's that? "No, I don't need help, someone loves me. "I'll find the towels right after I cancel therapy. "I'm all fixed."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ხუმრობის ავტორს დაქორწინება თვითშეფასებას უმაღლებს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | დაცინვა |

| | |
|---|---|
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ხუმრობის ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "...something in my stupid lady lizard brain went, "Level completed." And I just kind of floated through Target like, "Oh, am I better than everybody? "What's that? "No, I don't need help, someone loves me. "I'll find the towels right after I cancel therapy. "I'm all fixed." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

3.2.2.14 „Losers are hard to quit. Losers are a lot like cigarettes. You have one in your mouth, you feel pretty cool, but everyone around you is like, "Ew, we're sad for you." "Don't do that around my kids."“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | „ხელმოცარული“ მამაკაცები არასასურველი პარტნიორები არიან |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კომენტარი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |

| | |
|---|---|
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ხელმოცარულები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "Ew, we're sad for you." "Don't do that around my kids." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

### 3.2.1 მამაკაცი იუმორისტების მონოლოგების მაგალითები

**ლუი სი ქეის (Louis C.K.) მაგალითი**

ლუი შეიქეი (Louis Székely; სასცენო სახელით ლუი სი ქეი (Louis C.K.) ცნობილი ამერიკელი 'სტენდაფ' კომიკოსი, ავტორი, მსახიობი და რეჟისორია. მას სამი ფიბოდის ჯილდო[11] აქვს აღებული (Peabody Awards) სატელევიზიო, რადიო და ონლაინ მედია სივრცეში ყველაზე გავლენიანი, საგანმანათლებლო, დიდაქტიკური ამბების კატეგორიაში და ექვსი ემის ჯილდო (Primetime Emmy Awards) კომედიაში არტისტული მიღწევისთვის. ასევე მრავალი ჯილდო აქვს აღებული შოებისთვის - The Chris Rock Show, Louie specials Live at the Beacon Theater (2011) და Oh My God (2013). მას ორჯერ აქვს მიღებული გრემის ჯილდო (Grammy Award) საუკეთესო კომედიური ალბომის ტიტული. 2015 წელს ჟურნალმა Rolling Stone თავის სიაში - „ღვთაებრივი კომედია: ყველა დროის 25 საუკეთესო 'სტენდაფ' გამოსვლა და ფილმი" მე-3 ადგილი მიანიჭა ლუი სი ქეის 'სტენდაფ' გამოსვლას - Shameless, ხოლო მე-5 ადგილი 2017 წლის სიაში - ყველა დროის 50 საუკეთესო 'სტენდაფ' გამოსვლა.

[11] **The George Foster Peabody Awards** - ამერიკელი ბიზნესმენისა და ფილანტროფის, ჯორჯ ფიბოდის (George Peabody) სახელობის პროგრამა, რომელიც ყველაზე გავლენიან საგანმანათლებლო სატელევიზიო, რადიო და ონლაინ მედია ამბებს აჯილდოვებს.

სი ქეიმ კარიერა 1990-იან წლებში ისეთი კომიკოსებისთვის დაიწყო სცენარების წერა, როგორებიც იყვნენ დევიდ ლეთერმანი, კონან ო'ბრაიენი, დანა ქარვი, ქრის როქი. 2001 წელს სი ქეიმ თავისი სადებიუტო კომედიური ალბომი - Live in Houston გამოუშვა. დღემდე მას 9 კომედიური ალბომი აქვს გამოშვებული.

**ამონარიდები ლუი სი ქეის ლაივ-წარმოდგენიდან ბიქონის თეატრში (Beacon theatre)**

(3.2.1.1) “I was thinking the other day, what if there was a baby who was born… and there's been a lot of f**ked up babies, there's all kinds of babies born. There's been babies with, you know, that connected at the base to a dog or whatever; there's pity babies with three legs with hands on them; there's been Chinese babies.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ჩინელი ბავშვი ფიზიკურად ნაკლოვანი ბავშვების რიცხვს განეკუთვნება |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ჩინელი ერი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება (უარყოფითი) |
| საკვანძო ნაწილი | “…there’s been Chinese babies.” |
| აუდიტორიის რეაქცია | ინტენსიური სიცილი |

დარღვეული სოციალური ნორმა 1: ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების დაცინვა.

დარღვეული სოციალური ნორმა 2: ქსენოფობია (ჩინელი ერის შეურაცხყოფა).

(3.2.1.2)“I don't know how I'm gonna tell my kids… how the f**k you compete with that? How do you take a miserable person with no control over their lives (children) and tell them with a straight face: “Ah, you can't do drugs, you can't do that, baby, all drugs are a perfect solution for every problem you have right now […] drugs are so f**king good that they'll ruin your life.””

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნარკოტიკები იმდენად კარგია, რომ ბავშვებთან მისი ძაგება ძლიან რთულია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება (დადებითი) |
| საკვანძო ნაწილი | “...all drugs are a perfect solution for every problem you have right now […] drugs are so f**king good that they'll ruin your life.”” |
| აუდიტორიის რეაქცია | ინტენსიური სიცილი |

*დარღვეული სოციალური ნორმა*: ნარკოტიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატვა

**ამონარიდი ლუი სი ქეის მონოლოგიდან Saturday Night Live (SNL)-ში**

(3.2.1.3) “Child Molesters are very tenacious people. They love molesting child. It's crazy. It's like their favorite thing. I mean, it's so crazy, because when you consider the risk in being a child molester, speaking not of even the damage you're doing, but the risk-There is no worse life available to a human then being a caught child molester. And yet they still do it. Which from you can only really surmise that it must be really good.“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პედოფილს იმდენად მოსწონს ბავშვზე ძალადობა, რომ, ალბათ, ეს სავარაუდოდ, კარგი რამეა |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება (დადებითი) |
| საკვანძო ნაწილი | “...Which from you can only really surmise that it must be really good.“ |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

*დარღვეული სოციალური ნორმა:* ბავშვის გაუპატიურებაზე ხუმრობა და ამ ფენომენის დამატებითი სექსუალიზება (ისეთი შეფასებით, როგორიცაა სიტყვათშეხამება: “really good”).

**ბილ ბერის (Bill Burr) მაგალითი**

უილიამ ფრედერიკ ბერი (დაბადებული 1968 წლის 10 ივნისს) ამერიკელი 'სტენდაფ' კომიკოსი და მსახიობია. მისი შექმნილია ნეტფლიქსის (ამერიკული ტელეარხი) ანიმაციური „სითქომი“ F Is for Family (2015-დღემდე). მისმა 'სტენდაფ' გამოსვლამ Paper Tiger საუკეთესო კომედიური ალბომის ნომინაცია მიიღო გრემის 63ე დაჯილდოებაზე (Grammy Awards).

ბერს გაყიდული აქვს შოები მედისონ-სკვერ-გარდენზე (2015), როიალ ალბერტ ჰოლში (2018). იგი ფლობს რეკორდს უილბერის თეატრში მიყოლებით 19 შოუს ჩატარებისთვის (აზიზ ანსარის 10 შოუს შედეგის გაუმჯობესებით). ბერს 2018 წელს 20 000 ადგილი აქვს გაყიდული ლოს ანჯელეს ფორუმზე.

ბერს ამერიკული 'სტენდაფ' კომედიის თაყვანისმცემლები „კომიკოსთა კომიკოსს“ უწოდებენ. ჟურნალმა Rolling Stones ბერს „the undisputed heavyweight champ of rage-fueled humor“ უწოდა. ბერი საკუთარ თავს ხშირად უწოდებს "that loud guy in the bar with uninformed logic". ონლაინ გაზეთის, Montreal Gazette მიხედვით, ბერი არის "a cynic and a contrarian who has never paid any heed to political correctness". გაზეთმა The New York Times 2013 წელს ბერს "one of the funniest, most distinctive voices in the country for years" უწოდა.

**ამონარიდი ბილ ბერის (Bill Burr) მონოლოგიდან - "Why Do I Do This"**

(3.2.1.4) I have no hatred in my heart for gay people, all right? They're cool, they're funny, generally speaking, they're neat, you know? I got a lot of positive things to say about them, you know. [Once they] moved [into] your neighborhood the property value goes up, because they make it fabulous, right? They can't reproduce. So that I'm making more in the way [these] people [are] wonderful for the environment, god bless them."

| | |
|---|---|
| გამონათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ერთადერთი დადებითი ფაქტი ჰომოსექსუალების შესახებ ისაა, რომ რეპროდუქცია არ შეუძლიათ |
| აშკარა ნათქვამი | შექება, დადებითი ემოციის გამოხატვა |
| განზრახვა | წაკბენა |

| | |
|---|---|
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სამიზნე | ჰომოსექსუალები |
| საკვანძო ნაწილი | "…wonderful for the environment" |
| სოციალური ნორმის დარღვევა | ჰომოსექსუალების მიმართ ანტიპათიის ღიად დაფიქსირება |
| აუდიტორიის რეაქცია | ტაში, ინტენსიური სიცილი |

დარღვეული სოციალური ნორმა: ჰომოფობური განწყობის გამომჟღავნება

**რამი იუსეფის (Ramy Youssef) მაგალითი**

რამი იუსეფი ამერიკელი 'სტენდაფ' კომიკოსი, მსახიობი, მწერალი და რეჟისორია. იგი მთავარ როლს თამაშობდა 2019 წლის Hulu-ს სერიალში, სადაც ის ამერიკაში დაბადებულ, იმიგრანტი ოჯახის შვილის, მილენიალი (1980-94 წლებში დაბადებული ადამიანი) მუსლიმანის როლს ასრულებს. სერიალმა დიდი წარმატება მიპოვა ამერიკის მასშტაბით.

რამიმ 2020 წელს „ოქროს გლობუსი" მიიღო ამ როლისთვის და ასევე ნომინირეული იყო Primetime Emmy Awards-ის ორ ჯილდოზე - როგორც მსახიობი და როგორც რეჟისორი.

**ამონარიდი რამის ერთ-ერთი 'სტენდაფ' მონოლოგიდან სტივენ კოლბერის შოუში (The Late Show with Stephen Colbert):**

(3.2.1.5) "Obviously, I don't agree with the ban. Of course not. But the problem is, I do agree with like, every third thing that Trump says. It's like a weird multiple-choice test.

He'll be like: 'Mexicans are rapists, muslims have got to go, the government is broken, it could do better.'

I'll be like: 'One of those is true. But are all of them true?'"

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | ერთადერთი სიმართლე ისაა, რომ აშშ-ის მთავრობა არ მუშაობს |
| აშკარა ნათქვამი | ეჭვის გამოთქმა |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | აშშ-ის მთავრობა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება (უარყოფითი) /დახვეწილობა |
| საკვანძო ნაწილი | 'One of those is true. But are all of them true?' |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

**ისმაელ ლუტფის (Ismael Loutfi) მაგალითი**

ისმაელ ლუტფი მუსლიმანი 'სტენდაფ' კომიკოსი, მწერალი და მსახიობია ცენტრალური ფლორიდიდან. მისი გამოსვლები შედგა შოუებში Jimmy Kimmel Live, Bill Burr Presents: The Ringers, და This Week at the Comedy Cellar. ისმაელი წერდა ნეტფლიქსის სერიალის, Patriot Act with Hasan Minhaj სცენარს 2 წლის განმავლობაში, ასევე NPR-ის (U.S. National Public Radio) ეპიზოდების, Wait Wait Don't Tell Me სცენარს. 2022 წელს შედგა მისი პერსონალური 'სტენდაფი' (Standup Special) - "Sound It Out" Comedy Central-ის სცენაზე. ისმაელი ცხოვრობს ნიუ იორკში.

**ამონარიდები ისმაელ ლუტფის მონოლოგებიდან ჯიმი კიმელის შოუში (Jimmy Kimmel Live)**

(3.2.1.6) “Huh, wow, wow, good to see you! Hello, good to see you. Okay, good, all right. So, I’m cutie patootie. I’m a sweet young man with a kind face. Ethnic, not ethnic enough to disappoint anybody’s parents.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ახლო აღმოსავლელის ოჯახში შესვლა თეთრკანიან მშობლებს იმედს უცრუებს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | სტერეოტიპული დასავლელები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | “…Not ethnic enough to disappoint someone’s parents.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.7) *კონტექსტი: [წინა ხუმრობა]*

“You know how hard it is for me to scare white people? I can’t. I can’t do it. I look like the guy on every “Welcome to college!” brochure. Just give me a backpack and a cardigan. [starts imitating someone] Hi, my name is nonthreatening minority.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ახლო აღმოსავლელები საშიშ უმცირესობას წარმოადგენენ, ხუმრობის ავტორი კი, ამ მხრივ, გამონაკლისია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | სტერეოტიპული დასავლელები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | “Hi, my name is nonthreatening minority.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.8) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

“I’m here to tell you that your state university is both inclusive and safe. Just ask my best friends, black nerd and Asian wheel-chair girl.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ახლო აღმოსავლელები, აზიელები და შავკანიანები ინკლუზიურობის [შინაარსისგან დაცლილ] იარლიყს |

| | |
|---|---|
| | ატარებენ დასავლეთში |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ საზოგადოება და ინსტიტუციები რეალურად თანაბრად უნდა ეპყრობოდნენ სხვადასხვა რასისა და ეროვნების ადამიანებს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | სტერეოტიპული დასავლელები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | "…black nerd and Asian wheel-chair girl.." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.9) კონტექსტი: [წინა ხუმრობა]

"Watch us ride around campus and fight crime, we're superheroes. Our superpower? – white guilt[12]."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | რასობრივი უმცირესობების წინაშე თეთრკანიანებს დანაშაულის გრძნობა აწუხებთ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |

[12] remorse or shame felt by a white person with respect to racial inequality and injustice.

| | |
|---|---|
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ადამიანები ერთმანეთს თანასწორად უნდა აღიქვამდნენ |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | სტერეოტიპული თეთრკანიანები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | "Our superpower? – white guilt" |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.10) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

"I'm a Muslim. That hasn't been fun. I don't know if you've noticed, the last 16 years have been pretty stressful for us. I can't watch the news, just the way they talk about us is so demeaning, the buzz words, just the way they talk about us is so demeaning, the buzz words, talking about moderate Muslims. That's their go-to. I want to see one moderate Muslim, show me one moderate Muslim denounce terror. Like, screw you, dude. Who came up with 'moderate Muslim'? What an objectifying label to give 1.5 billion people!"

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ზემოაღნიშნული ტერმინი - 'moderate Muslim' ძალიან სუბიექტური იარლიყია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |

| | |
|---|---|
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | კი/ მასმედიის წარმომადგენლები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | გაფრთხილება |
| საკვანძო ნაწილი | “What an objectifying label to give 1.5 billion people!” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.11) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

“Moderate Muslims, mild Muslims, your sweet and sour Muslims, your lemon pepper, teriyaki.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ტელე-ეთერში მუსლიმანებს საკვებივით, დამახარისხებელი ეპითეტებით მოიხსენიებენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | პაროდირება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |

| | |
|---|---|
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | კი/ მასმედიის წარმომადგენლები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | "Moderate Muslims, mild Muslims, your sweet and sour Muslims, your lemon pepper, teriyaki." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.12) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

"And also, we do denounce terror all the time but nobody puts a camera on that, nobody wants to see people me moderate, that's boring."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | მასმედიის მიერ მუსლიმანებისთვის მინიჭებული იარლიყი (moderate) მათ ხმას ახშობს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | პაროდირება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | კი/ მასმედიის წარმომადგენლების |
| ალუზიური ბრალდება | ადამიანთა ჯგუფისთვის ასეთი იარლიყის მინიჭება არ არის მართებული |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ თეთრკანიანთა დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |

| | |
|---|---|
| სამიზნე | კი/ მასმედია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| საკვანძო ნაწილი | "…nobody wants to see people me moderate, that's boring." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.13) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

"You want to see people up and down and be craze. The point of the news system is to sensationalize everything. Makes me so mad. I just want to blow stuff up. I get so angry! Anybody else have that instinct in their blood? I don't know. I don't know what that is. Probably nothing to worry about, all right."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | კომიკოსს სისხლში (გენში) აქვს ტერორიზმი |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მასმედიისადმი |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ დასავლელთა (განსაკუთრებით მასმედიის) დამოკიდებულება ახლო აღმოსავლელებისადმი |
| სამიზნე | კი/ მასმედია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |

| | |
|---|---|
| საკვანძო ნაწილი | "Anybody else have that instinct in their blood?" |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

**4.2 ვანოს შოუს მაგალითი**

ვანო ჯავახიშვილის შოუ, იგივე ვანოს შოუ, 10 წელზე მეტია საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელევიზიის, რუსთავი ორის ეთერშია ყველაზე ძვირადღირებულ საათებში. შოუს წამყვანი ცნობილი იუმორისტი ვანო ჯავახიშვილია. შოუ ამერიკული თოქ შოუების („The Tonight Show Starring Jimmy Fallon", " Jimmy Kimmel Live! ", The Late Show with Stephen Colbert ", და ა.შ.) ანალოგია, შესაბამისად მისი ძირითადი ჩონჩხი იმეორებს ტიპური თოქ შოუს სტილსა და სტრუქტურას.

შოუ იწყება მონოლოგით, რომელიც დაახლოებით 10 წუთს გრძელდება. ამ დროის განმავლობაში წამყვანი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პერიოდულად შოუ ბიზნესის სიახლეებს იუმორისტულ-სარკასტულ ჭრილში განიხილავს. შემდეგ აქვს ორი სპეციალური რუბრიკა, რომელიც ასევე პოლიტიკური ან სოციალური შინაარსისაა და ხშირად ხდება პოლიტიკოსების გაშარჟება. პოლიტიკური ფიგურები მღერიან, ცეკვავენ და ა.შ.

**ამონარიდები ვანო ჯავახიშვილის მონოლოგებიდან**

(3.2.1.14) „ვიწყებ მონოლოგს ცენტრალური თემით. [...] ნიკა მელიასა და ლევან ხაბეიშვილს შორის ბოლო დღეებში უფრო დაიძაბა ურთიერთობა. ხაბეიშვილის მხარემ მელიას გაუხსენა, [მან] კეზერაშვილისგან საჩუქრად მიიღო ლენდ კრუიზერიო. არ გამიკვირდება, ხვალ დილით გამოვიდეს მეორე მხარე, ჯიბიდან ამოიღოს დიდი გრაგნილი და „ქეთო და კოტეში" როგორც იწყებს ხანუმა, ისე დაიწყოს, რა აიღო მელიამო: „ჯიპები და მანქანები, ლალები და ალმასები, ბადახშები, ფირუზები,

საფირონის სასმისები.“ *საზიარო ცოდნა:* სცენა ცნობილი ქართული ფილმიდან - „ქეთო და კოტე“, სადაც მაჭანკალი ქალი შერჩეული სარძლოს მზითევის ჩამოთვლას იწყებს.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი დანაყოფი მაჭანკალი ქალივით სხვისი ქონების შესახებ დეტალებს ასაჯაროებს |
| აშკარა ნათქვამი | ხუმრობა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა (წამყვანს ასეთი მოლოდინი არ აქვს, აზვიადებს) |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთ დანაყოფი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „ჯიბიდან ამოიღოს დიდი გრაგნილ ი და „ქეთო და კოტეში“ როგორც იწყებს ხანუმა, ისე დაიწყოს, რა აიღო მელიამო: „ჯიპები და მანქანები, ლალები და ალმასები, ბადახშები ფირუზები საფირონის სასმისები.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.15) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

„ეს ტოიოტა ლენდ კრუიზერი ისტორიაში შევა, როგორც ტროას ჯიპი. მელიას მიართვეს ძღვენი, რომელიც პარტიამ დააყენა ოფისის ავტოსადგომზე და არჩევნების კვირაში მანქანიდან ამოვიდა კომპრომატები. ტროას ცხენის იდეა თავის დროზე ოდისევსს ეკუთვნოდა და მე მაინტერესებს, რომელია ოდისევსი, კეზერაშვილი თუ მერაბიშვილი."

*ზოგადი ჭეშმარიტება:* პოლიტიკა ბინძური სფეროა და პოლიტიკოსებს ახასიათებთ ვერაგი თამაშები.

ამ ხუმრობის გასაგებად ჰალისეული (1973) დეკოდირების მოდელის გამოყენება მოგვიწევს, რომლის მიხედვითაც, ავტორი საკუთარი ნათქვამის კოდირებას ახდენს, მსმენელი კი მის დეკოდირებაზე, შესაბამის ინტერპრეტირებაზეა პასუხისმგებელი, რათა მათ ერთმანეთს გაუგონ (ჰალი, ს. 1973). დეკოდირების პროცესში ვადგენთ, რომ ხუმრობის ავტორმა გამოიყენა ბერძნულ მითოლოგიაზე დაფუძნებული ალუზია - ტროას ცხენი, რომლის მეშვეობითაც ბერძენმა ჯარისკაცებმა ვერაგულად აიღეს ტროას ციხე და ქალაქი ტროა. უფრო კონკრეტულად, წამყვანმა შექმნა საფუძველი იმისთვის, რომ ირიბად დაედანაშაულებინა ნაც. მოძრაობის ერთ-ერთ დანაყოფის სპონსორები (რომელიმე მათგანი) ვერაგი პოლიტიკის წამორებაში.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი დანაყოფის ლიდერი (მელია) პოლიტიკაში გამარჯვებულის მხარეს იჭერს |
| აშკარა ნათქვამი | ვარაუდი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთ დანაყოფის |

| | |
|---|---|
| | ლიდერი, ნიკანორ მელია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...ახლა ხაზემ თუ მოიგო, ალბათ ისევ იმ ძველ ნომერს დააბრუნებს." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.16) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

„თავიდან ამ მანქანის ნომერი იყო კეზერასი [KEZER100]. ნუ, მელია დადიოდა ამ მანქანით, ესეთი ნომერი ჰქონდა, რა, კეზერასი. იარა, იარა, იარა ამ მანქანით და რო დაუპირისპირდა [კეზერაშვილს], მერე შეცვალა და დააყენა მელიასი, მიხვდით? და ახლა ხაზემ თუ მოიგო, ალბათ ისევ იმ ძველ ნომერს დააბრუნებს."

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი დანაყოფის ლიდერი (მელია) პოლიტიკაში გამარჯვებულის მხარეს იჭერს |
| აშკარა ნათქვამი | ვარაუდი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთ დანაყოფის ლიდერი, ნიკანორ მელია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...ახლა ხაზემ თუ მოიგო, ალბათ ისევ იმ ძველ ნომერს დააბრუნებს." |

| | |
|---|---|
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.17) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

„მელიამ განაცხადა, მე ის ავტომობილი არ მიმიღია საჩუქრადო, უკან დავაბრუნე, მაგრამ აღარ დაიბრუნა კეზერაშვილმა და ახლა დგას პარტიის ავტოსადგომზეო. კეზერაშვილმა რატო აღარ დაიბრუნა, იმას რატომ არ ამბობს? მე ვიცი ეგ ამბავი, თურმე კატალიზატორი ამოუღია მელიას და კეზერაშვილს კიდევ კატალიზატორის გარეშე აღარ დაუბრუნებია. აღარ იბრუნებს, რად მინდა ეგეთი მანქანაო. 'ტეხასმოტრს' თუ ვეღარ გაატარებ, რად გინდა ეგეთი მანქანა, აბა?!"

*საზიარო ცოდნა:* მელიას საკმარისი ფინანსები აქვს იმისთვის, იმისთვის, რომ კატალიზატორის ამოღება-ჩაბარება არ დასჭირდეს. არც კეზერაშვილს გაუჭირდებოდა მანქანაში ამ ნაკლის გამოწორება.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი დანაყოფის ლიდერს - ნიკანორ მელიას საჩუქრის დაბრუნება არ უცდია. |
| აშკარა ნათქვამი | თხრობა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთ დანაყოფის ლიდერი, ნიკანორ მელია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |

| | |
|---|---|
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „მე ვიცი ეგ ამბავი, თურმე კატალიზატორი ამოუღია მელიას და კეზერაშვილს კიდევ კატალიზატორის გარეშე აღარ დაუბრუნებია.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.18) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

მეორე მხარე ამბობს, ამ მანქანითაც ირკვევა, რომ მელია არაფერს აკეთებდა მთელი ამ ხნის განმავლობაში, იმიტომ, რომ რა ‘პრაბეგიც’ ჰქონდა, იგივე ‘პრაბეგით’ აბრუნებსო უკან და, შესაბამისად, ეს კაციც არაფერს აკეთებდა, ესე იგი. ანუ არ უვლია, რა, მანქანას არ უვლია. მთელი 6 წელია არ უვლია მანქანას ფაქტობრივად.“

*ზოგადი ჭეშმარიტება:* პოლიტიკა ბინძური სფეროა. ოპონენტები ერთმანეთის წინააღმდეგ მუდმივად ეძებენ კომპრომატებს და ხშირად აბსურდამდე დადიან.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი (ხაზეიშვილის) მხარე მეორეს (მელიას) მხარეს ყველა შესაძლო/ აბსურდულ ბრალდებას უყენებს |
| აშკარა ნათქვამი | თხრობა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |

| | |
|---|---|
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის ერთ-ერთი (ხაზეიშვილის) დანაყოფი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „მე ვიცი ეგ ამბავი, თურმე კატალიზატორი ამოუღია მელიას და კეზერაშვილს კიდევ კატალიზატორის გარეშე აღარ დაუბრუნებია." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.19) „საინტერესოა, ვინ გაიმარჯვებს ხვალ არჩევნებში. ეგ არ ვიცი, მაგრამ ამ არჩევნების მერეც, ალბათ, გაგრძელდება ერთმანეთის ლანძღვა ინერციით."

საზიარო ცოდნა: ნაც. მოძრაობის დაპირისპირებული მხარეები ყველა ინტერვიუსა თუ პირად საუბრებში ერთმანეთის ლანძღვით არიან დაკავებულები.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ნაც. მოძრაობის დანაყოფები ერთმანეთს დაუნდობლად ლანძღავენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის დანაყოფები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „ინერციით" |

| | |
|---|---|
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკურ-ალუზიური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.20)*კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

მე მინდა, მივმართო ორივე მხარეს: რას აკეთებთ, ხალხო?! რატომ უპირისპირდებით ერთმანეთს?! რად გიღირთ ეს პარტიის თავმჯდომარის სკამი?! რად გიღირთ თუნდაც თავმჯდომარის ხელფასი, რად გიღირთ?! რად გიღირთ თბილ ოფისში კაბინეტი?! ეგ ავტომობილები, პრივილეგიები, დეპუტატის მანდატი... ძვირადღირებული საჩუქრები... არჩევნები ხვალ არი, ხომ? რომ რამე, ვეღარ ვასწრებ დარეგისტრირრებას მე, ხო? თავის დროზე უნდა მეფიქრა, რა! მაგარი გავმაზე, რა! რა გინდა რას ჩამობერდი ამ სტუდიაში, რა გინდა, მიდი, რა, მიდი, რა, კაცო, გაშალე ფრთები, რა! დავდივარ [სამსახურში], ხან არი ხელფასი ხან არ არი. როდემდე ვიცხოვრო ესე?!“

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატები არა იდეალებისთვის არამედ პრივილეგიებისთვის იბრძვიან |
| აშკარა ნათქვამი | კითხვა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |

| | |
|---|---|
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „რად გიღირთ ეს პარტიის თავმჯდომარის სკამი?! რად გიღირთ თუნდაც თავმჯდომარის ხელფასი, რად გიღირთ?! რად გიღირთ თბილ ოფისში კაბინეტი?! ეგ ავტომობილები, პრივილეგიები, დეპუტატის მანდატი... ძვირადღირებული საჩუქრები...“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.21)*კონტექსტი:* „პოლიტიკურ ველზე დიდი პაუზის შემდეგ კვლავ გამოჩნდა გიორგი გახარია, რომელმაც ოცნებისთთვის არასასურველი განცხადება გააკეთა. ვნახოთ, რა პასუხი გასცა ამ განცხადებას ოცნების დეპუტატმა მიხეილ სარჯველაძემ: [წამყვანი ახდენს მის ციტირებას] „გახარია ჩვენი პრემიერი იყო, მაგრამ ეშმაკიც დაცემული ანგელოზია.“

ისე, სარჯველაძეს ლექსადაც შეეძლო ეთქვა:

ავად ვიყავი წუხელ ვკვდებოდი,
ალბათ მიხსენებს ახლა ზოზია,
გახარიაში არის დემონი,
ჩვენში კი უფრო ანგელოზია.

ანუ, გახარიამ ხალხი რომ დაარბია სპეცრაზმით, მაშინ ყოფილა ანგელოზი, თურმე და მთავრობიდან რო წამოვიდა, მერე გახდა ეშმაკი“.

*კონცენტრირებული ნაწილი:* „ანუ, გახარიამ ხალხი რომ დაარბია სპეცრაზმით, მაშინ ყოფილა ანგელოზი, თურმე და მთავრობიდან რომ წამოვიდა, მერე გახდა ეშმაკი.“

მოცემული ხუმრობის გასაგებადაც ჰალისეული (1973) დეკოდირების მოდელის მოშველიება დაგვჭირდება. ირონიულ გამონათქვამამდე ავტორი (ვანო ჯავახიშვილი) საკუთარ ხუმრობას ალუზიის (ტერენტი გრანელის ლექსი „მე და

გალაკტიონი“) და სარჯველაძის მიერ მანამდე გამოყენებული ალუზიის (ბიბლიური ეშმაკი) მეშვეობით ავითარებს, ანუ დებს მასში კოდს (ჰალი, 1973). პირველი ალუზია შედარებით მსუბუქია (არ ეფუძნება გრანელისეულ სასოწარკვეთას) და უბრალოდ ფრაზის ავტორის, სარჯველაძის პაროდირებას ემსახურება, მისი ნათქვამის გაპოეტურების/ გადრამატულების ხარჯზე. სარჯველაძისეული ალუზია ბიბლიური სატანის დაცემამდელ მდგომარეობას - ანგელოზობას ახსენებს და მის შეცდომას მსმენელს და, შესაბამისად, ავითარებს აზრს, რომ ადამიანები [მით უმეტეს] ცდებიან. თუმცა შოუს წამყვანი ამ შედარებას საკუთარი ირონიული გამონათქვამის ფორმირებისთვის იყენებს.

| ნათქვამის ტიპი | ირონია |
|---|---|
| იმპლიკაცია | გახარია მთავრობაში ყოფნის დროს სჩადიოდა დიდ ბოროტებას |
| აშკარა ნათქვამი | დასკვნა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მთავრობაში მყოფი გახარია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „ანუ, გახარიამ ხალხი რომ დაარბია სპეცრაზმით, მაშინ ყოფილა ანგელოზი, თურმე და მთავრობიდან რო წამოვიდა, მერე გახდა ანგელოზი.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.22) *კონტექსტი:* [წინა ხუმრობა]

„რავიცი, მიტინგების დარბევა თუა ანგელოზობაა, ანგელოზივით მთავრობა გვყავდა წინა, რას ერჩოდით?!“

*საზიარო ცოდნა:* წინა (სააკაშვილის) მთავრობის მმართველობის პერიოდში ბევრი მიტინგი დაირბა.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | წინა მთავრობა მიტინგებს არბევდა |
| აშკარა ნათქვამი | კითხვა |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | წინა მთავრობა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „ანუ, გახარიამ ხალხი რომ დაარბია სპეცრაზმით, მაშინ ყოფილა ანგელოზი, თურმე და მთავრობიდან რო წამოვიდა, მერე გახდა ანგელოზი.“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

(3.2.1.23) *კონტექსტი:* „ნაციონალურმა მოძრაობამ პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადა. ქუჩის აქტივობაზე გადაერთვება და პარლამენტის საქმიანობას წყვეტს. პარტია სხდომებზე აღარ ივლის. ამ ფაქტმა მართლაც შეიძლება, გატეხოს და დაასუსტოს ქართული ოცნება. ძალიან მძიმე განაჩენი გამოუტანეს ქართული ოცნების წევრებს,

ძვირფასო ტელემაყურებლებო. ფაქტობრივად, ჩამოაქციეს სახელმწიფო ვერტიკალი. ამან შეიძლება გამოიწვიოს შეუქცევადი პროცესი, ქართული ოცნება შეიძლება გადავიდეს 'აი, ამ ჩემს ფეხებს, თუ არ შემოხვალთ' რეჟიმზე. რთული დასაძლევი კრიზისია ოცნებისთვის, პირდაპირ გეუბნებით, ძალიან რთული!"

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ქართულ ოცნებას ნაც. მოძრაობის ბოიკოტი არაფერს დააკლებს |
| აშკარა ნათქვამი | დარწმუნება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | დიახ/ ხარისხის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ 1. ოპოზიციურ პარტიას (აქ: ნაც. მოძრაობას) მეტი პოლიტიკური წონა უნდა ჰქონდეს.<br>2. მმართველი პარტიისთვის ოპოზიციის ბოიკოტი სულერთი არ უნდა იყოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნაც. მოძრაობა<br>მმართველი პარტია |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...ქართული ოცნება შეიძლება გადავიდეს 'აი, ამ ჩემს ფეხებს, თუ არ შემოხვალთ' რეჟიმზე." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

### 3.1.4 „The late show with Stephen Colbert“ მაგალითი

2014 წლის 10 აპრილს CBS-მა სტივენ კოლბერი დევიდ ლეტერმანის „მემკვიდრედ“ წარადგინა და მას შემდეგ იგი ამერიკელ მაყურებელში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს (სტატისტიკაზე დაყრდნობით). კოლბერს თითქმის სრული კონტროლი აქვს თავის შოუზე და დამოუკიდებლად წარმართავს მის პოლიტიკას, ტელევიზიის (CBS) მხრიდან ძალიან უმნიშვნელო ჩარევით.

ეს თოქ შოუ მონოლოგით იხსნება, სადაც კოლბერი თავისთვის ტრადიციული მწარე იუმორით მიმოიხილავს ქვეყანაში მიმდინარე უახლეს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და, იშვიათად, შოუბიზნესის სიახლეებს. ასევე აქვს რუბრიკები, როგორიცაა „ყალბი ახალი ამბები“, სკეჩ-კომედიები, ინტერვიუები, მუსიკალური პერფომანსები. მისი სტუმრების სიაში არიან პოლიტიკოსები: ჯო ბაიდენი, ბენ კი-მუნი, დონალდ ტრამპი და ა.შ. ასევე შოუ ბიზნესის წარმოადგენლები: ჯორჯ ქლუნი, სკარლეტ იოჰანსონი, ემინემი და ა.შ.

(3.2.1.24) *კონტექსტი:* [ეკრანზეა დონალდ ტრამპის ტვიტის (ტვიტერის პოსტის) ფოტო]

“The fake mainstream media is working so hard trying to get me not to use social media. They hate that I can get the honest and unfiltered message out.”

“Oh yes, oh yes, the media hates it. And let me just say something quickly to Donald Trump. (…) As an honorary member of the media, please stop tweeting, especially early in the morning, because we have to write about it all day long. Some days, we come up with too many jokes, and we have some left over for the next day, and I can start drinking early. So, no tweeting, none! I demand it!”

*კონცენტრირებული ნაწილი:* “Oh yes, oh yes, the media hates it. (...) Some days, we come up with too many jokes, and we have some left over for the next day, and I can start drinking early."

*(1)* მედიას სურს, რომ ტრამპმა სოციალური ქსელების გამოყენება შეწყვიტოს, რადგან სძულთ მისი გულწრფელი და გაუფილტრავი გზავნილები.

*(2)* სტივენ კოლბერი, როგორც მედიის წარმომადგენელი დონალდ ტრამპს სთხოვს შეამციროს ტვიტების (ტვიტერზე გამოქვეყნებული პოსტი) რაოდენობა, რათა მას (სტივენს) მეტი თავისუფალი დრო დარჩეს.

*ზოგადი ჭეშმარიტება:* იუმორისტული მედიისთვის გადაცემების სცენარის დასაწერად პოლიტიკოსების ქმედებები და განაცხადები ყველაზე საჭირო მასალაა. (აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 11 თებერვალს 2011 წლის შემდეგ პირველად „გვიანი ღამის შოუს" მაყურებელთა რიცხვმა 2.84 მილიონს მიაღწია და მთავარი მეტოქე ჯიმი ფელონი (CBS-ზე „ღამის შოუ ჯიმი ფელონთან ერთად" წამყვანი) 'ჩამოიტოვა' სტივენ კოლბერი თავის წარმატებაში ტრამპის წვლილს აღიარებს (ფელონი პოლიტიკური თემების მიმართ ნეიტრალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს).

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | ჩვენ თქვენი ტვიტებით შოუს ვქმნით და შესაბამისად ძალიან გვჭირდება |
| აშკარა ნათქვამი | თხოვნა, მოთხოვნა |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/მანერა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | დონალდ ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "So, no tweeting, none! I demand it!" |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდისმენტები |

(3.2.1.25) *კონტექსტი:* "The big news of this week is that Special Counsel Robert Mueller is investigating Donald Trump for obstruction of justice (…) but Trump's got a plan. (…) He's a

fighter you know, he's a big street fighter, he punches back, fighting back. On Twitter yesterday he tweeted:

[ეკრანზეა ტრამპის ტვიტის სურათი

"Why is that Hillary Clinton family's dealing with Russia are not looked at but my non dealings are."

"I don't know, maybe because those people are the non-president. [იწყებს ტრამპის იმიტირებას] „Everybody else just to hang out with Russia, I hate you, you're not my real special prosecutor, I'm going to my room!""

*კონცენტრირებული ნაწილი:* "Donald Trump he's a fighter you know, he's a big street fighter, he punches back, fighting back."

*(1)* ტრამპი მებრძოლია, ის ბოლომდე იბრძვის.

*(2)* ტრამპი პროტესტს გამოთქვამს ბავშვისთვის დამახასიათებელი შაბლონური ფრაზით და თავის ოთახში ტირილით გარბის.

*(3)*

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | პრეზიდენტი ტრამპი ბავშვივით იქცევა |
| აშკარა ნათქვამი | თხრობა |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ პრეზიდენტი თავის დანაშაულზე პასუხისგების მაგივრად სხვის დანაშაულზე საუბარს იწყებს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ ბავშვები უსაფუძვლო პროტესტის გამოთქმისკენ არიან მიდრეკილნი |
| სამიზნე | პრეზიდენტი ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...I'm going to my room!" |

| | |
|---|---|
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდისმენტები |

(3.2.1.26) *კონტექსტი:* "CNN recently did a report on Tangier that showcased the concerns of the small fishing town's 450 residents and it appears that this is one piece of news that actually resonated with our president because this week Trump called the Mayor of Tangier and told him not to worry about his rapidly disappearing island.

*კონცენტრირებული ნაწილი:* Trump called the Mayor of Tangier and told him not to worry about his rapidly disappearing island.

*(1)* ტრამპი ქალაქის გასაჭირმა შეაწუხა.

*(2)* ტრამპმა ქალაქის მერს უთხრა, რომ არ ენერვიულა.

*ზოგადი ჭეშმარიტება:* თუკი ადამიანი რეალურად თანაუგრძნობს ვინმეს, ცდილობს მაქსიმალურად შეუმსუბუქოს მას გასაჭირი.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ტრამპს არაფერი ადარდებს |
| აშკარა ნათქვამი | თხრობა |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ტრამპმა თითქმის არაფერი გააკეთა პრობლემის მოსაგვარებლად |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ ადამიანის დამშვიდების გზა აბსურდული ფრაზით "არ ინერვიულო" |
| სამიზნე | პრეზიდენტი ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...and told him not to worry about his rapidly |

| | |
|---|---|
| | disappearing Island." |
| აუდიტორიის რეაქცია | ინტენსიური სიცილი |

(3.2.1.27) *კონტექსტი:* According to Tangier Mayor James Booker Tom told him:

[ეკრანზეა სქრინშოტი „უოშინგტონ პოსტის" ვებ გვერდიდან]

"Your island has been there for hundreds of years and I believe your island will be there for hundreds more."

[წამყვანი]

"Yes, if something is there it's never going away unless Trump meets the younger hotter one. Now [ოვაციების გამო ფრაზას „განმარტავს"] island, island, a younger hotter, hotter (შუბლზე ხელს ისვამს ტემპერატურის ფრეიმის მისანიშნებლად) like hotter island.

*კონცენტრირებული ნაწილი:* "Yes, if something is there it's never going away unless Trump meets the younger hotter one..."

*საზიარო ცოდნა:* ტრამპი პარტნიორ ქალებს ხშირად იცვლის.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ტრამპს კუნძულის ბედი არ ანაღვლებს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/მანერა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | ტრამპი მექალთანეა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | პრეზიდენტი ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |

| | |
|---|---|
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...unless Trump meets the younger hotter one“ |
| აუდიტორიის რეაქცია | ინტენსიური სიცილი |

(3.2.1.28) *კონტექსტი:* მას შემდეგ რაც წამყვანი განაცხადებს, რომ მამების დღეს მარტო ხვდება, განაგრძობს:
“I'll admit that It's okay that I'm gonna be alone because Father's Day is not as important as Mother's day (…). We dads teach kids about loan care and the importance of burying your feelings, but we did not give them life, we did not pass our child through our body like a canned ham.”
*კონცენტრირებული ნაწილი:* We dads teach kids about loan care and the importance of burying your feelings, but we did not give them life, we did not pass our child through our body like a canned ham.”
*(1)* მამების დღე ისეთი მნიშვნელოვანი არაა, როგორც დედების.
*(2)* მამები ასწავლიან შვილებს სესხებზე ზრუნვასა და საკუთარი გრძნობების დამარხვის მნიშვნელობას.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | მამები რეალურად დიდ მსხვერპლს იღებენ შვილების გულისთვის |
| აშკარა ნათქვამი | განაცხადი |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ მანერის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მხოლოდ დედების ღვაწლი ფასდება |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ დედის ღვაწლს მამის ღვაწლი ვერასდროს შეედრება |

| | |
|---|---|
| სამიზნე | საზოგადოება |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | დარწმუნება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „We dads teach kids about loan care and the importance of burying your feelings“ |
| აუდიტორიის რეაქცია | ხანგრძლივი სიცილი |

(3.2.1.29) *კონტექსტი:* „The Warriors went 16 and 1 in the postseason and it just goes to show you that if you work hard, you believe in yourself and have every great player other than LeBron James on your team, you can accomplish anything.“

*კონცენტრირებული ნაწილი:* if you work hard, you believe in yourself and have every great player other than LeBron James on your team, you can accomplish anything.“

*(1)* Warriors-მა წარმატებას მძიმე შრომითა და წარმატების რწმენით მიაღწია.

*(2)* Warriors-ის გუნდში ყველაზე ძლიერი კალათბურთელები არიან ლებრონ ჯეიმსის გარდა (ის სხვა გუნდში თამაშობს).

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | Warriors-ის გამარჯვება არაა გასაკვირი |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი/შექება |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/მანერა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | Warriors |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “…and have every great player other than LeBron James on your team...“ |

| | |
|---|---|
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.30) *კონტექსტი:* "President Trump had an official call with Putin today. I heard the call was tense, but let's face it, that's how performance reviews usually go."

*(1)* პრეზიდენტ ტრამპსა და პუტინს დღეს დაძაბული ოფიციალური სატელეფონო საუბარი ჰქონდათ.

*(2)* პერფორმანსების განხილვა ჩვეულებრივ დაძაბულია ხოლმე.

*საზიარო ცოდნა:* ტრამპი და პუტინი საიდუმლო მოლაპარაკებების წარმოებაში არიან ეჭვმიტანილები, რომლის ერთ-ერთი მონაწილე (ჯეიმს კომი) ახლა სენატის მიერ პირდაპირ ეთერში იკითხება.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ტრამპი და პუტინი კომის ჩვენებას განიხილავენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/მანერა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ტრამპი პუტინის მოკავშირეა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „...lets face it, that's how performance reviews usually go." |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.31) *კონტექსტი:* „According to the Kremlin, when discussing North Korea, the President of Russia called for restraint and an easing of tensions. You know things are bad when Putin is the voice of restraint."

*კონცენტრირებული ნაწილი:* "You know things are bad when Putin is the voice of restraint."

*საზიარო ცოდნა:* პუტინი მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე აგრესიულ პოლიტიკოსადაა მიჩნეული.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | პუტინისგან თავშეკავებაზე ლაპარაკი პარადოქსულია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/პუტინი საკმაოდ თავშეუკავებელი და აგრესიული ადამიანია იმისთვის, რომ ვინმეს თავშეკავებისკენ მოუწოდოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | პრეზიდენტი პუტინი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "…Putin is the voice of restraint." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდისმენტები |

(3.2.1.32) *კონტექსტი:* “Secretary Ross was speaking at a conference yesterday and joked that the airstrike “was in lieu of after-dinner entertainment.” Really? What was the planned after-dinner entertainment? Busboys fighting in the thunderdome? Steve Bannon unhinging his jaw and swallowing Reince Priebus feet first?

*კონცენტრირებული ნაწილი:* „What was the planned after-dinner entertainment? Busboys fighting in the thunderdome? Steve Bannon unhinging his jaw and swallowing Reince Priebus feet first? “

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | საჰაერო თავდასხმა აქ ჩამოთვლილი გასართობებივით სანახაობრივი იყო |
| აშკარა ნათქვამი | შეკითხვა |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური დადანაშაულება | კი/ტრამპისთვის საჰაერო თავდასხმა გართობის საშუალებაა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | სტივ როსი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | „Busboys fighting in the thunderdome? Steve Bannon unhinging his jaw and swallowing Reince Priebus feet first?“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | ინტენსიური სიცილი, აპლოდისმენტები |

(3.2.1.33)*კონტექსტი:* "You guys remember last month when Trump ordered a missile strike on a Syrian air base? (…) It all went down while Trump was dining at Mar-a-Lago with the President of China enjoying what Trump described as the "Most beautiful piece of chocolate cake that you've ever seen." Which is why the mission's code name was "Operation Dessert Storm". Could be a misspelling.“

*საზიარო ცოდნა:* "Operation Desert Storm" ანუ „ოპერაცია უდაბნოს შტორმი" ერაყის წინააღმდეგ ამერიკის თაოსნობით ჩატარებული მაშტაბური და სისხლიანი ოპერაციის კოდური სახელწოდებაა.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ტრამპის ქმედება „ოპერაცია უდაბნოს შტორმს" გაუტოლდა სისასტიკით |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ხარისხის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/პრეზიდენტი უპასუხისმგებლოდ იქცევა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | "Which is why the mission's code name was "Operation Dessert Storm." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

(3.2.1.33) *კონტექსტი:* “Oh, over the weekend, the President called the media “The enemy of the American people.”

(…)

“The Washington Post” added a sub header to its front page that says, “Democracy dies in darkness.” So, the “Washington Post” has officially entered its Goth phase. It’s a strong message that they’re going to hold Trump accountable, a message he will receive the minute “Fox & Friends” reports on it.

*კონცენტრირებული ნაწილი:* „…a message he will receive the minute “Fox & Friends” reports on it.“

*საზიარო ცოდნა:* „ფოქსი და მეგობრები“ დილის ახალი ამბების გადაცემაა, რომელიც ტრამპის მიმართ კეთილგანწყობილია.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ტრამპი მხოლოდ „ფოქსისა და მეგობრების“ მიერ გადმოცემულ სიახლეებზე რეაგირებს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/პრეზიდენტი არაობიექტურია და საწინააღმდეგო აზრს უარყოფს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | პრეზიდენტი ტრამპი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “…a message he will receive the minute “Fox & Friends” reports on it.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

| | |
|---|---|
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი, აპლოდისმენტები |

**ალი უონგის (Ali Wong) მაგალითი**

ალექსანდრა დონ „ალი“ უონგი (Alexandra Dawn "Ali" Wong) დაიბადა 1982 წლის 19 აპრილს. იგი ამერიკელი ‘სტენდაფ’ კომიკოსი და მსახიობია. უონგი ყველაზე ცნობილია Netflix-ის სპეციალური პერსონალური წარმოდგენით Baby Cobra (2016), Hard Knock Wife (2018) და Don Wong (2022). მას ნათამაშები აქვს ფილმში Always Be My Maybe (2019), რომელშიც ასევე მუშაობდა როგორც მწერალი და პროდიუსერი.

უონგი ასევე იყო ამერიკელი დიასახლისის როლის შემსრულებელი ABC-ის შოუში, მანამდე კი გამოჩნდა შოუებში Inside Amy Schumer, Black Box და Are You There, Chelsea? ის იყო სიტკომის, Fresh Off the Boat პირველი სამი სეზონის სცენარისტი. უონგი ახმოვანებს მთავარ პერსონაჟს, რობერტა "ბერტს“ ანიმაციურ სერიალში Tuca & Bertie და ალის ანიმაციურ სერიალში Big Mouth. იგი შევიდა Time-ის 2020 წლის 100 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში.

ამონარიდები ალი უონგის მონოლოგიდან - **Ali Wong: Baby Cobra (TV Special 2016)**

3.2.2.15 “And I found out that my progesterone levels were alarmingly low. So, then I had to take these hormone pills that were suppositories and push pop them up myself every single night. And then at my writing job at Fresh Off the Boat, I would be storyboarding in front of my co-workers. And then at some point the pill would inevitably dissolve and melt into my underwear. And I had to act like everything was okay when everything was clearly not okay. (audience laughing) And then a side effect of the progesterone, was that it made me extremely itchy. So, then I had to find a way to discretely scratch myself
(audience laughing) underneath the conference table and then resist the urge to immediately smell my fingers afterwards (audience laughing). I want to be able to smell my fingers when I want to smell my own goddamn fingers. Housewives they can just scratch and sniff all day long. They just vacuum scratch, sniff. They make a sandwich, (gibberish sound) (sniffs) Watch "Property Brothers", scratch, what's cracking, mmh (sniffs).”

დარღვეული სოციალური ნორმა: ჰიგიენის/ ინტიმური ჰიგიენის წესების დაცვა/ მათზე საჯაროდ საუბრისგან თავის შეკავება
აუდიტორიის რეაქცია: ხანგრძლივი, ინტენსიური სიცილი, აპლოდისმენტები

“Housewives, they don't get to sh*t in an office. Housewives get to sh*t in their house. They don't get to use that horrible toilet paper cover. [...] They don't get to use that one ply toilet paper, that office toilet paper that they purposely make difficult to pull out. They try to ration me with their communist toilet paper. That's not even effective. It basically just dehydrates your but**ole. It is basically like wiping your b**t with the desert. (audience laughing) I literally spat on my toilet paper two days ago to try to make a MacGyver baby wipe to moisten it. And then it backfired, 'cause my fingers broke through and digitally stimulated more doo-doo to come out. And then I had to start all over again.
(audience laughing). And you can never finish wiping at work because you always feel rushed because you're paranoid that your coworker's going to recognize your shoes underneath a stall. And you're like, Oh, no Courtney's listening, she's waiting. She's timing me. And then you

hurry, hurry, hurry. And then you never finish wiping. And then your but**ole feels caked in doo-doo all day long. And then if you dare scratch yourself, your underwear at the end of the day, it looks like it's been run over by the goonies.”

დარღვეული სოციალური ნორმა: გენიტალურ არეებზე და ტუალეტის ჩვევაზე საჯაროდ საუბრისგან თავის შეკავება
აუდიტორიის რეაქცია: ხანგრძლივის სიცილი

3.2.2.16 “I tried being a stay-at-home mom for eight weeks. (audience laughing) I like the stay-at-home part. (audience laughing) Not too crazy about the mom aspect, that sh*t is relentless. (audience laughing) I was stupid and naive and I thought that being a stay-at-home mom was about chillaxing. Getting to sh*t in your own home. (audience laughing)
Watch Wendy Williams and go out to a brunch with your sassy girlfriends. (audience laughing) I did not understand that the whole price you have to pay for staying at home is that you gotta be a mom.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | სახლში მყოფი დედის ყველაზე მტკივნეული მოვალეობა შვილებისთვის დედობის გაწევაა |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ჩივილი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | დედები სახლში მშვიდად უნდა იყვნენ და არაფერი აწუხებდეთ |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | შვილები |

| | |
|---|---|
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "I did not understand that the whole price you have to pay for staying at home is that you gotta be a mom." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

დარღვეული სოციალური ნორმა: დედობრივი მოვალეობის სიწმინდის და საკრალურობის დაკნინება

3.2.2.17 “People are always very surprised at how offstage with my husband, I'm a completely different person. Like, you would not recognize my personality at all with him. With him I'm very soft and like very nurturing and very domestic. We've been together now for five years. And for five years, I've packed his lunch every single day. (audience clapping) Yeah, yes, yes, yes. I did that so that he'd become dependent on me. (audience laughing) 'Cause he graduated from Harvard Business School and I don't want to work anymore. (audience laughing) I don't, I straight up don't want to work anymore. I don't feed him out of the goodness of my heart, I do it as an investment in my financial future. (audience laughing) Because I don't want to work anymore.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ხუმრობის ავტორისთვის ქმარი სპონსორია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კომენტარი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |

| | |
|---|---|
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ხუმრობის ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | "...I don't want to work anymore." |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

3.2.2.18 “I think feminism is the worst thing that ever happened to women. Our job used to beno job. (audience laughing) We had it so good! We could have done the smart thing, which would have been to continue playing dumb for the next century and be like, we are dumb women. We don't know how to do anything. So, I guess we better just stay at home all day, and eat snacks and watch Ellen. (audience laughing) Because we're too stupid to have any real responsibility. And then all these women had to show off and be like, "We can do it. We can do anything." Bitch, shut up. (audience laughing) Don't tell them the secrets. (audience laughing) They ruined it for us. And now we're expected to work!”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ხუმრობის ავტორს არაფრის კეთება იმდენად მოსწონს, რომ უმაღლეს დონეზე აქვს აყვანილი მისი შესრულება |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კომენტარი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |

| | |
|---|---|
| სამიზნე | ხუმრობის ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | „We had it so good!“ |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

3.2.2.19 “When I hear the phrase, "double income household", I want to throw up. (audience laughing) A lot of my friends, we walk around together, they'll get very judgmental about housewives that we'll see on the street. And they'll be like, "Look at that f**king housewife. Not doing anything. Look at that housewife, just walking around all day
getting massages in her Lulu lemon pants.
I'm like, that bitch is a genius.
(audience laughing)
She's not a housewife, she's retired.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | დიასახლისებისა და პენსიონრების ცხოვრება იდენტურია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ხუმრობის ავტორი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის საკვანძო ნაწილი | “She's not a housewife, she's retired.” |

| | |
|---|---|
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | სიცილი |

3.2.2.20 “I joined a mom's group in Los Angeles. Yeah, I don't find any of these bitches particularly interesting or fun. But when you're a new mom on maternity leave, it's like “The Walking Dead”[13]. You just got to hook up with a crew to survive.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | დედების ჯგუფის წევრები მხოლოდ მათნაირი ცხოვრების სტილისა და აზროვნების ადამიანებისადმი არიან ტოლერანტულები, განსხვავებულებს კი - რიყავენ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ურთიერთობები მხოლოდ სურვილზე უნდა იყოს დამყარებული |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ უარყოფითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | დედების ჯგუფის წევრი დედები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | “You just got to hook up with a crew to survive” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

[13] ამერიკული ტელესერიალი: ზომბების აპოკალიფსის დროს, რამდენიმე გადარჩენილი ცდილობს გამოსავალი იპოვოს, პარალელურად კი მუდმივად ზომბებისგან დამალვა უწევთ, რა დროსაც თავს მათნაირად ასაღებენ (გრიმს იკეთებენ და სპეციუფიურად მოძრაობენ).

| | |
|---|---|
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი, ოვაცია |

3.2.2.21 “I used to hate on other moms for the clothes that they wore. You know these f**king clothes that moms wear, all that cheesy *ss animal print (audience laughing) and loud metallic shiny shoes. (audience laughing) And now I see something that's bedazzled in rhinestones, and I'm like, Oh, that looks nice (audience laughing) I think imma get that.
(audience laughing) The more glitter, the better. Because when you're a mom, you need sparkle (audience laughing) to compensate for the light inside of you that has died.”

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | ქალი რომ დედა ხდება, მისი შინაგანი ნათება ქვრება |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | დაჩივლება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ბავშვები დედაში სინათლის სხივს უნდა აღვივებდნენ |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება |
| ფრაზის კულმინაციური ნაწილი | “Because when you're a mom, you need sparkle (audience laughing) to compensate for the light inside of you that has died.” |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |
| აუდიტორიის რეაქცია | აპლოდისმენტები, სიცილი |

### 3.3 ციხის არგოს ტერმინების ანალიზი

ციხის არგო არის პატიმრების მიერ ჩამოყალიბებული ქცევითი და მორალური კოდი (ქლემერი, 1940; პლატი, 1980; საიქსი და მესინჯერი, 1960). ციხის შიდა კოდექსის ნორმები და ღირებულებები შეადგენს ციხის სუბკულტურის ბირთვს, ის წარმოადგენს ძალაუფლებისა და სტატუსის მოხვეჭის საშუალებას და, ამასთანავე, ერთგვარ შემამსუბუქებელ ინსტრუმენტს სოციალური უარყოფისა და ავტონომიურობის დაკარგვის ფონზე (ბონდესონი, 1989; საიქსი & მესინჯერი, 1960). შესაბამისად, პატიმრისთვის ციხის კოდექსი პირდაპირ კავშირშია სოციალიზაციის პროცესსა და ადაპტაციასთან. ცნობილია, რომ პატიმრისთვის გარესამყაროს ნორმატივები, სიმბოლოები და მისი წევრები ბუნებრივ მტრად იქცევა და შესაბამისად ციხის კოდექსის არსებობა შეუქცევადი პროცესია და უნივერსალურია ყველა ციხისა და მის მცხოვრებთათვის (პლატი, 1980; სიქსი, 1958). კოდექსი აღქმულია, როგორც კოლექტიური და ფუნქციური ძირი ციხის გარემოსთან შეგუებისა (ფიშერი, 1990; გოფმანი, 1961) და საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვის შებსუბუქებისათვის, რაც გამოწვეულია შეზღუდვით (თავისუფლების, პროდუქტებისა და მომსახურების, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობის, დაცულობის, პირადი სივრცის), წყვილების სოციალური ჰეტეროგენულობით (ბექგრაუნდი, განათლება, ინტელექტი და ა.შ.) ორ სამყაროს შორის გაუცხოვებით (გარესამყარო/ციხე), სტაბილურობისა და ფიზიკური აქტივობის ნაკლებობით, მოწყენილობითა და ბუნდოვანი მომავლით (ფარინგტონი, 1994; ჯოუნსი, 1988; კალინიჩი, 1980; მანჰაიმი, 1965).

მაიკლ ბილიგი (2005) წერს, რომ იუმორი სოციალური ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია და ის ძირეულ კავშირშია სოციალურ წესრიგთან. ეს მტკიცება შეგვიძლია ყველაზე საბაზისო კრიტერიუმად მივიჩნიოთ, თუ რატომ შეიძლება იუმორს/ აგრესიულ იუმორს ციხისა და ციხის საკომუნიკაციო ენის - არგოს ფარგლებში დავაკვირდეთ. თუმცა ქვემოთ ბევრად უფრო საინტერესო შესაძლო მიზეზებზე ვისაუბრებთ.

ციხის არგოს ზემოაღნიშნული ბუნებიდან გამომდინარე, ვიფიქრეთ, რომ არგოსა და იუმორის/ აგრესიული იუმორის (ირონიისა და სარკაზმის) პრაგმატიკულ ფუნქციონირებას შორის მნიშვნელოვანი ანალოგიები შეიძლებოდა გამოკვეთილიყო, რადგან ციხე სწორედ ის გარემოა, სადაც კომუნიკაციის ყველა შესაძლო საშუალება პატიმრის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ეჭვგარეშეა, რომ ციხის საკომუნიკაციო ენა ამ საშაულებებს შორის ერთ-ერთი უპირატესია. შესაბამისად, მათი საკომუნიკაციო ენა უნდა ემსახურებოდეს მათი დამოკიდებულებების სწორ და, შესაძლოა, უსაფრთხო გამოხატვას, სოლიდარობის გაღვივებას, კავშირების გაბმას, კონტროლის/ ძალაუფლების მოპოვებას, ავტორიტეტის ჩამოყალიბებას, გარკვეული წესრიგის შექმნასა თუ დარღვევას. მეი (1972) აგრესიასა და ძალადობას ძალაუფლებასთან აკავშირებს. სტეინმეცი (1977: 19) აგრესიას საკუთარი მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულ ფიზიკურ და ვერბალურ ძალას უწოდებს. ნორიკი (2003) ამბობს, რომ ხუმრობა შეიძლება იყოს როგორც აგრესიული, ასევე დამეგობრებაზე მიმართული, ჰოლმსი (2000) კი ირწმუნება, რომ იუმორი შეიძლება იყოს როგორც რეპრესიული, ასევე სუბვერსიული, ანუ იგი თანაბრად ეფექტურია არსებული კონფლიქტის ჩახშობისა და მისი გამწვავების პროცესში. ბოქსერი და კორტეს-კონდეც (1997) გვიჩვენებენ, რომ ხუმრობამ საუბარში შეიძლება შეიძინოს როგორც კავშირის გაბმის, ასევე კრიტიკის, ე.წ „წაკბენის,“ დაცინვის ფუნქცია. უფრო მეტიც, ის შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც კონტროლის შესანარჩუნებლად, ასევე, იქცეს ქვეშევრდომების მიერ ავტორიტეტის გამოწვევის, გაღიზიანებისა და დამხობის ინსტრუმენტადაც. კალპეპერი (1996) უარყოფას, გარიყვას ან დაცინვას, უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიებად და თანამოსაუბრეებს შორის ძალაუფლებათა სხვაობის ხაზგასმის იარაღად მიიჩნევს.

მაიკლ ბილიგი (2005) წერს, რომ იუმორი სოციალური ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია და ის ძირეულ კავშირშია სოციალურ წესრიგთან (განსაკუთრებით დაცინვის შემთხვევაში).

ვარაუდი, რომ პატიმრებისთვის იუმორის/ აგრესიული იუმორის გამოყენება დიდი მნიშვნელობისა იყოს, ამყარებს კელტნერის და სხვ. (2003) მოსაზრებები, რომ ძალაუფლების მქონენი შედარებით თავისუფალნი არიან, მოიქცნენ ისე, როგორც სურთ უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე. ადამიანები, რომელნიც თავს

გავლენიანად გრძნობენ, უფრო მეტად არიან მიზანზე ორიენტირებულნი, ვიდრე ისინი, ვისაც ნაკლები გავლენა აქვს (გალინსკი, გრუენფელდი, & მაგიი, 2003). გავლენიანი ადამიანებისთვის ასევე მეტად დამახასიათებელია რისკიანი ქმედებები [რაც ციხეში ხშირად შეუქცევადი რეალობაა] (ანდერსონი & გალინსკი, 2006), ემოციების ღიად გამოხატვა (ჰექტი & ლაფრანსი, 1998), საკუთარი მოთხოვნილებებისა და მიდრეკილებების მიხედვით ქცევა (ჩენი, ლი-ჩაი, & ბარი, 2001) და სიტუაციური ზეწოლის [ჩვენს შემთხვევაში, ჩაკეტილი და სტრესული სივრცის, სხვა უფრო ძლევამოსილი პატიმრების] იგნორირება (გალინსკი და სხვ., 2008).

ლექსიკური სიმდიდრის თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს, რომ არგო შემოსაზღვრულია მხოლოდ გარკვეული ტიპის სასაუბრო თემებით, ასევე შეზღუდული რაოდენობის კონტექსტებითა და კომუნიკაციის არხებით.

### ამერიკული ციხის არგოს ტერმინების ანალიზი

3.3.1 **Buck Rogers Time.** ბაკ როჯერსის დრო: (მე-20 საუკუნის დასაწყისი) გათავისუფლების ისეთი შორეული თარიღი, რომ წარმოდგენაც კი ძნელია.

საზიარო ცოდნა: ბაკ როჯერსი ამერიკული სერიალია 24-ე საუკუნის მსოფლიოზე.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | გათავისუფლების თარიღი ძალიან შორია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / რაოდენობის მაქსიმი |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | საკუთარი თავი |

| | |
|---|---|
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | ხუმრობა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

3.3.2 **Fudge packer** (ტკბილეულის შემფუთველი): ჰომოსექსუალი.

ზოგადი ჭეშმარიტება: საზოგადოების გარკვეული ნაწილის (ამ შემთხვევაში პატიმრების) სექსისტური ფილოსოფია, რომელიც გარკვეული ტიპის ხელსაქმეს მხოლოდ მდედრობითი სქესის პრეროგატოვად მიიჩნევს.

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | კონკრეტულ მამაკაც პატიმარს ქალის თვისებები აქვს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | შეურაცხყოფა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმი |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი |
| სამიზნე | ჰომოსექსუალი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზზა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

3.3.3 **Daddy** (მამიკო): დომინანტი პატიმარი, რომელიც იცავს [პარალელურად შესაძლოა იყენებს] ჰომოსექსუალ პარტნიორს; ჰომოსექსუალი.

ზოგადი ჭეშმარიტება: ბუნების კანონების მიხედვით, მამას მზრუნველობისა და დაცვის ფუნქცია გააჩნია.

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | კონკრეტული პატიმარი ზედმეტ მზრუნველობას იჩენს სხვა პატიმრის |

| | |
|---|---|
| | მიმართ |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის პრინციპი |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი |
| სამიზნე | ჰომოსექსუალი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.4 **Cadilac job** (კადილაკი საქმე): სასურველი სამუშაო.

საზიარო ცოდნა: კადილაკი ყველა დროის ყველასთვის სასურველი მანქანაა.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | იუმორისტული |
| იმპლიკაცია | კონკრეტული სამუშაო ძალიან სასურველია ყველა პატიმრისთვის |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი / კადილაკი ყველასთვის სასურველი მანქანაა |
| სამიზნე | ჰომოსექსუალი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.5 **Viking**. (ვიკინგი): ძალიან ზარმაცი და ბინძური პატიმარი.

საზიარო ცოდნა: ვიკინგები ბინძურ ხალხად მიიჩნევიან.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | იუმორისტული |
| იმპლიკაცია | კონკრეტული პატიმარი ბინძურია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი / ვიკინგები ბინძური ხალხია |
| სამიზნე | ბინძური პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.6 **Cowboy** (კოვბოი): ახალი ოფიცერი

საზიარო ცოდნა: კოვბოი მწყემსია.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ოფიცრები პატიმრების მწყემსვით არიან დაკავებულები |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |

| | |
|---|---|
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ციხის ზედმახედველი ოფიცერი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.7 **Fresh meat** (ახალი ხორცი): ახალი პატიმრების ჯგუფი

ზოგადი ჭეშმარიტება: ახალი ხორცი ადვილად იხარშება.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ახალი პატიმრები ადვილად მოწყვლადები არიან |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | ხუმრობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ახალი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.8 **Floor Wet** (იატაკი სველია): გაფრთხილება, რომ ოფიცრები მოდიან

ზოგადი ჭეშმარიტება: სველ იატაკზე მოცურების შანსი დიდია.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | საფრთხე ახლოსაა |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | გაფრთხილება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | არა |

| | |
|---|---|
| ექოს ტიპის ხსენება | კი / სველი იატაკის შესახებ გამაფრთხილებელი ფრაზა სასტუმროებსა და სხვა საჯარო დაწესებულებებში |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | არა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | გაფრთხილება |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.9 **911** (პოლიციის ნომერი აშშ-ში): გაფრთხილება, რომ ოფიცერი მოდის

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმრები დანაშაულის მისწრების პირას არიან |
| განზრახვა | გაფრთხილება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ზედამხედველი ოფიცრები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.10 **Man** (კაცი): მაღალი ჩინის მქონე ოფიცერი

ზოგადი ჭეშმარიტება: კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში კაცი იგივდება ოჯახის უფროსთან, მმართველთან, უპირატეს ფიგურასთან.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ოფიცრები პატიმრებთან სრულუფლებიანები არიან |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ოფიცერი, რომელიც საკუთარ უფლებებს მეტ-ნაკლებად გადაჭარბებულად იყენებს |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.11 **Bean slot** (ლობიოს დრო): საკვების მიწოდების დრო.

საზიარო ცოდნა: ციხეში უგემური საკვებია

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ციხეში უგემური საკვებია |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კრიტიკა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმი |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ციხის ადმინისტრაცია |

| | |
|---|---|
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.12 **Paisa** (კოლუმბიური კერძი): პატიმარი მექსიკიდან ან ცენტრალური ამერიკის რომელიმე ქვეყნიდან, განსაკუთრებით ესპანურენოვანი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი ამერიკის კონტინენტის სამხრეთ ნაწილიდანაა |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დამცირება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ აშშ-ში მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეები უნდა ცხოვრობდნენ |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გეი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.13 **Longjohn** (გრძელი, ეკლერის ტიპის დონატი): ადამიანი ციხის გარეთ, რომელსაც პატიმრის ცოლთან აქვს სექსუალური ურთიერთობა.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პიროვნება სექსუალურ ურთიერთობაშია ვინმესთან |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |

| | |
|---|---|
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | პატიმრის ცოლთან სექსუალურ ურთიერთობაში მყოფი პრიოვნება |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.14 **Torpedo** (წყალქვეშა ბომბი, რომელიც გემებისკენ მიემართება და აფეთქებს): ბანდის ლიდერის მიერ არჩეული პატიმარი, რომელსაც ევალება წესების დამრღვევი პატიმრის დასჯა [ფიზიკურად გასწორება]

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი მეორე პატიმარს ფიზიკურად გაანადგურებს, სერიოზულ ზიანს მიაყენებს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | კომენტარი |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.15 **Porridge** (ფაფა; ციხეში მთავარი, ერთ პორციად მორთმეული სადილი): სასჯელის მოხდა

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | სასჯელის მოხდა უსიამოვნო პროცესია და შესაძლოა გარკვეული რეგულარობა ჰქონდეს |
| აშკარა ნათქვამი | კომენტარი |
| განზრახვა | კვეხნა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.16 (UK) **Screw** (ჭანჭიკი): ციხის ბადრაგი. ერთი მხრივ 1.ეს ანალოგია დაკავშირებულია ვიქტორიანული ეპოქის ბორბალზე სიკვდილით დასჯის მეთოდთან, რომლის მოძრაობა ჭანჭიკით რეგულირდებოდა. მეორე ვერსიად კი ბადრაგი განუწყვეტელი მოძრაობა (პატრულირება) შეიძლება დასახელდეს (ჭანჭიკის მუდმივი მოძრაობის დარად).

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | 1.ციხის ბადრაგი პატიმრების სიცოცხლის მოსპობაში მონაწილეობს 2.ციხის ბადრაგი განუწყვეტლივ წინდაუკან მოძრაობს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | წაკბენა |

| | |
|---|---|
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ციხის ბადრაგი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.17 **June bug** (ივნისის ხოჭო): სხვა პატიმრების მიერ დამონებული პატიმარი

საზიარო ცოდნა: ივნისის ხოჭოები მიწიდან ახლადამოსულები არიან და ჯერ კიდევ ადაპტაციის პერიოდს გადიან, ამიტომ მათი ორგანიზმი სუსტია.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად სუსტი და მოწყვლადია |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დამცირება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | მამაკაცი/ პატიმარი ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძლიერი უნდა იყოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | სუსტი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.18 **Diaper sniper** (პამპერსის სნაიპერი): ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებული პატიმარი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმრის სამიზნეს ბავშვები წარმოადგენს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | მხილება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ზრდასრულმა ადამიანმა ბავშვს სექსუალური განზრახვით არ უნდა შეხედოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ბავშვებზე მოძალადე პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.19 **Kite** (ფრანი): პატარა ფურცელი, რომელიც დაკეცილია და ერთი პატიმრიდან მეორეს საიდუმლო გზებით გადაეცემა.

ამ შემთხვევაში, ტერმინის გასაშიფრად ინვერსიულად უნდა ვიფიქროთ. ფრანის ყველაზე ნიშანდობლივი ფუნქცია - ცაში ყველას დასანახად იფრიალოს უპირისპირდება კონტრაბანდული ფურცლის გავრცელების პრინციპს - იყოს მაქსიმალურად კონსპირაციული.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ფურცელი უნდა გავრცელდეს |

| | |
|---|---|
| | კონსპირაციულად |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | კონსპირაციულობა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | არა |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | კონსპირაციულობის შენარჩუნება |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.20 **Malinger** (თავის მოავადმყოფება, რაიმე ვალდებულებისა ან სამუშაოსთვის თავის არიდების მიზნით): ნელა სიარული

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | პიროვნება ზედმეტად ნელა მოძრაობს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | სახელის შემრქმევი თავის ობიექტისგან სწრაფ გადაადგილებას მოელის |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი/ დადებითი თავაზიანობა |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ნელა მოძრავი პატიმარი/ ბადრაგი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

**ქართული ციხის არგოს ტერმინების ანალიზი:**

ქართულ ციხეში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების საერთო არგოს 'ფენიას' (Феня) იყენებენ. შესაბამისად, ტერმინების ძირითადი ნაწილი რუსულია და არ არის ნათარგმნი (გამონაკლისია საერთაშორისო სიტყვები ან კალკირებული სიტყვებისგან შემდგარი ტერმინები). შესაბამისად, ტერმინთა უმეტესობა რუსულად იქნება მოყვანილი.

4.3.21 **მარგარიტა** (ყვავილი): გეი პატიმარი

ზოგადი ჭეშმარიტება: ქალები ნაზი ბუნებით გამოირჩევიან, რაც შეიძლება, ყვავილთან გაიგივდეს

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი ნაზი და სენტიმენტალურია |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დახასიათება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა (მოსაუბრე არ ამბობს სიმართლეს, არამედ სიმართლის მის მიერ ინტერპრეტირებულ ვერსიას) |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მამაკაცი უმეტესად მასკულინურ თვისებებს უნდა ფლობდეს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გეი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.22 **ჰარემი** (სულთნის ცოლების ჯგუფი): გეი პატიმრების ჯგუფი

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | მამაკაცი პატიმრები სხვა მამაკაცი პატიმრების სექსუალურ სურვილებს აკმაყოფილებენ |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მამაკაცს მხოლოდ ჰეტეროგენული ურთიერთობები უნდა ჰქონდეს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გეი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.23 **ჩაიკა** (თოლია): გამოუსადეგარი პატიმარი

| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
|---|---|
| იმპლიკაცია | პატიმარი სრულიად უსარგებლოა გარშემომყოფთათვის |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი/ ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ თითოეულ პატიმარს რაიმე ტიპის |

| | |
|---|---|
| | სარგებელი უნდა მოჰქონდეს გარშემომყოფთათვის |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გამოუსადეგარი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.25 **აკრობატი**: პასიური ჰომოსექსუალი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | მოცემულ პატიმარს სხვისი სექსუალური ფანტაზიების დაკმაყოფილება უწევს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ თითოეულ პატიმარს რაიმე ტიპის სარგებელი უნდა მოჰქონდეს გარშემომყოფთათვის |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გამოუსადეგარი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

აქ გავარჩევ კიდევ 10 ან 16 ქართული ციხის არგოს ტერმინს

4.3.26 **ამბალი** (ძლიერი, მაღალი და ჭარბწონიანი მამაკაცი): სუსტი აღნაგობის პატიმარი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი სუსტი აღნაგობისაა (არ აქვს კუნთები) |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მამაკაცი ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ მამაკაცი ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს |
| სამიზნე | ფიზიკურად სუსტი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.27 **ამურჩიკი** (სიყვარულის ღმერთის კნინობითი სახელი): 'გამოჭერის' შემთხვევაში ქურდი პატიმრის შემფარებელი პატიმარი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი ზედმეტად მზრუნველია ქურდი პატიმრების მიმართ |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ პატიმარი პრაგმატული უნდა იყოს |

| | |
|---|---|
| | და ემოციებს არ აჰყვეს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ქურდების შემფარებელი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.28 **დედათა მონასტერი:** ყოფილი ინფორმატორების სამარტოო საკანი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | ამ კამერაში მყოფი პატიმარი არაკაცულად [შესაბამისად, ქალურად] მოიქცა |
| აშკარა ნათქვამი | ალტერნატიული სახელის მინიჭება |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მამაკაცმა არ უნდა დაასმინოს |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | კი/ მამაკაცი არ ასმენს, ქალი - კი |
| სამიზნე | დამსმენელი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.29 **მკვლელი (slayer)** (სასტიკი ადამიანი [პირველადი მნიშვნელობით: ადამიანი, რომელიც მოკლულ ცხოველებს ატყავებს]): ციხის ექიმი

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |

| | |
|---|---|
| იმპლიკაცია | ციხის ექიმი პაციენტების ჯანმრთელობას განზრახ აზიანებს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | გაკრიტიკება |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | ციხის ექიმი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.30 **ხატი:** გამოსაჩენ ადგილას განთავსებული პატიმრები

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პატიმარი წარმოსაჩენი და სათაყვანებელია |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გამოსაჩენ ადგილას განთავსებული პატიმრები |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |

| | |
|---|---|
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.31 **ნათელმირონი – (**ნათლია ნათლულის მშობლებთან და ნათლიასთან მიმართებაში): ოპერატიული ნაწილის ოფიცერი (ხელმძღვანელი) კოლონიაში, წინასწარი დაკავების ცენტრში.

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | კოლონიის ოფიცერი კოლონიისადმი დიდ მზუნველობასა და პასუხისმგებლობას იჩენს |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | დაცინვა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | არა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | კოლონიის ოფიცერი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.32 **'ლაქშოვკა'** (რუსული სლენგი მდიდრული ცხოვრებით მცხოვრები ქალის აღსანიშნავად): წარმატებული მეძავი

ლიტ. მნიშვნელობა გამომდინარეობს სიტყვიდან: лакшери [კალკი ინგლისურიდან] - ფუფუნება

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პიროვნება მეძავობით მოპოვებულ ფუფუნებაშ ცხოვრობს |

| | |
|---|---|
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მეძავობა და ფუფუნება ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მეძავი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაზმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

4.3.33 **Cheeto:** (წასახემსებელი (წასახემსებლის ერთ-ერთი ბრენდი), რომელსაც წაგრძელებული ფორმა აქვს): ჰომოსექსუალი ან ტრანსგენდერი პატიმარი, რომელიც არ მალავს ორიენტაციას/ იდენტობას

საზიარო ცოდნა: კონკრეტულ წასახემსებელს წაგრძელებული ფორმა აქვს

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | სარკაზმი |
| იმპლიკაცია | პატიმარი საკუთარ სექსუალურ პრეფერენციებთან არის გაიგივებული |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ ჰეტეროსექსუალობა ერთადერთი შესაძლო სექსუალური ორიენტაციაა |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |

| | |
|---|---|
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | გეი/ ტრანსგენდერი პატიმარი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტრუი ხერხი | ლექსიკური |

3.3.34 **ლეშა** (თევზის სახეობა): მთვრალი პატიმარი

საზიარო ცოდნა: ლეშას ძირითადად ლუდთან ერთად მიირთმევენ

| | |
|---|---|
| ნათქვამის ტიპი | ირონია |
| იმპლიკაცია | პიროვნება [კონკრეტული თევზის სახეობის მსგავსად] მხოლოდ სასმელთან ასოცირდება |
| აშკარა ნათქვამი | მეტსახელის მინიჭება |
| განზრახვა | წაკბენა |
| მაქსიმის დარღვევის პრინციპი | კი / ხარისხის მაქსიმა |
| ექოს ტიპის ხსენება | არა |
| ალუზიური ბრალდება | კი/ მემავობა და ფუფუნება ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია |
| სახის დაცვის აქტი | არა |
| სახეზე შეტევის აქტი | კი |
| სტერეოტიპის აქტივაცია | არა |
| სამიზნე | მემავი |
| შემავსებელი პრაგმატიკული ფუნქცია | შეფასება, ჯგუფური კავშირების გაბმა |
| ლინგვისტური ხერხი | ლექსიკური |

## 3.4 კვლევის შედეგები

**წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა** გამოევლინა აგრესიული იუმორის დადებითი გავლენა 'სტენდაფ' კომედიის:

ა. **პრაგმატიკულ ფუნქციონირებაზე,** კომიკოსების მიერ არაეთიკური და პოლიტიკურად არაკორექტული ხუმრობების მაქსიმალურად სასაცილო და ამავდროულად „უსაფრთხო" კომუნიკაციის საფუძველზე.

ბ. **რიტორიკულ ეფექტურობაზე,** კომიკოსების მიერ საზოგადოების სტერეოტიპულობის, ან სხვა მანკიერი ასპექტის მტკივნეული და ამავდროულად, სამართლიანი კრიტიკის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

**ციხის არგოს შემთხვევაში:**

გამოავლინოს აგრესიული იუმორის დადებითი გავლენა პატიმრების დისკურსის პრაგმატიკულ ასპექტებზე, კერძოდ: პატიმრების მიერ ციხის არგოს გამოყენების ინტენსივობისა და მათი ავტორიტეტის თანაფარდობის თვალსაზრისით.

**ინტერკულტურული დაკვირვების თვალსაზრისით:**

დააკვირდეს კულტურისა და იუმორის ურთიერთგანპირობებულობას, კონკრეტულად:

- დაადგინოს ირონიისა და სარკაზმის გამოყენების სიხშირე ქართულ და ამერიკულ იუმორისტულ მონოლოგებში.
- განსაზღვროს სარკასტული და ირონიული გამონათქვამების აგრესიულობის ხარისხი კვლევისთვის შემუშავებული სპეციალური მატრიცის მეშვეობით.
- განსაზღვროს, რამდენად ემთხვევა ქართველი და ამერიკელი წამყვანების სტერეოტიპული მიმართულებები ერთმანეთს.

ნაშრომი ასევე მოიცავს ირონიის ინტერპრეტაციის ორი ასპექტის ანალიზს: პირველი, გვსურს გამოვიკვლიოთ, რა არის წარმატებული ირონიის საწინდარი, და, მეორე, გვაინტერესებს, როგორ ხდება ირონიის პრაგმატიკული ინტერპრეტაცია მეტყველების აქტებში.

**წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს:**

**'სტენდაფ' კომედიის შემთხვევაში:**

1. რამდენად აგრესიულია თანამედროვე სოციალური იუმორის, კერძოდ, 'სტენდაფ' კომედიის დისკურსი.

2. განსხვავდება თუ არა აუდიტორიის რეაქცია აგრესიული და ნაკლებად აგრესიული ხუმრობების მოსმენისას და რა ხასიათისაა ეს მსგავსება-განსხვავებანი.

**პენიტენციური სისტემის ( პატიმრების არგოს) შემთხვევაში:**

1. რამდენად აგრესიულ იუმორზეა დაფუძნებული ციხის არგო

2. არის თუ არა აგრესიული იუმორის გამოყენება პატიმრის ავტორიტეტულობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ნიშანი.

**ინტერკულტურული შეპირისპირების შემთხვევაში:**

1. რომელი ერის იუმორია უფრო აგრესიული უფრო აგრესიული.

2. რა მიმართულებები აქვს თითოეულ შემთხვევაში აგრესიულ იუმორს.

3. რა მსგავსება-განსხვავებებია აგრესიული იუმორის (და მისი თანმხლები ლინგვისტური ინსტრუმენტების) გამოყენების თვალსაზრისით კოლექტივისტ და ინდივიდულისტ ქვეყნებს შორის.

### 3.4.1 შედეგები იუმორისტული მონოლოგების საფუძველზე

როგორც აღვნიშნეთ, სარკაზმი და ირონია გულისხმობს საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, ინფორმაციის მიწოდებას, შთაბეჭდილების მოხდენას და კიდევ მრავალი სხვა პრაგმატიკული ასპექტი, მოქცეული ერთ ნათქვამში. რაც მთავარია, ეს ხდება ისეთი ეფექტური და ლისნგვისტურად საინტერესო გზით, როგორიცაა ერთის თქმა და მეორის გულისხმობა, ანუ სიტყვებით თამაშის ტექნიკა. ირონია შეუსაბამობის მექანიზმით მოქმედებს. სხვა სიტყვებით, ირონიულ ნათქვამში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პლანი გვხვდება, რომელიც „გვაიძულებს" უარვყოთ ნათქვამის ლიტერატურული ინტერპრეტაცია და აღვიქვათ იგი ალტერნატიულად.

სარკაზმისა და ირონიის, როგორც არათავაზიანობის კატეგორიების წილის გათვალისწინებით იუმორისტულ რუტინებში, კვლევაში გაანალიზდა ქართულსა და ამერიკულ თოქ შოუებში წამოთქმული ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები. სულ შერჩეული 200 მაგალითის ანალიზის საფუძველზე დაფიქსირდა სარკაზმის (48) და

ირონიის (152) შემთხვევა. რაც იმის დემონსტრირებაა, რომ იუმორისტებისთვის ირონია და სარკაზმი ხუმრობის კომუნიკაციის კარგად ნაცადი და აპრობირებული ხერხია. ეს თავის მხრივ მეტყველებს აუდიტორიის გაცინების მხრივ მათ მეტ ეფექტურობაზე.

რაც შეეხება **აშკარა სასაუბრო აქტებს**, დაფიქსირდა განაცხადის (85), კომენტარის (61), ვარაუდის (11), შეთავაზების (3), მტკიცებისა (11) და საყვედურის (6), ჩივილის (12), კითხვის (10) და მუქარის (1) შემთხვევა. გამონათქვამის ტიპები პირდაპირ კავშირშია თითოეული მათგანის მიზანთან, ირონიული და სარკასტული შეტევის განხორციელებასთან.

**განზრახვის აქტებში**, დაფიქსირდა წაკბენის (92), კრიტიკის (74), დამცირების (17), დაცინვის (14) და ხუმრობის (3) შემთხვევა. უნდა აღინიშნოს, რომ მასალების სპეციფიკიდან გამომდინარე კბენისა და კრიტიკის ხშირი შემთხვევა მოსალოდნელი იყო. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ იუმორსიტულ მონოლოგებში სახის რღვევას ძალიან მნიშვნელოვანი წილი აქვს.

**გრაისის კოოპერაციული პრინციპის** (1975) დარღვევის მხრივ დაფიქსირდა მანერის მაქსიმის დარღვევის (84) შემთხვევა, და ხარისხის მაქსიმის დარღვევის (54) შემთხვევა. ამ ასპექტშიც მოსალოდნელი შედეგები მივიღეთ, რადგან CO (კოოპერატიული პრინციპი) პირდაპირ კავშირშია ირონიულ გამოთქმებთან, გრაისი (1975). დარღვევები ძირითადად წარმოქმნილი იყო ლექსიკური ან ფონოლოგიური ბუნდოვანების საფუძველზე.

**ექოს ტიპის ხსენების** (24) შემთხვევა ბუნებრივია, რადგან მონოლოგები ბევრად კრეატიული და კომპლექსური ხასიათისაა, ვიდრე მხოლოდ ვინმეს ნათქვამის გამეორება/ პაროდირება. ხოლო **ალუზიური ბრალდების** (66) შემთხვევა მიგვითითებს, რომ მონოლოგები შემტევი ხასიათისაა და უკმაყოფილების გამოთქმაზეა აგებული.

რაც შეეხება **სტერეოტიპებს,** მისი აქტივაციის (43) შემთხვევა მიგვითითებს, რომ მათ მნიშვნელოვანი წილი აქვთ სარკასტული/ ირონიული ხუმრობების წარმოებაში. სამიზნის არსებობის (87) შემთხვევა კი ცხადჰყოფს, რომ იუმორისტების ხუმრობები აუცილებლად სამიზნეზეა გათვლილი.

გამომდინარე სარკაზმისა და ირონიის რაოდენობიდან, ლოგიკურია **პრაგმატიკული ფუნქციების** გადანაწილება. შეფასების (83), დარწმუნების (13),

დახვეწილობის (14) შემთხვევა. ამავდროულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დახვეწილობა ზევრი მათგანის თანმდევი ასპექტია, თუმცა შერჩეული ფრაზების სიმძაფრიდან გამომდინარე, მისი დომინანტური როლი ზემოთ მოყვანილ მაგალითებში არ გვხვდება.

და ბოლოს, **ლინგვისტური ხერხი**, რომელიც არცთუ ადვილი დასადგენი იყო წამყვანების დისკურსში სხვადასხვა სტრუქტურული კომბინაციების გამო. შესაბამისად, გაძნელდა მათ შორის მკაცრი საზღვრების გამოყოფა, თუმცა მაინც შეგვიძლია ვისაუბროთ გაბუნდოვანების ლექსიკური ხერხით მიღწევის უდაოდ ხშირ (82) და ფონოლოგიური ხერხის გამოყენების (18) შემთხვევაზე.

**აუდიტორიის რეაქციის** მხრივ

**დარღვეული სოციალური ნორმები** მოიცავდა თემებს: რასიზმი (18), სექსიზმი (26), ქსენოფობია (15), ჰომოფობია (23), ნეგატიური/ ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოხატვა ისეთი ცნებების მიმართ, როგორიცაა ოჯახი, შვილისა და მშობლის ურთიერთ-დამოკიდებულება (14), ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების (ბავშვების) დაცინვა (9), ნარკოტიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატვა (2), ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამართლება (1); ისეთი მოვალეობების იგნორირება, როგორიცაა ღირსეული მოქალაქეობა, მოხუცების პატივისცემა; მშობლის მოვალეობების უარყოფა (32).

### 3.4.2 შედეგები გენდერული შპირისპირების საფუძველზე

კვლევაში გაანალიზდა (4) ამერიკელი ქალი და ამავე რაოდენობის მამაკაცი კომიკოსის იუმორისტულ მონოლოგებში წამოთქმული ყველაზე თვალსაჩინო (აუდიტორიის სიცილით დაგვირგვინებული) იუმორისტული გამონათქვამები. სულ შერჩეული 60 იუმორისტული გამონათქვამის ანალიზის საფუძველზე დაფიქსირდა სარკაზმის (10) და ირონიის (43) შემთხვევა. სარკაზმის (10) შემთხვევიდან (3) ეკუთვნოდა ქალებს, ხოლო (7) - მამაკაცებს; ირონიის (43) შემთხვევიდან (19) ეკუთვნოდა ქალ, ხოლო (24) - მამაკაც კომიკოსებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იუმორისტულ დისკურსში ქალები და მამაკაცები თანაბრად აგრესიულები არიან. მსგავსება ერთი მხრივ შეიძლება, მივაწეროთ ფაქტს, რომ ამ

შემთხვევაში ორივე გენდერი მასკულინური (აშშ-ის) კულტურის წარმომადგენელია, მეორე მხრივ კი 'სტენდაფ' იუმორის განსაკუთრებულად აგრესიული, სატირიკული ხასიათიდან.

რაც შეეხება **აშკარა სასაუბრო აქტებს**, დაფიქსირდა განაცხადის (16), მტკიცების (3), კომენტარის (21), ვარაუდის (1), ჩივილის (12) შემთხვევა.

**განზრახვის აქტებში**, ქალების დისკურსში დაფიქსირდა წაკბენის (22), კრიტიკის (14), დამცირების (12), დაცინვის (5) შემთხვევა. დაფიქსირდა წაკბენის (18), კრიტიკის (20), დამცირების (8), დაცინვის (7) შემთხვევა. ეს კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ იუმორსიტულ მონოლოგებში სახის რღვევას ძალიან მნიშვნელოვანი წილი აქვს და ამას მასკულინურ კულტურაში ორივე გენდერი თანაბარი ინტენსივობით ცდილობს.

**ალუზიური ბრალდების** (46) შემთხვევა დაფიქსირდა. ქალი იუმორისტების დისკურსში - (22), ხოლო მამაკაცებისაში - (17).

**სტერეოტიპის** აქტივაციის (11) შემთხვევა დაფიქსირდა, (5) ქალი, ხოლო (6) - მამაკაცი კომიკოსების დისკურსში.

**სამიზნის** არსებობის (51) შემთხვევა კი ცხადჰყოფს, რომ კომიკოსები კონკრეტული სამიზნის სახის რღვევაზე მუშაობენ.

**დარღვეული სოციალური ნორმები** მოიცავდა თემებს: რასიზმი (6), სექსიზმი (12), ქსენოფობია (9), ჰომოფობია (23), ნეგატიური/ ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოხატვა ისეთი ცნებების მიმართ, როგორიცაა ოჯახი, შვილისა და მშობლის ურთიერთ-დამოკიდებულება (14), ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების (ბავშვების) დაცინვა (9), ნარკოტიკისადმი პოზიტიური დამოკიდებულების გამოხატვა (2), ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამართლება (1); ისეთი მოვალეობების იგნორირება, როგორიცაა ღირსეული მოქალაქეობა, მოხუცების პატივისცემა; მშობლის მოვალეობების უარყოფა (2). მოცემული ციფრები მიუთითებს, რომ ქალები არანაკლებ თამამები არიან საზოგადოების იმედების გაცრუების მხრივ და მამაკაცი კომიკოსების ანალოგიურ რისკებს წევენ.

საერთო ჯამში მოცემული შედეგებისა და ლეიკოფისა და ტანენისეული (1975, 1990) გენდერული სტერეოტიპების ენობრივი გამოვლინებების, კერძოდ იმ მოსაზრებაზე დადარებით, რომ თუ გოგონა შეეცდება უხეში ლექსიკით ლაპარაკს, მას

დასცინებენ ან უსაყვედურებენ, მაშინ, როცა ბიჭისთვის ეს სრულიად ნორმალურად მიიჩნევა და უფრო მეტიც, ენის საშუალებით ქალებს მუდმივად უზღუდავენ ძალაუფლებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 'სტენდაფ' კომედიაში ეს სტერეოტიპები არ მართლდება.

### 3.4.3 შედეგები განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსის ანალიზის საფუძველზე

კვლევისთვის შერჩეული 30 გამონათქვამიდან გამოვავლინეთ სარკასტული (8) და ირონიული (22) გამოთქმის შემთხვევა; **სახეზე შეტევის** (25) შემთხვევა.

დაფიქსირდა **ალუზიური ბრალდების** (21) **და სტერეოტიპის** აქტივაციის (23), ხოლო **სამიზნის** არსებობის (30) შემთხვევა.შემთხვევა.აპლოდისმენტებისა და სიცილის კომბინაციის შემთხვევების (8), ხანგრძლივი, ინტენსიური სიცილისა და აპლოდისმენტების კომბინაცია (8); სიცილი (9); ინტენსიური სიცილი (3); სიცილის, ტაშისა და ყვირილის კომბინაცია (2) მიუთითებს აუდიტორიის კმაყოფილებაზე.

### 3.4.4 შედეგების დისკუსია განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსის ანალიზის საფუძველზე

განსაკუთრებული სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი (დისკრიმინირებული) ჯგუფების დისკურსის საკვლევად შეირჩა 4 მუსლიმანი კომიკოსის 4 მონოლოგი. გაანალიზებული 30 იუმორისტული გამონათქვამიდან გამოვლინდა (12) სარკაზმისა და (25) ირონიის შემთხვევა. სტერეოტიპული ზეწოლის ქვეშ მყოფი მუსლიმანი კომიკოსების დისკურსი ცალსახად აგრესიულია (პირდაპირპროპორციულად სასაცილო).

ანალიზმა ცხადჰყო, რომ ირონიული და სარკასტული გამონათქვამები მუსლიმანი მოსახლეობის შესახებ ყველაზე მტკივნეულ სტერეოტიპებთანაა კავშირში. შესაბამისად, ირონია და სარკაზმი ორი ძირითადი რესურსი იყო ამ სტერეოტიპებთან შესაბრძოლებლად. მათი ხუმრობების თემატიკისა და პრაგმატიკული ასპექტების დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ კომიკოსები ერთი მხრივ,

უსაფრთხო ფორმით გამოხატავენ დაგროვილ წყენას და მეორე მხრივ, აქტიურად ცდილობენ საზოგადოების მანკიერების (სტერეოტიპული და ცრუ რწმენა-წარმოდგენების) უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენას და შესაბამისად, მათ აღმოფხვრაში წვლილის შეტანას; საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ირონია და სარკაზმი კი მათი დისკურსის რიტორიკულობის ამაღლების კვალდაკვალ ამ მიზნების მაქსიმალურად ეფექტურ შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მათი ხუმრობების შინაარსი ძალიან უხეშია, მაგრამ ფორმა იმდენად დახვეწილი, რომ საზოგადოება იწყნარებს.

### 3.4.5 შედეგები ამერიკული ციხის არგოს შემთხვევაში

ამერიკული ციხის არგოს დისკურსის საკვლევად შეირჩა (40) ტერმინი, აქედან ირონიულად (26), სარკასტულად (10), ხოლო აპრიორი იუმორისტულად (4) მივიჩნიეთ.

განზრახვის ასპექტში დაფიქსირდა ე.წ „წაკბენის“ (17), კრიტიკის (10), დამცირების (8), დაცინვის (3) და ხუმრობის (2) შემთხვევა.

გრაისის კოოპერატიული პრინციპის (1975) დარღვევის მხრივ დაფიქსირდა მანერის მაქსიმის (4), და ხარისხის მაქსიმის (4) დარღვევის შემთხვევა.

ექოს ტიპის ხსენების (15) შემთხვევა ბუნებრივია, რადგან პატიმრები თავიანთ გამაფრთხილებელ სიგნალებში სწორედ აქამდე სხვა კონტექსტში გაგონილ ფრაზებს იყენებენ (გავიხსენოთ wet floor, 911 და აშ.). ხოლო ალუზიური ბრალდების (12) შემთხვევა მიგვითითებს, რომ ტერმინები შემტევი ხასიათისაა და უკმაყოფილების გამოთქმაზეა აგებული.

რაც შეეხება სტერეოტიპებს, მათი აქტივაციის (13) შემთხვევა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლია და ე.წ. 'ქურდული გაგების' სტერეოტიპული ბუნებით (განსაკუთრებით გენდერულ ჭრილში) უნდა იყოს განპირობებული. სამიზნის არსებობის (22) შემთხვევა კი ცხადჰყოფს, რომ პატიმრების ხუმრობები არამხოლოდ ერთმანეთის ან ზედამხედველობის მიმართაა გამიზნული, არამედ მათი ხვედრისა და ამჟამინდელი ცხოვრების სტილისადმი.

სარკასტული და ირონიული ტერმინების რაოდენობიდან გამომდინარე, ლოგიკურია პრაგმატიკული ფუნქციების გადანაწილება. შეფასების (35), დარწმუნების (3), დახვეწილობის (2) შემთხვევა. ამავდროულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დახვეწილობა ბევრი მათგანის თანმდევი ასპექტია, თუმცა შერჩეული ფრაზების სიმძაფრიდან გამომდინარე მისი დომინანტური როლი ამ მაგალითებში არ გვხვდება.

### 3.4.5 შედეგები ქართული ციხის არგოს შემთხვევაში

ქართული ციხის არგოს ანალიზის შედეგები, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის საერთოა და 'ფენია' (Феня) ეწოდება შედეგები შემდეგნაირი იყო:

ქართული ციხის არგოს დისკურსის საკვლევად შეირჩა (40) ტერმინი, აქედან ირონიულად (32), სარკასტულად (6), ხოლო აპრიორი იუმორისტულად (2) მივიჩნიეთ.

განზრახვის ასპექტში დაფიქსირდა ე.წ „წაკბენის" (17), კრიტიკის (5), დამცირების (2), დაცინვის (7), კომენტარის (5), დაჩივლების (3) და ხუმრობის (1) შემთხვევა.

გრაისის კოოპერაციული პრინციპის (1975) დარღვევის მხრივ დაფიქსირდა მანერის მაქსიმის (13), და ხარისხის მაქსიმის (10) დარღვევის შემთხვევა.

ექოს ტიპის ხსენების (8) შემთხვევა..

რაც შეეხება სტერეოტიპებს, მათი აქტივაციის (10) შემთხვევა საკმაოდ მაღალი მაჩვენებლია და ე.წ. 'ქურდული გაგების' სტერეოტიპული ბუნებით (განსაკუთრებით გენდერულ ჭრილში) უნდა იყოს განპირობებული. სამიზნის არსებობის (8) შემთხვევა კი ცხადჰყოფს, რომ პატიმრების ხუმრობები არამხოლოდ ერთმანეთის ან ზედამხედველობის მიმართაა გამიზნული, არამედ მათი ხვედრისა და ამჟამინდელი ცხოვრების სტილისადმი.

სამიზნის არსებობის (9) შემთხვევა კი ცხადჰყოფს, რომ პატიმრების ხუმრობები არამხოლოდ ერთმანეთის ან ზედამხედველობის მიმართაა გამიზნული, არამედ მათი ხვედრისა და ამჟამინდელი ცხოვრების სტილისადმი.

სარკასტული და ირონიული ტერმინების რაოდენობიდან გამომდინარე, ლოგიკურია პრაგმატიკული ფუნქციების გადანაწილება. შეფასების (39), დარწმუნების (3), დახვეწილობის (2) შემთხვევა. ამავდროულად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ დახვეწილობა ბევრი მათგანის თანმდევი ასპექტია, თუმცა შერჩეული ფრაზების სიმძაფრიდან გამომდინარე მისი დომინანტური როლი ამ მაგალითებში არ გვხვდება.

### 3.4.6 შედეგების დისკუსია ქართული და ამერიკული ციხის არგოს შემთხვევაში

მაიკლ ბილიგი (2005) წერს, რომ იუმორი სოციალური ცხოვრების აუცილებელი კომპონენტია და ის ძირეულ კავშირშია სოციალურ წესრიგთან. ეს მტკიცება შეგვიძლია ყველაზე საბაზისო კრიტერიუმად მივიჩნიოთ, თუ რატომ შეიძლება იუმორს/ აგრესიულ იუმორს ციხისა და ციხის საკომუნიკაციო ენის - არგოს ფარგლებში დავაკვირდეთ. თუმცა ქვემოთ ბევრად უფრო საინტერესო მიზეზებზე ვისაუბრებთ.

არგოსა და იუმორის/ აგრესიული იუმორის (ირონიისა და სარკაზმის) პრაგმატიკულ ფუნქციონირებას შორის მნიშვნელოვანი კორელაციები გამოიკვეთა. პატიმრების საკომუნიკაციო ენა - ციხის არგო მათი დამოკიდებულებების სწორ, ზოგჯერ შეფარვით/ უსაფრთხო ან პირიქით, უფრო მძაფრ და გამომწვევ გამოხატვას, სოლიდარობის გაღვივებას, კავშირების გაბმას, კონტროლის/ ძალაუფლების მოპოვებას, ავტორიტეტის ჩამოყალიბებას, გარკვეული წესრიგის შექმნასა თუ დარღვევას ემსახურება. მეი (1972) აგრესიასა და ძალადობას ძალაუფლებასთან აკავშირებს. სტეინმეცი (1977: 19) აგრესიას საკუთარი მიზნის განსახორციელებლად გამოყენებულ ფიზიკურ და ვერბალურ ძალას უწოდებს. ნორიკი (2003) ამბობს, რომ ხუმრობა შეიძლება იყოს როგორც აგრესიული, ასევე დამეგობრებაზე მიმართული, ჰოლმსი (2000) კი ირწმუნება, რომ იუმორი შეიძლება იყოს როგორც რეპრესიული, ასევე სუბვერსიული, ანუ იგი თანაბრად ეფექტურია არსებული კონფლიქტის ჩახშობისა და მისი გამწვავების პროცესში. ბოქსერი და კორტეს-კონდეც (1997) გვიჩვენებენ, რომ ხუმრობამ საუბარში შეიძლება შეიძინოს როგორც კავშირის გაბმის, ასევე კრიტიკის, ე.წ „წაკბენის" (mocking) ფუნქცია. უფრო მეტიც, ის შეიძლება

გამოყენებული იქნას როგორც კონტროლის შესანარჩუნებლად, ასევე, იქცეს ქვეშევრდომების მიერ ავტორიტეტის გამოწვევის, გაღიზიანებისა და დამხობის ინსტრუმენტადაც. კალპეპერი (1996) უარყოფას, გარიყვას ან დაცინვას, უარყოფითი არათავაზიანობის სტრატეგიებად და თანამოსაუბრეებს შორის ძალაუფლებათა სხვაობის ხაზგასმის იარაღად მიიჩნევს.

ვარაუდი, რომ პატიმრებისთვის იუმორის/ აგრესიული იუმორის გამოყენება დიდი მნიშვნელობის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო, კვლევამ დაადასტურა. ტერმინების განმარტებებში იკვეთება, რომ ციხეში არსებობს იერარქიული საფეხურები - პატიმართა ძალაუფლების მიხედვით დაყოფა. ტერმინების უდიდესი ნაწილი აგრესიულია და მათ ძირითად სამიზნეს წარმოადგენენ ყველაზე ნაკლები ძალაუფლების მქონე, ფიზიკურად სუსტი, ფსიქიკურად არამდგრადი, ხშირად უმცირესობაში მყოფი პატიმრები. მეორე მნიშვნელოვანი ნაწილი მიუღებელი ქცევის პატიმრებს მიემართება, რაშიც იგულისხმება ჩაშვება, პატიმრების გაქურდვა, ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა, დამნაშავის შეფარება და ა.შ. ტერმინების სამიზნეს თითქმის არასდროს წარმოადგენენ შიდა ბანდების ლიდერები და მათთან ავტორიტეტით გათანაბრებული პატიმრები.

დავადგინეთ, რომ არგოს იუმორისტული ტერმინები სწორედ რომ სარკასტული (ჯამში 12 შემთხვევა) და ირონიულია (ჯამში 60). სხვა არგოებთან მიმართებაში გამომჟღავნდა, რომ ციხის არგოს სპეციფიკიდან გამომდინარე მასში აგრესია (შესაბამისად ირონია და სარკაზმი) მეტი რაოდენობითაა. პატიმრების მიერ ციხის არგოს გამოყენების ინტენსივობისა და მათი ავტორიტეტის თანაფარდობის თვალსაზრისით: ყველაზე აგრესიული ტერმინების სამიზნეებს ყველაზე სუსტი პატიმრები წარმოადგენენ, რაც მიუთითებს, რომ მოცემულ ტერმინებს ძირითადად ავტორიტეტული და დომინანტი პატიმრები იყენებენ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ციხის არგოს ანალიზის დროს ბევრი ისეთი მიმართულება გამოიკვეთა, რაც კვლევის ფარგლებს სცდებოდა და ცალკე ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას. არანაკლები მნიშვნელობის გამოდგა ჩვენს ნაშრომთან მიმართებაში ნაჩვენები შედეგები, რამაც, ზოგადად რომ ვთქვათ, დაადასტურა ჩვენი ვარაუდები და უპასუხა კვლევის კითხვებს.

### 3.4.7 ციხის არგოს შედეგების დისკუსია „გაქცევის“ მაგალითზე

სერიალის სცენარზე დაკვირვებისას გამოირკვა, რომ ციხის შენობაში შესვლის მომენტიდან პატიმრების დისკურსი განსაზღვრავს მათ ადგილს კონკრეტულ საზოგადოებაში. შესაძლოა, ციხეში ახალშესული პატიმარი არ ფლობდეს კონკრეტული ციხის არგოს, ანუ ენდოგენურ ტერმინებს, თუმცა თუ იგი ზოგადი კრიმინალური სლენგით მეტყველებს, ეს უკვე ერთგვარი განაცხადია მისთვის სასურველ სტატუსზე ციხეში. დროთა განმავლობაში კონკრეტული ტიპის ნარატივი [სხვა ფაქტორებთან ერთად] ამყარებს მის პოზიციას კონკრეტულ ჯგუფში.

ციხის ყველაზე სტაჟიანი და გავლენიანი პატიმრები ყველაზე სრულყოფილად ფლობენ არგოს. [სარკასტული] იუმორი ყველაზე აქტუალური ანტაგონისტების ნარატივშია, ხოლო ყველაზე ნაკლები ინტენსივობით პროტაგონისტებთან გვხვდება. ყველაზე სარკასტული ანტაგონისტებს შორის ყველაზე სასტიკი თეოდორ ბეგველია, მას თითქმის უტოლდება მაფიოზი, ორი მკვლელობისთვის სამუდამო პატიმრობამისჯილი ჯონ აბრუზი. ორივე მათგანი სხვა პატიმრებისთვის ყველაზე შიშისმომგვრელია და მათი უმეტესობა ცდილობს თავი მათგან შორს დაიჭიროს, თუმცა მათი კომუნიკაციის სტილი ცალსახად განსაზღვრავს კონკრეტულ საზოგადოებაში მათ ნიშას.

აღსანიშნავია, რომ ეს ორი პერსონაჟი სხვა ანტაგონისტებისგან განსხვავებით იგივე და ხშირად მეტი პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე შოუს პროტაგონისტი პერსონაჟები, რაც ცალსახად მიუთითებს იუმორისა და სარკაზმის დადებით გავლენაზე ადამიანის იმიჯის ჩამოყალიბებაში, ანუ ხდის მას ქარიზმატულს, საინტერესოსა და მიმზიდველს. იუმორი წარმოადგენს პინაზე იმ გირს, რომელიც ანტაგონისტების უარყოფით მომენტებს სრულიად აკომპენსირებს და მათ აქტუალობას პროტაგონისტებისას უთანაბრებს.

კელტნერის და სხვ. (2003) მოსაზრებები, რომ ასეთი პატიმრები შედარებით თავისუფალნი არიან, მოიქცნენ ისე, როგორც სურთ უარყოფითი შედეგების შიშის გარეშე, დასტურდება. ისინი თავს გავლენიანად გრძნობენ და უფრო მეტად არიან მიზანზე ორიენტირებულნი, ვიდრე ისინი, ვინც ნაკლები ინტენსივობით იყენებს არგოს (გალინსკი, გრუენფელდი, & მაგიი, 2003). დავაკვირდით, რომ ავტორიტეტული

პატიმრებისთვის ასევე მეტად დამახასიათებელია რისკიანი ქმედებები (ანდერსონი & გალინსკი, 2006), ემოციების ღიად გამოხატვა (ჰექტი & ლაფრანსი, 1998), საკუთარი მოთხოვნილებებისა და მიდრეკილებების მიხედვით ქცევა (ჩენი, ლი-ჩაი, & ბარი, 2001) და სიტუაციური ზეწოლის, ამ შემთხვევაში, ჩაკეტილი და სტრესული სივრცის, სხვა უფრო ძლევამოსილი პატიმრების იგნორირება (გალინსკი და სხვ., 2008).

### 3.4.8 ციხის არგოს შედეგების დისკუსია სხვა არგოებთან მიმართებაში

როგორც ვხედავთ, სხვა არგოებში იუმორის წილი ბევრად უმნიშვნელოა და ტერმინების სიმრავლით ციხის არგოს ბევრად ჩამორჩება. მათ ასევე სხვა პრაგმატიკული ფუნქციები გააჩნია. ეს დასკვნა დახვეწილი და სრულყოფილი არგოს შესაქმნელად ციხის პირობებისა და გარემოს მაქსიმალურ ხელსაყრელობაზე მიუთითებს.

ეს ჩვენება საფუძველს გვაძლევს, ვაღიაროთ, რომ დახურული სივრცე, გარესამყაროსაგან გარიყულობა, რთულად ასატანი საცხოვრებელი პირობები მართლაც ზრდის ადამიანის შემოქმედებითობასა და კრეატიულობას რაც ჩვენს თემასთან მიმართებაში მრავალფეროვანი იუმორისტული ტერმინებისა და ფრაზების მარაგის ჩამოყალიბებაში გამოიხატა (ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე ცნებაზე რამდენიმე ათეული ტერმინიც კი გვხვდება).

### 3.4.9 შედეგების დისკუსია სოციალური ნორმების დარღვევის პრაგმატიკული ფუნქციების საფუძველზე

რასიზმი, ისევე როგორც სექსიზმი და ჰომოფობია საუკუნეების განმავლობაში ყველაზე ინტენსიური დისკუსიების საგანია. დღევანდელი საზოგადოების მხრიდან ასეთი დამამცირებელი ხასიათის გამონათქვამები განსაკუთრებულად დაგმობილია. კომიკოსების მხრიდან რასისტული, სექსისტური და ჰომოფობიური განაცხადები მათგან ერთგვარ სიგნალად უნდა აღვიქვათ, რომ მათ არ ეშინიათ დაგმობისა და გარიყვის. პირიქით, მათი გავლენა სოციალური ნორმების რღვევის რაოდენობისა და სიმძაფრის პირდაპირპროპორციულად იზრდება (ვან კლიფი, ჰომანი, ფინკენაუერი,

